


3-47


პიონერი



ნორი პიონერების ახალი პანონები

1. პიონერი ერთგულია მუშათა კლასის საქმისა და ლენინის ანდერძების.
2. პიონერი—მტერია კულაკების და ბურჟუების, მომხრეა მუშების ინტერნაციონალის.
3. პიონერი—ნამდვილი მეგობარია და ამხანაგი მუშების.
4. პიონერი—კომუნისტი-სათვის ბრძოლაში უმცროსი ძმაა და თანაშემწე კომუნისტის და კომკავშირის.
5. პიონერი—ემზადება შეიქნეს თავანწირული მებრძოლი სიღარიბის და ჩაგვრის წინააღმდეგ, მომხრეა სოციალიზმის.
6. პიონერი—მიიღტვის სწავლისაკენ და შევლის სხვეებს სწავლაში.
7. პიონერი—ცოდნა და უნარი—ძალაა მუშათა საქმისათვის ბრძოლაში.
8. პიონერი—დისციპლინის მომხრეა სწავლაში და შრომაში, საზოგადოებრივი ქონების დამზოველია.
9. პიონერი—საქმიანი თანაშემწეა საბჭოსი, პროფკავშირების, კოპერაციის.
10. პიონერი—მეგობარია, თანაშემწეა მომავალი მებრძოლი წითელი არმიისა.
11. პიონერი—მომხრეა ფაბრიკა-ქარხნების ზრდის, ტექნიკური ცოდნის, შრომის დისციპლინის.
12. პიონერი—მეგობარია ღარიბი გლეხის, აქტიური მონაწილე მოსაგლიანობისათვის ბრძოლაში, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და კომუნის თანაშემწე.
13. პიონერი—წინააღმდეგია ნაციონალური შულის და გათიშვის, მომხრეა ყველა მუშისა და მშრომელის ინტერნაციონალური მებრძოლი კავშირის.
14. პიონერი—იბრძვის ლოთობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ, წინააღმდეგია რელიგიის.
15. პიონერი—აქავშირებს ბავშვებს ლენინის დროშის ქვეშ, ის ყველა ბავშვისათვის მაგალითია.
16. პიონერი—ყველაფერს აკეთებს მარდად და სწორედ, უფროხილდება თავის და სხვის დროს, მუშაობს, სწავლობს და ისვენებს წესოვიანად.
17. პიონერი—მტერი, ჭუჭყის და თამბაქოს წვევის, იცავს თავის და სხვის ჯანმრთელობას.
18. პიონერი—შრომის მოყვარულია, ის არავითარ სიძნელეებს არ უშინდება.

საპავშირო შიპკიბაზა



დამთავრდა ამიერკავკასიის პიონერთა პირველი შეკრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა სამი მოძმე რესპუბლიკის მომავალი თაობა; შეკრების მონაწილენი გაემგზავრენ თავ-თავის მხარეს, სადგურზე საზეიმო გაცილება მოეწყო. პატარა ძმები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ. საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის პიონერ-ორგანიზაციების ისტორია არ დავიწყებს შეკრების ამ მხიარულ და ისტორიულ დღეებს.

ტფილისში დარჩენ საკავშირო შეკრებაზე არჩეული დელეგატები; 11 აგვისტოს საღამოს 6 საათიდან ტფილისის სადგურზე თავს იყრიან საკავშირო შეკრების დელეგატები. მხიარულებაა ტფილისის სადგურზე. ყველას სიხარულით უცემს გული. „მოსკოვში მივდივართ საკავშირო შეკრებაზე“, ეუბნებიან შემეპითხველებს პატარა დელეგატები.

აი, ჩამოვსა სპეციალურად დელეგატებისათვის გამოზადებული მატარებელი, და სამი მოძმე რესპუბლიკის 100 დელეგატი მატარებელმა მხიარულად გააქანა მოსკოვისაკენ.

მატარებელში საერთო მხიარულებაა, ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს და სხ.

გზადაგზა დელეგაციას ხედებიან პიონერორგანიზაციები, ესალმებიან, ყველას გული მხიარულად უცემს, მოუთმენლად მიელის მოსკოვში მისვლას, ყველას აინტერესებს მოსკოვის ნახვა და საკავშირო შეკრებაში მონაწილეობის მიღება.

4 დღის მგზავრობის შემდეგ, საზეიმოდ მორთულმა მატარებელმა მიაკივლა მოსკოვის სადგურს. დელეგატები გაემგზავრენ მათთვის მიჩნეულ სპეციალურ სადგომში. სიხარულით მიიღო მოსკოვის ორგანიზაციამ მოძმე პიონერორგანიზაციის დელეგატები. ნაწილი პიონერებისა მუშების ოჯახებში გაგზავნეს, ნაწილი კი საერთო საცხოვრებელში მოათავსეს.

18 აგვისტოს სტადიონ „დინამო“-ზე გაემგზავრა დელეგაცია. ყველგან მხიარულებაა. წითელყელსახვევიანები მხიარულად მოძრაობენ ქუჩებში. ყველას სახე საქმიანად გამოიყურება, ყველგან პლაკატებია გაკრული: „**ღენინი**

ჩვენი საყვარელი ბელადია“, „**პიონერო, იყავი კომკავშირის ღირსეული შემცვლელი**“, „**პიონერი არავის მიხედავს ბავშვის ცემის უფლებას**“, „**სალამი პირველ პიონერულ შეკრებას**“ და სხ. აისტადიონი „დინამო“, სადაც თავმოყრილია 50000 პიონერი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნებიდანაც არიან აქ ბავშვთა კომჯგუფების დელეგატები.

ტრიბუნაზე აღის საკავშირო ცენტრალური პიონერბიუროს თავმჯდომარე ამხ. სევერიანოვა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური ბიუროს სახელით ესალმება პირველი საკავშირო შეკრების მონაწილეებს: „7 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მოსკოვში, უკრაინაში და შემდეგ სხვადასხვა მხარეს, და დღეს უკვე საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეშია პიონერთა ორგანიზაცია. 7 წლის განმავლობაში პიონერთა ორგანიზაციამ დაუმტკიცა პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ჩვენ კომკავშირის ღირსეული შემცვლელი ვართ. ჩვენი მონაწილეობა კულტურულ რევოლუციაში, საბჭოების გადარჩევაში და სხვა მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში მოწმობს იმას, რომ პიონერთა ორგანიზაცია თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას. გაუმარჯოს პიონერთა პირველ საკავშირო შეკრებას, გაუმარჯოს სამი თაობის მტკიცე კავშირს — კომპარტიის, კომკავშირის და პიონერორგანიზაციის! საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საკავშირო პიონერთა სახელით პირველ შეკრებას გახსნილად ვაცხადებ“ — ასრულებს თავის სიტყვას ამხ. სევერიანოვა.

საკავშირო მთავრობის სახელით შეკრებას ამხ. რუძუტაკი ესალმება, რომელსაც დელეგატები ვაშას ძახილით ხედეებიან. ამხ. რუძუტაკს სცვლის პარტიის წარმომადგენელი ამხ. კავანოვიჩი. ორატორს ორატორი სცვლის.

საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ დელეგაციებისათვის მოეწყო სეირნობა მოსკოვის სხვადა-

სხვა მხარეს. 19 აგვისტოს გაიხსნა საკავშირო პიონერთა პირველი კონფერენცია, რომელზეც მოსმენილ იქნა ცენტრალური ბიუროს მოხსენება და პატაკი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნების — ინგლისის, გერმანიის, რუმინიისა და სხვათა — პიონერ-დელეგატებისაგან.

კონფერენციას საქმიანი ხასიათი ჰქონდა. პატარა ორატორები ერთიმეორის ცვლით აბარებდნენ ანგარიშს კონფერენციას ორგანიზაციების მიღწევების შესახებ.

20 აგვისტოს კონფერენცია სექციებად დაიყო. სექციებში ტარდებოდა მოხსენებები სხვადასხვა თემაზე, მაგალითად, ამხ. სემაშკოს მოხსენება პიონერთა ჯანმრთელობის შესახებ, სამხედრო რევსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. უნშლიხტის მოხსენება პიონერთა გასამხედროების შესახებ და სხვ.

შემდეგ გაიმართა ფიზკულტურის წრეების გამოსვლები. ყველგან ეპატიყებიან შეკრების დელეგატებს, მუშებს მიჰყავთ თავისი სტუმარი დელეგატები, რომლებიც ქარხნებში ეცნობიან მუშების ცხოვრებას. მშობლური სიყვარულით ღებულობენ ყველგან დელეგატებს.

შეკრებაზევე გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა ბავშვი“. გამოფენაზე არის პიონერთა მოდელები, ნახატები, ნაქარგი და სხვა. თვალს იტაცებს თვითმფრინავის მოდელები, პიონერთა კოლექტიური და ცალკე ნაშუშევრები. ყველა სიამოვნებით ათვალიერებს და ეცნობა პიონერთა ნაშუშევრებს.

გამოუთქმელი ენტუზიაზმით დამთავრდა საკავშირო პიონერთა პირველი შეკრება, რომელიც პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის გენერალური შემოწმება იყო.

პირველმა შეკრებამ დაანახვა საბჭოთა საზოგადოებრივობას, რომ ჩვენ კოლექტივებში პიონერები არა მარტო ცეკვავენ და თამაშობენ, არამედ ეჩვევიან დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას და ეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იზრდებიან ღირსეული მომავალი შემცვლენი, თავდადებული მებრძოლნი კომუნისმი-სათვის.

329.152(051)

3-47.



დახატულია 14 წლის პიონერის პ. ალახვერდოვის მიერ. ტყავ-ტრესტის კოლექტივიდან.

პ ი ო ნ ე რ ი

1929

15 ოქტომბერი

საქართველს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-
ების და განათლების სახალხე კომისიონატის სტეციალური
აღზრდის მთავარმართველბის ქურნალი ბავშებისათვის

წელიწადი IV
№ 18-19

კომუნის ხმოვნას.

სექტემბრის ყრუ და ცივ ღამეს კასპიის გაღმა უდაბნოში შეჩერდა სპეციალური დანიშნულების მატარებელი. უდაბნოს ქარი, მკაცრი ნორდ-ოსტი, გულსაკლავად ზუზუნებდა ტელეგრაფის მავთულებზე და ქვიშის კორიანტელს აყენებდა. ირგვლივ სიჩუმე, მხოლოდ დროგამოშვებით კვნესდა და ოხრავდა ბნელში გაჩერებული ორთქლმავალი.

რონოდებიდან გამოჰყავდა ისინი კბილებამდე შეიარაღებულ ხალხს და გაჰყავდა სადღაც. მერე გამოჩნდნ ოფიცრები, მათი უფროსები და პირები. ისინი ცმიმალენ სიბნელეში. რამდენიმე წამის შემდეგ გაისმა თოფების ხმა, და უთვალავი ტყვია გატარდა ადამიანთა სხეულებში. და ეცემოდენ ისინი დასისხლიანებულნი და ტყვიით დაფლეთილნი კასპიის გაღმა ქვიშაიან უდაბნოში. მათ სცემდენ თოფის კონდახებს, აგებდენ ხიშტებზე და იქვე აღუმებდენ. ღამე იყო ბნელი და საშინელი. სისხლში ჩაფლულ 26 კაცის გვამს ქარი ქვიშაში მარხავდა.

სპეციალური დანიშნულების მატარებელმა კი განთიადის მოახლოვებისას ჩუმად დასტოვა კასპიის ადგილი. ყორნებმაც იგრძნეს ადამიანთა სისხლი და გაუმძღრად დაესიენ დაჩეხილ გვამებს. თენდებოდა თანდათან, და სპეციალური დანიშნულების მატარებელს უკანვე მიჰყავდა სისხლის მსმელი ჯალათები. ეს იყო 1918 წლის 20 სექტემბერს.

11 წლის წინათ კასპიის გაღმა უდაბნოში ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების ჯალათურმა ხელმა ვერავლად დახვრიტა ბაქოს 26 კომუნარი. ამ ტრალიკულ დღეს ბაქოს მუშათა კლასი არასდროს არ დაივიწყებს.

11 წლის წინათ ბაქოს მუშათა კლასის მდგომარეობა ძალზე უნუგეშო და კრიტიკული იყო. საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ამხედრებული იყო კონტრეოლუციის შავი ძალა. საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე შეხვდა რევოლუციის კლასიური მტრების, კარგად გაწვრთნილი და მოწყო-

ბილი პარტიების (მენშევიკ-ესერების და კადეტების) თავგანწირულ წინააღმდეგობას. ამიერკავკასიაში გაბატონდნ ნაციონალისტები და სოციალ-შემთანხმებლები; იმ დროს საქართველო ხომ მთლიანად გადაქცეული იყო გერმანია-ოსმალეთის და ინგლისის იმპერიალისტური ჯარების და ყველა ჯურის გაიძევრების სათარეშო ასპარეზად.

მხოლოდ ბაქოს მუშათა კლასს ჰქონდა შენარჩუნებული ოქტომბრის გამარჯვების წითელი დროშა, ის იყო პროლეტარული რევოლუციის პირველი ტალღა მთელ ამიერკავკასიაში. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ბაქოს კომუნარები ქართველ მენშევიკებივით ფეხქვეშ კი არ გაგებინან იმპერიალისტური ინგლისის სარდლებს, არამედ გმირულად შეხვდნ მოვარდნილ მტერს და ზურგს უმაგრებნ სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეულ რუსეთის პროლეტარიატს.

მაგრმ ბევრხანს არ უცოცხლია ბაქოს კომუნას. მის დასაპრობად მოილტვოდა ორი მოპირდაპირე ძალა: ერთის მხრით, მტაცებლური ოსმალეთი, მეორეს მხრით — ინგლისის იმპერიალიზმში. ბაქოს მუშათა კლასი თავგანწირულად იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. მტრებთან ბრძოლაში გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარების ნაკლებობა, იარაღების და საომარი მასალების სიმცირე, უსურსათობა და უწყლობა ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდა ნავთის ქალაქის მებრძოლ კომუნარებს.

ბაქოს კომუნა დროებით დაეცა. ამით ისარგებლეს შემთანხმებელმა პარტიებმა — ესერებმა მუსავატელებმა და დაშნაკელებმა. მათ განიმეორეს ქართველი მენშევიკების საზიზღარი მოღალატეობა, მათ მოიწვიეს ინგლისელები ბაქოს პროლეტარიატთან საბრძოლველად. ინგლისის ბურჟუაზიმ სიამოვნებით იკისრა ნავთით მდიდარი ბაქოს დაცვა „ბარბაროს“ ბოლშევიკებისაგან, რადგან ბაქოს ხელში ჩავდებით ინგლისის იმპერიალიზმში მთელი ამიერკავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონ-პატ-

დიტოს პოლიტიკური განაგად



დიტოს რგოლი რომ ქალაქიდან ბანაკად გავიდა, ზაფხულის ერთ-ერთი მზიანი დღეა იყო. სოფელი ვაშლიანი, — აი, დიტოს რგოლის საბანაკო ადგილი, სადაც თავს მოიყრის შემდეგ თითქმის მთელი მათი კოლექტივი.

ერთი წლის პიონერიც არ არის ჯერ დიტო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ გაიგონა, დაინახა და განიცადა მისმა ოცნებიანმა გონებამ, რომ, 'შარშანდელთან შედარებით, იგი თითქმის უკვე დავაჟაკებულ, დასრულებულ მამაკაცსა ჰგავს.

საბჭოთა კავშირი — ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასე ფართოდ აქვს გაშლილი წინ ასპარეზი ახალგაზრდობის მოძრაობას, მის წინსვლას და განვითარებას. სხვაგან სდევნიან კიდევ ახალგაზრდებს, რომელთაც შეამჩნევენ რევოლუციონერობის თუნდაც მცირე ნიშანსაც კი.

და დიტოსაც მთელი ბავშვური სისპეტაკით უყვარს საბჭოთა ქვეყანა, სადაც ბავშვებს არა თუ არ უშლიან თვითმოქმედებას, ყოველმხრივად ეხმარებიან და აქეზებენ კიდევ მათ. ჩვენი ლიდერების შეხვედრაზე სადმე ქუჩაში დიტო სდგება და ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალებს ანთებს მათზე, თითქოს უნდა მათი ყოველი თვით უმნიშვნელო მოძრაობიდანაც კი რაიმე თავისთვის მისაბამი და სახელმძღვანელო აზრისა და ჩვევის გამოტანაო.

მართალია, დიტო ჯერ ბავშვია, მთელი ცხოვრება მისთვის ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ მისი ნორჩი გული მაინც ვერ ითმენს. ის გამალეობით ეწაფება ყოველს წვრილმანს, ყოველს ახალ შემთხვევას და მოვლენას, უნდა ცოდნითა და გამოცდილებით აივსოს გული და გონება, მალე დაშწიფდეს და დავაჟაკდეს, რომ ცხოვრების უფრო დიდ შემთხვევებსა და მოვლენებს უკვე მცოდნე და მომზადებული შეხვდეს.

მოზრდილი, ხანში შესული ადამიანები ხშირად მოკლებულნი არიან ცხოვრებაში ჩამომდგარ ახალ მოვლენათა განჭვრეტის, შეფასების და შემჩნევის უნარს, არ ძალუძთ ამ სიახლის სრული ძლევამოსილების დანახვა.

მხოლოდ ბავშვთა ხარბი ჯვრეტა არის ყოველივე ამის უმეტესკლებოდ შეცნობისა და შეთვისების ნიჭით უხვად დაჯილდოებული. ბავშვის თვალი და ყური წყალთან მიტანილ მშრალ ღრუბელსა ჰგავს ამ შემთხვევაში, თანაც ისეთ ღრუბელს, რომელმაც გაჟღენთა და მოყირქება არ იცის: ის ყველაფერს იხვეჭს და ითვისებს. ხშირად მთელი დღის განმავლობაში თითქმის დაღლილი და დაქანცული ასეთი ახალი შთაბეჭდილებების ათვისებით, მეორე დღით სრულიად ფხიზელი და ახალ ათვისებათათვის ისევ მშრალი ღრუბელივით ხარბი და ხალისიანი დგება ის ფეხზე. მას არც მეორე, მესამე, მეოთხე, მეათე თუ მეასე დღე ჰყოფნის ამისათვის. დღე მისთვის მუდამ ადრე ღამდება, ხოლო ღამე მისთვის უძიროა და უსაზღვრო, თანაც მშვიდობიანი ფონივით უვნებელი, რადგან მისი გავლა არცკი შეუძნევეია ბავშვის დაღლილ გონებას, თუმცა ოცნება ღამითაც ვერ ისვენებდა და დღისით ნახულ-განცდილს ღამით ისევ იდგენდა და იმეორებდა სრულიად ახალ-ახალ ფორმებსა და სახეებში.

დიტოს ახლაც ახსოვს წარსული წელი, თავისი გაპიონერების პირველი სურვილი, დედამისთვის ამის გამოცხადება და ამ განცხადების საპასუხოდ სასტიკი წინააღმდეგობა მშობლებისაგან.

— რა გინდა იქ? ქუჩებში თრევა? ჩემ მიერ ნაყიდი ფეხსაცმელების ცვეთა? მოესწრები მამაშენის ძარღვების ვაცვეთას, ნუ გეშინია!..

აი, რა სიტყვებით შეხვდა მამა დიტოს გულწრფელ განცხადებას! ძმარში ჩავარდნილ ქია-

სავით დაეკლაცა, მიგწევა და მოეკუმშა დიტოს ნორჩი გული. თავი ჩალუნა და საპროტესტოდ მოზავებულ სიტყვებს ყელშივე ნერწყვს აგებებდა, ხოლო ენაზე კბილებს ადგამდა. არც დედა შეხვდა უფრო ლომობიერად დიტოს ამ განცხადებას.

— არა, ერთი ამას დამიხედეთ, რა განუზრახავს და!..

გაიოცა პირველად დედამ. შემდეგ ერთი ორი ყინწიც კი უთავაზა, როცა დიტომ სცადა დედისათვის ამ თავისი სურვილის გამეორება.

ცნობილია, რომ დედასთან ბავში უფრო თამამია, ვიდრე მამასთან.


სწორედ ამ გარემოებამ გააბედვინა დიტოს კიდევ გამეორებინა დედისთვის თავისი სურვილი და გამეორებინა იმდენად დამაჯერებელი ტონით, რომ დედის გული მოლბა: სადილისთვის მამის მიერ დატოვებული ფულიდან დედამ რამდენიმე გროში განზრახ გადაარჩინა, რომ დიტოსთვის წითელი ყელსახვევი ეყიდა.

ეს იყო პიონერობის პირველი ატრიბუტი.

მართალია, რგოლის რამდენიმე სხდომას უკვე დაესწრო დიტო, მაგრამ გრძობდა რალაც უხერხულობას, რალაც გარეგანობას, რალაც ჩამორჩენილობას სხვებისგან, რომლებიც დიტოს არც ცოდნითა სჯობდნენ, არც სიმკვირცხლით და არც თვით-ცნობიერების უძირო სურვილით; ისინი დიტოსთან უპირატესობას იჩენდნენ მხოლოდ გარეგანი ნიშნებით: წითელი ყელსახვევებითა და მოკლეტოტებიანი შარვლებით თეთრ ხალათებს ქვემოთ.

დიტოს არ ჰქონდა ჯერ ასეთი ატრიბუტები. ამიტომ ამ თავისთვის სრულიად ბუნებრივსა და შესაფერ საზოგადოებაში ის თავს ისე გრძობდა, როგორც უცხოთა შორის.

და რანაირი უნდა ყოფილიყო დიტოს გამოჩენა ასეთ საზოგადოებაში ყელზე ახალი წი-



ქუთაისის ნ. პ. ბანაკის—ფიზ-ვარჯიში სურამში—„ვარსკვლავის გაკეთება“

თელი ყელსახვევით!.. ეს იყო დიტოს პირველი უსაზღვრო დაზიარება საერთო საქმეს. ამ თავისთვის ისტორიულს სხდომაზე დიტო შეუცნობელი რამ იყო. მან რამდენიმე სიტყვაც კი ირგო ამ დღეს და როგორც ამხანაგები, ისე ხელმძღვანელი გააოცა თავისი მოხდენილი აზრებითა და პასუხებით.

მართალია, დიტოს „სრულს“ პიონერობას ჯერ კიდევ უკლია რამდენიმე ვარგანი ნიშანი, მაგალითად: ისეთივე ხალათი და შარვალი, როგორც სხვებს აცვია; მაგრამ ის, რაც ამჟამად დიტოს მოეპოვება, უკვე მთელი მიღწევაა იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომლებშიც სხვებთან შედარებით დიტო იმყოფება!..

და ამ შეგნებით დიტოსაც ამაყად უჭირავს თავი! გაივლის კიდევ რამდენიმე დღე, და დიტოც ხომ სავსებით გაუსწორდება სხვებს და არა თუ გაუსწორდება, გადააჭარბებს კიდევ, რითაც იქნება. მშობლებს იგი მოირიგებს როგორმე, პირველ ყოვლისა, მოიგებს მათ გულს სამაგალითო ქცევითა და ოჯახის სიერთეულით. ამისთვის მას არ დასჭირდება ორგანიზაციის ჩარევა საქმეში, როგორც მისი ამხანაგის ვახტანგის მშობლებთან დამოკიდებულების გამო გახდა საჭირო. დიტო არავის არ მისცემს ნებას დახმარება გაუწიოს მას ისეთ საქმეში, რომლის მოგვარება უპირველეს ყოვ-

ლისა თვითონ მისი საქმეა. პიონერთა ორგანიზაციაში იგი იმიტომ კი არ ეწერება, რომ მას დახმარებას უწევდენ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ მან გაუწიოს სხვებს დახმარება და გაინაწილოს სხვების გასაჭირი.

და, მართლაც, დიტომ მიაღწია თავის მიზანს. სკოლიდან თუ პიონერთა სხდომებიდან შინ დაბრუნებული დიტო უკვე აღარა ჰგავს ადრინდელს დიტოს, რომელსაც დედის ორი და სამი დამახება მაინც უნდოდა ქუჩიდან სახლში შემოსათრევად ან მამის ბოხი და გაბოროტებული ახმაურება.

ახლა დიტო, დაბრუნდება თუ არა შინ, თავისით სთხოვს დედას, თუ კიდევ რა დარჩა გასაკეთებელი ისეთი, რასაც დიტო დასძლევს ან რაშიც ბავში გამოადგება დედას, როგორც დამხმარე და მშველელი. დედის გულში სიამესა და სახეზე ტკბილ-მშობლიური კმაყოფილების გამოხატველ ღიმილს იწვევს დიტოს ასეთი ცვლილება მას შემდეგ, რაც მან ბავშვს გადარჩენილი ფულით წითელი რტყელა უყიდა ყელსახვევისათვის. მან მშვენივრად იცის შეიღოს უსაზღვრო სურვილის დანაზრენი ნაწილიც, მოკლე შარვალსა და ხალათს რომ შეეხება. იცის, მაგრამ ამათ შეძენას საკმაოდ დიდი თანხა უნდა, ამდენის ერთად შემონახვა ძნელია. საჭიროა სისტემატიური და ხან-

გრძლივი მომპირნეობა დაზოგვა იმ თანხიდან, რომელსაც ქმრისაგან იღებს ყოველდღიურ სახარჯოდ, რომ დედამ შეიღოს დანაზრენი სურვილიც ისევე კეთილად შეასრულოს, როგორც პირველი. დედას უკვე აქვს საჭირო თანხის დიდი ნაწილი დაზოგვილი, მაგრამ ამას შეიღოს განგებ არ უმხელს, რომ ბავში წინასწარ კმაყოფილების გრძობამ არ მოიცვას და ამან მასში რაიმე არასასურველი გარდატეხა არ მოახდინოს.

დიტოც დარწმუნებულია დედის თანაგრძობაში, დარწმუნებულია, რომ დედა ხელიდან არ გაუშვებს შემთხვევას, რომ დიტოს სანუკვარი ნატვრაც ისევე კეთილად აახდინოს, როგორც ნატვრა ყელსახვევის შესახებ. ნხოლოდ ოჯახის სიღარიბეს აწერს დიტო ამ შემთხვევაში დედის ხანგრძლივ ღუმილს და თუ ხანდახან ვერ ითმენს და მაინც ამჟღავნებს თავის გულის ნადებს, ამჟღავნებს ისეთ ფორმებში, რომ დამატებით იწვევს დედის უსაზღვრო სიბრალულს და თანაგრძობას.

მაგრამ აი, ბანაკად გამგზავრების წინ რამდენიმე დღით ადრე დედამ თავი მოუყარა საჭირო თანხას და არა თუ შეუსრულა შეიღოს დიდი ხნის სანუკვარი სურვილი, არამედ ცოტაოდენი საბანაკოდ წასვლის წინ საჭირო თადარიგის მოსახდენადაც კი ჩაუღო მჯილში.

მამამ მხოლოდ გამგზავრების წინ გაიგო შეიღოს „სივერაგე“, გასწყრა და გაგულობროტდა, მაგრამ მალე ისევ დაწყნარდა, როცა მის გულს დედის ღიმილი და შეიღზე ტკბილი საუბარი გადაეცლო დამამებელ-დამაცხრობელ საღებუნად.

II

სოფელში მისული დიტო სხვებთან ერთად მხნედ შეუდგა მუშაობას.

საქართველო
საბჭოთაო

პირველ დღეს, საბანაკო სა-
მზადისსა და სავალდებულო საქ-
მეებს რომ მოჩჩა, პიონერთა
მცირე გუნდი, რომელშიც დი-
ტოც ერია, ეხმარებოდა ქვრივ
ბაბალებს ბოსტანში. ბოსტანი
სარეველა ბალახებით იყო სავსე.
ბაბალებს სოფოელი მარტოხელა
ქვრივი გახლავთ. ის მუდამ წველს
თვიონ თავისივე ხელით ამუ-
შავებდა არა მარტო თავის ბოს-
ტანს, არამედ მცირე ნაგლეჯ
ვენახსაც და, ასე გასინჯეთ, ყა-
ნებში მუშაობის დროსაც კი
გვერდში ედგა გლეხებს, და-
ნარჩენ სამუშაოში შევლოდა
მათ, ხოლო მკაში პირველობდა
კიდევ და ამის გამო სარჩო პუ-
რიც მუდამ უზრუნველი ჰქონდა
გლეხების დახმარებით. მხოლოდ
ეს „დახმარება“ ჩვეულებრივ და-
ხმარებას კი არ ჰგავდა, არამედ
ეს იყო სამართლიანად დამსა-
ხურებელი და საკუთარი პირა-
დი გარჯილობის პირდაპირი ნა-
ყოფი.

წელს კი ბაბალებს ბოსტნის
მხოლოდ დათესვა ძლივს მო-
ასწრო, რომ ლოგინად ჩავარდა
და თითქმის მთელი თვე აღარ
ამდგარა იქიდან.

პიონერების ბანაკად მისვლის
წინ რამდენიმე დღით აღრე,
მართალია, ის წამოდგა ლოგინ-
იდან, მაგრამ ავადმყოფობის
შემდეგ დატყობილი სისუსტის
გამო მას ჯერ კიდევ არ შეეძლო
თითქმის არავითარი შრომა.


ბაბალებს ხელიდან წასული
ბოსტნის გამობრუნებას კი „სა-
კმაოდ მძიმე და ბეჯითი შრო-
მა“ ექირებოდა.

ასე შეაფასეს ბაბალებს ბოსტ-
ნის მდგომარეობა სოფლად ბა-
ნაკად მოსულ პიონერთა კო-
ლექტივის მშვერავებმა.

მეორე დღეს კი, დიტოს კო-
ლექტივის გამოსვლის პირველ
დღეს, პიონერთა ერთი ჯგუფი
დიტოს მეთაურობით ეწვია ბა-
ბალებს ბოსტანს. თვითონ ბაბა-
ლებს იქვე იჯდა სამუშაო სკამზე
და ამ თავის სრულიად მოუ-
ლოდნელს მამითაღს მჯდომარე
აძლედა შესაფერ დარიგებებს
ბოსტნის გასუფთავების საქმეში.

ორი დღის მუშაობით გუნდმა
სავსებით გასწმინდა ბაბალებს სა-

კმაოდ დი-
დი ბოსტანი
ყოველგვარი
მავენბლისა-
გან და ამ ხნის
განმავლობა-
ში არა თუ
არ სარგებ-
ლობდა ბაბა-
ლებს რაიმე
ხარჯით, არა-
მედ, დიტოს
წინადადე-
ბით, ბაბალებს
საზრდოც, თავის
კერძთან
ერთად, პიო-
ნერთა საერ-
თო სამზარეუ-
ლოდან მო-
ჰქრონდათ
ხოლმე.



გარე-კახეთი. გიორგიწმინდა. მოჯამაგირეების და პიონერების
ექსკურსია ქ. ტფილისში.

ბოსტანი გასუფთავდა და გა-
ჯანსაღდა, გუნდმა შემდეგ ბა-
ბალებს ვენახშიც იმუშავა და,
როდესაც ქვრივთან გამომშვი-
დობების დრო მოვიდა, ისევ
გაისმა დიტოს წინადადება:

— ამხანაგებო, მე წინადადება
შემომამქვს, სანამ ჩვენი ბანაკი
აქ დარჩება, ბაბალებს ყოველ-
დღიურად ვუზიდოთ კერძი ჩვე-
ნი სამზარეულოდან!..

— თანახმა ვართ! თანახმა ვართ!
გაისმა ამხანაგის ამ წინადა-
დებით სახეგაბრწყინებულ პიო-
ნერთა თანხმობის ხმა.

დაბლა, ბანაკში, დიდი უკვე
ხმაურობდა, და საყვირიც უხმობ-
და სოფელში სამუშაოებზე გა-
ბნეულ პიონერებს საღამოს შე-
კრებისათვის.

სკამზე ჩამოჯდარი სოფოელი
ქვრივი ბაბალებს თავისი ბოსტ-
ნიდან, რომელსაც ახლა ასე გა-
ლამაზებულს და გაჯანსაღებულს
იგი გულსა და თვალს კელარ
აშორებდა, სახეზე უსაზღვრო გა-
ნცვიფრებასავით გადაშლილი სი-
ამის შარავანდელით გაჰყურებდა
ბანაკისაკენ მკვირცხლად მიმა-
ვალ გუნდს ახალგაზრდა პიო-
ნერებისა. ისინი ეწვიენ ბაბალებს
სრულიად მოულოდნელად, უც-

ნობნი, უცხონი, ურგნი და უჩი-
ნარნი, რამდენადაც იყვნენ ნორჩ-
ნი და, მაშასადამე, ბაბალებს და-
სვედიანებული გულისთვის ერ-
თი შეხედვით ვერავითარი იმე-
დისა და ნუგეშის მომტანნი. ამ
მოსვლას ბაბალებსათვის არ ჰქო-
ნია იმდენი მნიშვნელობა, ძალა
და ძლევა, რამდენიც ახლა ამ
წასვლას.

ახლა ისინი მიდიან უფრო
მკვირცხლნი და მზიარულნი,
ვიდრე მოსვლის დროს გამო-
იყურებოდნენ. მათ შეასრულეს
შედარებით დიდი სამუშაო, მოუ-
ტანეს ბაბალებს საგრძნობლად
დიდი სარგებლობა, რითაც ქვრი-
ვის ავადმყოფ გულს იმედისა
და ნუგეშის ახალი სასიცოცხლო
ნაკადი შესძინეს და აავსეს იგი
მადლობის უსაზღვრო გრძნობით.

მაგრამ მათვე ღრმად ჩანერგეს
ბაბალებს გულში კიდევ ახალი
გრძნობა, რომლისთვისაც ბაბა-
ლებს დღემდე სახელიც კი ვერ
გამოენახა, თუმცა მუდამ გლე-
ხების გვერდში მდგომ, მათი
გლეხური შრომის მოზიარე და
მონაწილე ქვრივისთვის უცნობი
და უჩვეულო არ იყო ეს გრძნობა.

ეს გახლდათ უსაზღვრო სიყვარ-
ული მშრომელი ადამიანების
ყოვლის მძლე კოლექტივისა!..

ნ. ზომლეთელი.

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“

პარტიის და ხელისუფლების მთავარ ამოცანას მიმდინარე მომენტში საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნა და მისი ეკონომიურად გაჯანსაღება წარმოადგენს. რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ძლიერი გახდეს, ამისათვის აუცილებელი პირობაა ქალაქის მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის მსხვილ კოლექტიურ ნიადაგზე გარდაქმნა.

ჯერ მსოფლიო და შემდეგ სამოქალაქო ომის მიერ განადგურებული ქალაქის მრეწველობა და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა მხოლოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნების) შემოღებიდან დადგა მოლონეობის გზას. უდავოა, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნა შეუძლებელია სახალხო მეურნეობის განვითარების გარეშე; მიუხედავად ამისა, რაღაც მიზეზით, სახალხო მეურნეობის მთავარი დარგი, როგორც არის სოფლის მეურნეობა, ჩამორჩა ქალაქის მრეწველობას. ქალაქის პროლეტარიატისა და სოფლის გლეხობის შეკავშირება შეუძლებელია, თუ ზემოაღნიშნული ორი დარგი თანაბრად არ იზრდება. როდესაც სოფლის მეურნეობა ჩამორჩება ქალაქის მრეწველობის ზრდას, მოსალოდნელია წონასწორობის დარღვევა მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის, რასაც მოჰყვება გლეხობის ნივთიერი კრიზისი და, რაც მთავარია, კავშირის გაწყვეტა მშრომელ გლეხობასა და პროლეტარიატს შორის.

ბურჟუაზიული ქვეყნები ასეთი მოვლენისაგან რადგან არ არიან დაზღვეულნი, იქ ხშირად აქვს ადგილი წინააღმდეგობებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის მეურნეობა, როგორც მოწესრიგებული და გვეგმიან ნიადაგზე დაყენებული, ამ საშიშროებას არ განიცდის.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელისუფლების მიერ დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ მისი ზრდის ტემპი მაინც ჩამორჩება ქალაქის მრეწველობის ზრდის ტემპს. ეს იმიტომ,

რომ ხშირმა გვალვებმა და სუსხიანმა ამინდებმა ვერ მისცა გლეხობას საშუალება ეწარმოებინა მუშაობა სათანადო დროს და მეორეც — მისი განვითარება ხდება ინდივიდუალური სახით; ამიტომ, რომ მოხდეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მაშინიზაცია, რასაც მოჰყვება გლეხობის ეკონომიური გაჯანსაღება, საჭიროა მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირი, რომ მოგერიებულ იქნას ბობოლა — კულაკის კლასიური შეტევა, რომელსაც ის აწარმოებს; საჭიროა მშრომელთა შემქიდროება ბობოლა-კულაკების სამუდამოდ დასამარცხებლად. ბობოლა გლეხები ყოველთვის შეეცდებიან უღარიბესი გლეხობის დაჩაგვრას, მაგრამ ღარიბმა გლეხობამ მათ უნდა უპასუხოს თავისი რიგების განმტკიცებით და კოლმეურნეობაში გაერთიანებით.

14 ოქტომბერი — „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“ მიზნად ისახავს ჩვენი დაქუცმაცებული მეურნეობა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად გადააქციოს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის მთელი მეურნეობის უმრავლესობა კოლექტიურ საფუძველზეა მოწყობილი, საქართველო და კერძოდ დასავლეთ საქართველო, ამ საერთო მოვლენას ჩამორჩა. ეს იმიტომ, რომ ჩვენი გლეხობა ჯერ კიდევ არ ვასცილებია თავის მამა-პაპულ კავს და გუთანს, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ახალ კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნას.

მშრომელთა მასის უმრავლესობამ თავიდანვე შეიგნო, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნა შეუძლებელია, თუ არ მოხდა სახალხო მეურნეობის მთლიანი რეკონსტრუქცია; ამ მიზნით მან ხელი შეუწყო პირველი, მეორე და მიმდინარე მესამე სესხის საკუთარი ძალებით რეალიზაციას.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე მით უფრო შეუწყობს ხელს მესამე ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით

გასაღებას მშრომელთა მასაში. „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარების კამპანიამ ფართე გამოხმაურება უნდა ჰპოვოს ჩვენი მოსახლეობაში; მისი მნიშვნელობა რომ დაწვრილებით გასაგები შეიქნეს, სოფლის ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაცია-დაწესებულებამ სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა უნდა აწარმოოს. ჩვენი ლოზუნგი: „უნდა დავეწიოთ და გავუსწოროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“ დროული ამოცანაა, და ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებლობას წარმოადგენს როგორც ქალაქის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ჩქარი ტემპით მსხვილ კოლექტიურ ნიადაგზე გარდაქმნა. მართალია, ამ ამოცანის გადაწყვეტის დროს მრავალი წინააღმდეგობა გადაგველობება, მაგრამ ქალაქის პროლეტარიატის, უღარიბესი და საშუალო გლეხობის მტკიცე კავშირით, უდავოა, ეს გადალახული იქნება.

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღემ“ ერთხელ კიდევ უნდა დაუმტკიცოს სოფლის მშრომელთა კლასიურ მტრებს, რომ უღარიბესი და საშუალო გლეხობა მტკიცედ დგას საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის სადარაჯოზე. ხუთწლიანი გვეგმის დასრულებისას ეს მიზანი მიღწეული იქნება.

ტრაქტორი და სხვა სამეურნეო იარაღები, ხუთწლიანი გვეგმით შემოსატანად გათვალისწინებული, თავდები იქმება იმისა, რომ განიდევნება სოფლის მეურნეობიდან როგორც კავი, ისე სხვა პრიმიტიული იარაღები, და ძველი სოფელი გადაიქმნება ახალი სოციალისტური მეურნეობის ქვეყანად. აი ის დროული და მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც დგას დღეს პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის“ მტკიცედ ჩატარებაში პიონერკოლექტივებმაც დაუღალავი მონაწილეობა უნდა მიიღონ.

ბ. მირცხულავა



უშადავო თავდასება

— სადაც არის, მივალწვეთ ალბათ. ხომ ხედავ, მთის ფერდობი დაქანებულია. ზევით რომ ავალოთ, სულ ვაკეა, იქიდან ხუთი ვერსი — და სოფ. ბარამბოულში მივალთ.

— ყველაფერი გამიგონია, ასეთი სახელი კი არასოდეს მსმენია.

— ეს არც გასაკვირია, რადგან შენ ქალაქში მომუშავე ხარ, მაგრამ სოფელსაც უნდა იცნობდე.

სწორედ ამისთვის წამოვედი, მინდა გავიცნო სოფლის ცხოვრება თუმცა ბევრი რამ ვიცი სოფლის შესახებ: ცული გზები გაქვთ, მიმოსვლა გიჭირთ. ამის შესახებ ჩვენ, ქალაქის მომუშავეებს, ბევრი ვფიქრობთ. გადავწყვიტეთ ყოველგვარი დახმარების აღკოჩენა. ალბათ ისიც იცით, რომ ამისათვის თანხაც გავიღეთ. ზოგიერთები ამ ხაზით ძალიან აჭარბებენ. თუნდაც ასეთი შემთხვევა: ერთი სოფლად მომუშავე ხელის ჩაქნევით გაიძახოდა: „სოფელი განსაცდელშია! თქვენ ყურადღებას არ აქცევთ სოფელს!“

— ეს ხომ არ შეეფარება სინამდვილეს, აქ, მართალია, ყველაფერი რიგზე არ არის. ახალი წამოწყებები გულს უკლავს ჩვენ ბტრებს.

— ძაფსახვევ ქარხანაზე ლაპარაკობ?

— სწორედ მაგაზე. და ათას სხვაზე.

— ჰო. ეს დიდი საქმეა. ჩვენმა პატარა ქალაქმა წინ წაიწია, ახლა ნახევრად სამრეწველო ქალაქის სახე მიიღო. აბა ხუმრობა ხომ არ არის: ქარხანაში ხუთასი ქალი და მამაკაცი მუშაობს.

— ქუჩები ფართო, გაშლილი, სწორი და მოკირწყლულია, შუაზე ამობურთული. წვიმიან დღეში ნიაღვარი დაქანებული გზის კიდურებში მირბის. თუმცა ეს ქუჩა ცუდია, მაგრამ რას იზამ, ყველაფრის გაკეთება ერთად შეუძლებელია.

— მართალია, მართალი, — ამბობდა ქალაქიდან ჩამოსული კაცია კაჟაძე.

* *

ასეთ საუბარში იყვნენ ნინა და კაჟია, როდესაც სოფელს გასცილდნენ.

ზამთრის მოლოდინში მინდვრები ცივად გამოიყურებოდა. მაღალი მთის ფერდობებზე გაუვალი ტყე, მუხის და რცხილის ხეებით, ბარდეკლებში ტყეესავით გამოიყურებოდა. ცამდე აზიდული მთის წვეროვ არწივივით დასცქეროდა გადაშლილ ტყეს, გორმალალი მთიდან მობერილ ცივ ქარს ყინულის ბურთებივით ახლიდა მგზავრებს სახეზე.

ფერმკრთალი, წვრილი ნინა ცივ ჰაერში გაწითლებული მთარღვევდა აღმართს. ამონასუნთქი ორთქლი კვამლივით დგებოდა.

კაჟია, დაბალი, სქელი ტანის კაცი, ფეხებს მარდად აბიჯებდა. ზედმეტი სიმსუქნე ხელს უშლიდა თავისუფალ სვლას.

— ძალიან გიჭირს სიარული.

— სრულებითაც არა; ისე, ცოტა არ იყოს, დავიღალე. ძალიან ძნელი ყოფილა აქეთ ქვეითად მგზავრობა. ნუთუ არ შეიძლებოდა ცხენების შოვნა?

— ამაზე ბევრი ვიწვალე. პარტკომს ცხენები არა ჰყავს. მილიციის ცხენებით აღმასკომის თავმჯდომარე საბჭოების საარჩევნო მოსამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად წავიდა სოფელში. კულაკებს ჰყავთ ცხენები. და დღე და ღამეში თხუთმეტ მანეთს არ უცვლიან ფეხს. პარტკომის დარაჯი გავგზავნე ერთ კულაკთან ცხენის საქირავებლად. მან ასე შემომითვალა:

„ჩემს დასაღუპავ საქმეებს აკეთებ და ცხენს მოგაქირავებ? არც შარშან მომეცით საბჭოში ხმა, არც წრეულს მაძლევთ. გადასახადებით მახრობთ. არ მინდა თქვენი არც ფული და არც სახელი. თავი დამანებეთ“.

— ნუ იღარდებთ. მათი ობტიდან ჩვენ ყოველთვის ამოვალთ. ახლა ერთი ამბავია სოფლად: ათასგვარ ჭორს ავრცელებენ კულაკები: საშუალო გლეხებს ხმებს ართმევენ, მათ კულაკებში რიცხავენო და კიდევ სხვა. ჩვენი მოვალეობაც ეს არის განუუმარტოთ, თუ ვის წაერთმევა ხმა და ვის არა.

— დიად, სწორედ ეს არის.

— მგონი კიდევ მივედით ბარამბოულში.

— ხედავ აქედან?

— კი. აი, დაუკვირდი ამ მთის გასწვრივ, სულ ბოლოში სახლები რომ მოჩანს. ის არის ბარამბოული. მგონი ვერ ხედავ, ცოტა ნისლი და ბური დგას.

* *

მგზავრები ნისლმა დაფარა, მაღალი მთებიდან წამოშლილი ღრუბლები ხევებსა და დაბლობებში ჩაწვა.

ახლომახლო მთის კალთები გაურკვეველი იყო. მიდამო. ნისლში იყო გახვეული.

ხშირად მთებიდან მოხეტიაელი ქვის ლოდები ხრიალით ჩამოდიოდა დაბლობში. საზარელი ხმა ხევიდან ხევში გადაჰქონდა დასავლეთიდან ამოვარდნილ ქარს და ნისლით დაბურულ სახლებში წაბლის სქელ კარს ამტვრევდა.

ლოდებისა და ხეების ზვაგი დაბლა დაქანებულ მდინარეში კლდეებს ეჩეთქებოდა.

ნინასთვის ყველაფერი ეს უცხო არ იყო. ის, პირდაღებული მთების ფერდობებში დაბადებული, გადაჭიმულ მინდვრებზე მწყემსად გაზრდილი, ასეთ ხმაურს გულზე არ იკარებდა. მას ბევრი რამ უნახავს ამ მთებში, სიბნელით მოცული ღამე გაუთეცია გამოხრული კლდის ძირში.

მას წვრილი წკრიალა ხმა ხშირად ლალატობს და გარეგნულ გამოხატულებას არ აძლევს დამაჯერებლობას. ეს არ აწუხებს მას. არ თაკილობს ნაბდის ტარებას.

სოფელში პირგაპურული ქალიშვილები დასცინიან, ქალბიჭას ეძახიან.

ნინას მასთან არაფერი აკავშირებს.

ახლაც, კაჟია და ნინა მის ძირში ბილიეს რომ მიჰყვებიან, მისი სახე გაღიმებულია, მიხვრა-მოხვრა სწრაფი, ნაბიჯები კაცური. ნინა ათვალთვალს მიდამოებს. ნისლში გახვეული გორმალალის მთა რაღაც არაჩვეულებრივი სიდიადით იზიდავს მას: სურს ერთხელ კიდევ მოინახულოს, იქ გაათიოს ღამე, ცხენასწყლის აქავებული ტალღებით გაიგრილოს შუბლი.

დიდი ხანი არაა, რაც ნინამ გორმალის მთის ძირში გადაიტანა მისთვის არნახული ბრძოლა, სისხლის ღვრა, ძარღვების დაჭიმვა და განუწყვეტელი საქმიანი მოქმედება.

* *

ეს იყო ათი წლის წინად. ნინა მაშინ ბოლშევიკურ რაზმში იყო. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, გვარდიის მიერ შევიწროებული რაზმი მთებს აფარებდა თავს. ბოლშევიკები ამ რაზმში ეწერებოდნენ. ვინც ბომბების ხიდზე გავიდოდა, ის უკვე რაზმის მონაწილე იყო; მთებში გამაგრებული რაზმი დღითი-დღე იზრდებოდა მშრომელი გლეხობიდან გამოსული მებრძოლებით.

ბრძოლა როდესაც იწყებოდა, სამხადისი და მოუთმენლობა ირეოდა ერთმანეთში.

რაზმის ხელმძღვანელი, მაღალი და ხელმარჯვე, გაცეცხლებული გარბოდა სოფლებში.

მენშევიკების „სახალხო“ გვარდია თავის ძალებს ამ რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა. ხმაჩახლეჩილი მოღალატე მენშევიკ-აგიტატორი ხალხში ჭორებს ავრცელებდა ბოლშევიკების მხეცობაზე, ძალადობაზე, ბარბაროსობაზე.

სოფლები აწრიალებული იყო გვარდიელებით, მათი ცხენები და ინგლისური ჯორები ღარიბი გლეხების ზურგზე სუქდებოდა. სიმიინდი, თივა, ხარ-ურემი და მუშა-ხელი მათი ბარგის გადატან-გადმოტანას უნდებოდა. ღარიბი გლეხები გარბოდნენ სოფლებიდან და ბოლშევიკების რაზმს უერთდებოდნენ.

მენშევიკების „არმია“ დაიძრა ქალაქიდან, მთელი ძალ-ღონით იერიშები მიიტანა კლდეებში გამაგრებულ რაზმელებზე.

ორი-სამი სოფელი უკვე გასაბჭოებული იყო. ახლად დანიშნული კომისრები სოფლებში აგიტაციას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

ნინა ერთ-ერთ სოფელში დანიშნეს კომისრად. იქ მან დიდი

ყურადღება მიიპყრო. გლეხოვა, მენშევიკების ჭორებით დაშინებული, პირველად დამფრთხალი გამოიყურებოდა ისლით დახურული სახლებიდან, იმათ ვერ წარმოედგინათ, თუ მართლა ცოცხალს დატოვებდნენ. ნინა ახერხებდა გლეხების დამშვიდებას, მათთან საუბრებს მართავდა.

ზარბაზნების ხმა მთებში გრიალით ისმოდა. ტყვიამფრქვევთა კაკანი, თოფების სროლა დაბურულ ტყეებში წუხილით ეღებოდა არემარეს.

რამდენიმე კვირას შეუწყვეტელი, აუტანელი ბრძოლა იყო. მაშინ ზაფხულის მზიანი დღეები იღვა. ყანებში მომუშავე გლეხები თოხის ტარზე დაყრდნობილები უყურებდნენ, თუ როგორ იქცეოდა მთები, კლდეები. ზაფხულის ცხელ დღეებში ისედაც გახურებული კლდეები ქვემეხების ლულიდან გამოსროლილი ტყვიებით სკდებოდა. ნატეხები ხშირად სადღაც ბილიკად მიძავალ გლეხს გადააგდებდა თვალუწვდენელ ხრამში. კიდევ გასკდებოდა ლალუმივით კლდეები და ცხენისწყლის ხრიალში ჩაიყლაპებოდა.

ამ ბრძოლაში ნინამ დიდი მონაწილეობა მიიღო, ავიტაციიდან იარაღზე გადავიდა. რაზმელებთან ერთად, სამხედრო ტანისამოსში გამოხვეული, ცეცხლს ანთებდა. ბოლშევიკურმა რაზმმა ერთი ქვემეხი დაატოვებინა გვარდიელებს თურჩუს მთასთან ბრძოლაში. იქ რაზმელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. რაზმი გორმალაიდან ლეჩხუმის მთებში გადავიდა. ნინა დარჩა სოფელში. ახლად გასაბჭოებული სამი სოფელი ისევ გვარდიელებს ჩაუვარდათ ხელში. ნინა დაიჭირეს. დასახვრეტად გამოხადებული გადავარდა კლდიდან ცხენისწყალში, გასტურა, მაგრამ ცალი ხელი ნაპირზე გასვლისას გაუფუჭდა.

ამიტომ არის, რომ ახლაც, ამ ბილიკზე კაჟიას რომ მიჰყვება, ხალათის ცალი სახელური თავისუფლად ქანაობს. ხშირად აგონდება, რომ მარცხენა ხელი არ აქვს, შეკრთება, მოიგონებს წარსულს.

— მივედით, კაჟია; შენ ძალიან გაგიჭირდა. ახლა დაისვენე.

— არა, დალლას იმდენად არა ვგრძნობ მაშინ, როცა ასე გულუხვია ბუნება თავისი მრავალფეროვანებით. თითქოს განგებ შეუქმნია ვილაცას ეს მაღალი მთება. რაკარგია აქ ცხოვრება!

— მარტო ბუნება? — არა, ხალხიც გულუხვია, ხელგაშლილი, მიმღებიანი; იცი, ჩვენი სოფლის ავკარგზე ხშირად ჩვენი გახეთებიც ლაპარაკობს. ყველაფერს ახლავე დაინახავ. ამ ღელეს ქვევიდან შემოგუაროთ. გადებული ხიდი ხევივითა ჩავარდნილი.

სოფელში შევიდნენ. ხალხი, აღმასკომის წინ შეგროვილი, მებრძოლ ჯარისკაცებივით იღვა. ელოდნენ რაიონიდან ამხანაგებს. უცებ ხალხში გაისმა ხმები:

— მოდიან! მოდიან! — და დაგროვილი ხალხი ამოძრავდა.

* *

სოფელი ბარამბოული, ორ ხევს შუა გაწოლილი, ძლივს იტევს მოზღვავებულ ხალხს. დაბალი ხის სახლები, აქა-იქ შემჭიდროებული, ერთმანეთზე გადაბმული; ეზოები გრძელი და ფართე.

მიწის დამუშავება სოფლად ძალიან ძნელია. საყანეები შემოფარგლულია ჩაწყობილი ხის ორღობეებით. ურემი არ მოძრაობს; ტყეში მოჭრილ ხეებს სათითაოდ მოუბმენ დაუღლულ ხარებს და ასე იმზადებენ ზამთრისათვის შეშას. თოვლი სამი თვის განმავლობაში არ დნება. გაზაფხული მაისიდან იწყება, როცა თოვლი დნობას იწყებს, წყლად ჩამოდის დასერილი ღელეებიდან და საბოლოოდ დიდ მდინარედ გადაქცეული შხუილით ერთვის ცხენისწყალს.

ამ დროს საშიშია მგზავრობა. არა ერთხელ ყოფილა აწიოკებული სოფლები წყალდიდობის გამო.

ბნელი და უკუნეთი ღამე კერის პირად ბევრჯერ ფხიზლად გაუთენებიათ ბარამბოულის მცხოვრელებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სიმონ წვერავა

შეხვედრით განვლილი გზაობა.



29 წლის ზაფხული გავიდა. მოვრჩით ბანაკებზე, ექსკურსი-ებზე და სხვა საზაფხულო მუშაობაზე ლაპარაკს. ახლა საჭიროა ვიზრუნოთ მომავალზე, საშემოდგომო და საზამთრო მუშაობაზე, მაგრამ სანამ ამას შევუდგებოდეთ, საჭიროა გადავხედოთ ჯერ წარსულ მუშაობას, გავითვალისწინოთ მასში დაშვებული შეცდომები.

განსაკუთრებით საჭიროა ეს ახლა, როდესაც უკან გვიდევს იმისთანა ღირსშესანიშნავი ზაფხული, როგორც იყო მიმდინარე წელს.

რითაა განსაკუთრებული მიმდინარე წლის ზაფხული? ჯერ ერთი იმით, რომ ჩვენი პიონერ-ორგანიზაცია რამდენიმე წლის წვალების და სიძნელების შემდეგ წრევანდელ ზაფხულს გადავიდა მუშაობის ახალ სისტემაზე. მეორე იმით, რომ წელს ისე გავაფართოვეთ პიონერთა გამაჯანსაღებელი მუშაობა (ბანაკები, მოედნები), როგორც არასოდეს, და მესამე იმით, რომ წელს ჩავატარეთ შეკრება.

შევვებით თითოეულს ცალკე-ცალკე.

როგორ გადავედით ახალ სისტემაზე და რა მოგვცა მან?

იმაზე, თუ როგორ გადავედით ახალ სისტემაზე, ბევრს წაიკითხავდა ჩვენი ჟურნალის მკითხველი, აქ მხოლოდ მოკლედ ვიტყვი, თუ რა მოგვცა მან. უპირველეს ყოვლისა, მან მოგვცა მუშაობით პიონერთა დაინტერესება და მათი აქტივობის ზრდა, შეიტანა ჩვენს მუშაობაში გარკვეულობა, გეგმიანობა. თუ აქამდე კოლექტივში მიმავალი პიონერი ფიქრობდა „ნეტავი რას ჩატარებს დღეს ჩვენი ხელმძღვანელი?“ და ხშირად

მკაცრი ხელმძღვანელის მშრალი „პროგრამის“ თავის დასაღწევად შეუხვევდა კინოში ან კლუბში, — ახლა ყოველმა პიონერმა, ყოველმა ოქტომბრელმა ც-კიციის, თუ რა კეთდება კოლექტივში არაუც თუ დღეს, არამედ რა გაკეთდება ერთი კვირის, თვის შემდეგ. იცის ისიც, თუ რა უნდა შეასრულოს მან ამ საქმიდან. ერთფეროვანი საუბრების და მოხსენებების ნაცვლად კოლექტივის მუშაობის ცოცხალი სახეები გვაქვს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კოლექტივების ზრდას და გამოცოცხლებას.

რა გაკეთდა ბავშთა გაჯანმრთელების დარგში? იშვიათი კუთხე დარჩა წელს საქართველოში, რომ არ მოეწყო ბანაკი. ამ ზაფხულს ბანაკებში გაიარა ოთხი ასზე მეტმა პიონერმა და მოწაფემ. ამ ზაფხულზე გახსნილ იქნა აუარებელი საბავშო მოედანი.

ყოველივე ეს მაშინ, როდესაც შარშან გვეყავდა სულ ათასამდე ბავში ბანაკში და ისიც მხოლოდ ტფილისში და ერთ-ორ მაზრაში.

წრევანდელ ბანაკებს, ისე, როგორც შარშან, ჰქონდა ნაკლი, მაგ: არ იყო საჭირო რაოდენობა მასწავლებლების, ექიმების. იყო იშვიათი შემთხვევები კვების შეფერხებისა, მაგრამ თუ ავიღებთ საერთოდ, ბანაკობა წელს დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

რომ ამ ზაფხულს ჩატარებულმა შეკრებებმა დიდი ნაყოფი გამოიღო, ყოველმა პიონერმა იცის, მაგრამ ბევრმა რამემ არ მოაღწია თქვენს ყურამდე. შეკრებამ გამოარკვია, რომ თურმე არსებობენ იმისთანა პასუხისმგებელი მომუშავეები, რომლებსაც ქელები ურჩევნიათ პიონერორგანიზაციას, გამოარკვია ის, რომ ზოგიერთმა დიდმა ამხანაგებმა არ იციან, რომ არსებობს პიონერორგანიზაცია და რომ მას დახმარება უნდა. შეკრების დროს ყოველივე ეს თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ძალიან მალე გადავიწყდებით ისევ, თუ ახლავე არ დავიწყებთ მუშაობა.


ნერორგანიზაცია და რომ მას დახმარება უნდა. შეკრების დროს ყოველივე ეს თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ძალიან მალე გადავიწყდებით ისევ, თუ ახლავე არ დავიწყებთ მუშაობა.

საჭიროა აქედანვე დავიწყებთ ყვირილი, არ დავიწყებთ ჩვენი თავი. შეკრების დროს და მის შემდეგ კოლექტივებს აუარებელი ბავში მოაწყდა. ჩვენ ისინი უნდა მივიღოთ, უნდა მოვაწყობოთ ისე, რომ ეს ზრდა კიდევ უფრო განვითარდეს, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ახალმოსულთ დაინტერესება უნდა, მუშაობაში ჩათრევა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი როგორც მოვიდნენ, ისევე წავლენ უკან. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა: ა) ჩვენს მუშაობას საფუძვლად დავუდგათ ისეთი მუშაობა, ისე მოვაწყობოთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა, რომ მან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. დავხმაროთ პარტიას და ხელისუფლებას წერა-კითხვის უცოდინარობის მოსაპოვებში; მივაშვილოთ უცოდინარებს აქტიური და მომზადებული პიონერები, რომლებსაც დავავალებთ ასწავლონ მათ, ჩავატაროთ საშემოდგომო თესვის კამპანია, მოვაშენოთ ჯიშისანი ქათმები, შევისწავლოთ მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ამით ხელს შევუწყობთ მთავრობას ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ბ) საჭიროა შევიძინოთ საწარმოო ტექნიკური ჩვევები. საკავშირო პიონერორგანიზაციას დავალებული აქვს დაამზადოს გლეხებისთვის 75000 რადიომიმღები.

გარდა ამისა, ახალი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველმა პიონერმა ხელობა თუ არა, იარაღების ხმარება მაინც იცოდეს, ეს უნდა შევასრულოთ.

მეგრეთის ლექსი



ჩვენ ომი არ გვინდა
ზღვა სისხლის მდომელი,
ესმუქთახორების
ზნეა და ბუნება,

ომს მოაქვს ტყვიების
ხმა დაუნდობელი,
სიმშლილი, სიკვდილი
და განადგურება!

მას შემდეგ, რაც ჩვენში
ბრძოლის ხმა მიწყნარდა,
ზღვა — წინააღმდეგობის
ვართ გადამლახველი:

ჩვენია უფლება,
ჩვენია მიწა და
კვლავ ინდუსტრიაზე
მღერიან ქარხნები!

მტრებს აღარ ასვენებს
შური და სიბრაზე,
დაგეშილ მოსულან
და შემოგვიჩროდენ:

რომ ოფლით გალაქულ
საბჭოთა მიწაზე
ვაგებთ და ვაშენებთ
ქარხნებს და შენობებს!

დე! აღარ გაბედონ
შავბნელმა ძალებმა
ჩვენს ტერიტორიას
მოსთხარონ ფესვები,

თორემ ჩვენც ავდგებით
კვლავ ცეცხლის ალებად
და შეუბრალებლად
მტრებს შემოვესევით!

იცოდენ, რომ ჩვენი
დაჩაგვრა ძნელია,
რა მოხრის ამ დროშას
მზესავით ელვარეს,

იცოდენ, უბრალო
ქვაც საყვარულია,
საბჭოთა კავშირის
მიწაზე მღებარე!

დრო არის მილიონ
ლაშქრებად მოვიდეთ
და შევატრიალოთ
ბორბალი ცხოვრების,

რომ ერთხელ გამართულ
ბრძოლით და ომიტვე
გათავდეს ყოველგან
ომი და ბრძოლები!

დე, მტრები მტაცებლურ
განზრახვით ომობდენ,
ჩვენც იმათ იერიშს
გულდაგულ დაეხედებით:

მზადა ვართ, მზადა ვართ
დავიცვათ ბოლომდე
საბჭოთა ქვეყნების
მიწა და ქარხნები!

ალიო მაშაშვილი

ტფილისი
1929 წ.

ყოველივე ამაში დაგეხმარებათ
საბავშვო ტექნიკური და
სასოფლო-სამეურნეო სადგური,
რომელთანაც კავშირის გაბმა
შეიძლება როგორც რედაქციის
საშუალებით, ისე უშუალოდ.
(მისამართი: ტფილისი, პლე-
ხანოვის გამზირისა და ქსენი-
ევის ქ. კუთხე, საბ. ტექნ.
და სას — სამ. სადგური).

გ) უნმოგავაროთ ვართობის და
დასვენების საკითხები, უნდა მო-
ვაწყოს საბავშვო რადიოგადა-
ცემების კოლექტიური მოსმენა,
პიონერული ვიქტორინები, შე-

ჯობრება კადრაკში და სხვა თამა-
შობებში, ხშირად მოვაწყოს
თვითშემოქმედების საღამოები;
დ) ძალიან ბევრია დამოკიდებული
ჩვენს მუშაობაზე სკოლაში. წელს
მიზნად უნდა დავისახოთ რაც
შეიძლება მეტსკოლებში მო-
ვაწყოს საკლუბო ღღეები, გა-
ვრეკოთ კარებებიდან „ბებიები“
კამფეტებით და მზისამზირით და
მათ ნაცვლად დავაარსოთ სასოფ-
ლო კოოპერატივები და მოვით-
ხოვოთ ცხელი საუზმეები. შევა-
სრულოთ ლოზუნგი „არცერთი
მოწათე არ უნდა დარჩეს მეორე

წელს“; ე) არ უნდა დაგვამაყო
ფილდეთ საზაფხულო გამაჯანსა-
ღებელი მუშაობით. საჭიროა
ახლავე შევუდგეთ ზამთრისათვის
მზადებას. დავასუფთავოთ ბინები,
მოვნახოთ სახსარი საზამთრო
მოედნების დაარსებისთვის და
სხვა.

აი ამ გზით უნდა მიმდინარე-
ობდეს ჩვენი საშემოდგომო მუ-
შაობა, თუ გვინდა შევინარ-
ჩუნოთ და უფრო გავაღრმა-
ოთ ზაფხულის მიღწევები.

მ. ელიჯარაშვილი.



სასკოლო კოოპერატივი



(გაგრძელება)

როგორც იქნა, მოვაწყვეთ საერთო კრება და ახლა ჩვენი კოოპერატივი შეიძლება მოწყობილად ჩაითვალოს. გამგეობის თავმჯდომარეც ამოვირჩიეთ.

უპირველეს ყოვლისა, სკოლის საბჭოს წარმომადგენელმა — სერგეი პეტრეს ძემ — საუბარი ჩაატარა საბჭოთა კოოპერაციის მნიშვნელობისა და სკოლის კოოპერაციის შესახებ. კრებამ მხურვალედ მიიღო წინადადება სკოლის კოოპერაციის მოწყობის შესახებ. ახლა წესრიგისათვის: საწევრო გადასახადის შეკრებამდე უნდა შესდგეს ჯგუფებად კოოპერატივში შესვლის ყველა მსურველის სია.

კრებაზე დაიწყეს წესდების გარჩევა; რამდენიმე მუხლმა დიდი დავა გამოიწვია. წესდება, რომელიც გადმოგვცა პავლე ივანეს ძემ, ყველა კოოპერაციისათვის სავალდებულო ხომ არაა, ამას სანიმუშო წესდება ჰქვია. კოოპერაციის წევრებს შეუძლიათ არ მიიღონ ზოგიერთი მუხლი ან შეუძლიათ შეცვალონ, შეუძლიათ აგრეთვე მოუმატონ ზოგი რამ, რაც არაა წესდებაში.

კოსტია რიბაკოვმა შემოიტანა წინადადება, რომ კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად ვივაქროთ არა მარტო სკოლაში, არამედ ქუჩაზეც, ყველა. მოქალაქისათვის გაეხსნათ ჩვენი ფარდული პაპიროსებით, ხოლო ზაფხულში ვივაქროთ ხილის წყალი ან ნაყინი. ამის გამო გამოვიდა სერგეი პეტრეს ძე და აგვიხსნა, რომ ამ საქმით არ ვარგა ვატაცება. მან სთქვა, რომ ჩვენი კოოპერატივი უბრალო „დუქანი“ კი არაა, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ჩავიჯიბოთ. ეს როდია მისი მიზანი. მთავარია — შევისწავლოთ კოოპერატიული საქმიანობა და ვემსახუროთ სკოლის და მოწაფეების საჭიროებებს, ხოლო ამას ჩვენ შევძლებთ ქუჩაში ვაჭრობის გარეშე, რაც მხოლოდ ჩამოაშორებს ბავშვებს მეცადინეობას. შემდეგ მან გვითხრა, რომ სკოლის კოოპერატივის ისევე, როგორც მოზრდილთა კოოპერატივის, მოუხდება ვაჭრობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათგან პროდუქტების შექმნა საქონლის ნისიად მიღება,

კრედიტის თხოვნა. ხოლო იმისათვის, რომ მას აძლიონ ეს ფული და საქონელი, ჩვენს კოოპერატივს უნდა ჰქონდეს თავისი თანხები, რითაც დაიფარება დავალიანება.

ამისათვის სკოლის კოოპერატივი აგროვებს საწევრო გადასახადს, როგორც მოზრდილთა კოოპერატივი; ჩვენმა კოოპერატივმა საქმე ისე უნდა აწარმოოს, როგორც მოზრდილთა კოოპერატივმა, ამოიჩიოს იგივე ორგანოები, შემოიღოს იგივე ანგარიშწარმოება. სკოლის კოოპერაცია იმით განსხვავდება მოზრდილთა კოოპერაციისაგან, რომ მისი უფლება და მოვალეობა სკოლას არ სცილდება. ვინაიდან მისი წევრები მცირეწლოვანები არიან, მოზრდილთა ორგანიზაციები და სახელმწიფო ძალა-უფლება არ შეიძლება ისე მოექცეს სკოლის კოოპერატივის, როგორც მოზრდილთა კოოპერატივის. აი, მაგალითად, თუ მოზრდილთა კოოპერატივი რატომღაც გაკოტრდა, ის პასუხს აგებს მოვალეების წინაშე თავისი და თავისი წევრების ქონებით. მაგრამ რა ქონება აქვთ მოწაფეებს? მხოლოდ ერთი კალმისტარი. ამიტომ სკოლის კოოპერატივის არ შეუძლია მიიღოს „იურიდიული პირის“ უფლება, ე. ი. უფლება დამოუკიდებლად დასდოს სავაჭრო ხელშეკრულებები, ნისიად წამოიღოს საქონელი და სხვ. ყველაფერს ამას ის აკეთებს სკოლის საბჭოს პასუხისმგებლობის ქვეშ.

სკოლა ყიდულობს თავისი სახელით კოოპერაციისათვის საქონელს ნისიად და თავის თავზე აიღებს სხვადასხვა ვალდებულებას. სკოლა აგებს პასუხს კოოპერაციის საქმეებზე მოზრდილთა ორგანიზაციების წინაშე. საჭიროების დროს სკოლის საბჭო იძულებულია გადაიხადოს კოოპერაციის დავალიანება. ამიტომ მას აქვს უფლება თვალყური ადევნოს კოოპერატივის და გამოასწოროს მისი მუშაობა, თუ ის შეცდომით წარმოებს.

სწორედ აქ მიიღო კამათმა მწვავე ხასიათი. ყოველივე ამის შესახებ ხვალ დავეწერ, ვინაიდან ახლა უკვე გვიანაა და ამავე დროს საჭიროა გაკვეთილების მომზადებაც.

განვაგრძობ საერთო კრების სახებ.

ზოგიერთი ბავში გამოდიოდა წინადადებით და მოითხოვდა, რომ კოოპერატივი მთლიანად დამოუკიდებელი ყოფილიყო და არ ყოფილიყო პასუხისმგებელი სკოლის საბჭოს წინაშე. მაგრამ მაშინ სერგეი პეტრეს ძემ სთქვა: „როგორ გინდათ, რომ სკოლის საბჭო პასუხს აგებდეს კოოპერატივზე და არ ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რა ხდება მასში? რახან სკოლის კოოპერატივი არ ემორჩილება იმ კანონებს, რასაც ემორჩილება მოზრდილთა კოოპერაცია, რახან ის არაა ვალდებული ვატარდეს აღრიცხვაში სახელმწიფო დაწესებულებებში, არ იხდის გადასახადს, არც პატენტს არ იღებს, არც სალერბო გადასახ დი არ ხდება, მაშასადამე, ის ითვლება სკოლის ჩვეულებრივ ორგანიზაციად და, მაშასადამე, სკოლა მოვალეა არა მარტო პასუხი აგოს კოოპერატივზე, არამედ უნდა იცოდეს კიდევ მისი საქმიანობა. აი რატომია მითითებული წესდებაში, რომ სკოლის კოოპერატივი არსდება არა მარტო მოწაფეთა საერთო კრების დადგენილებით, არამედ სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებითაც და მთელი მისი საქმიანობა სკოლის საბჭოს მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით წარმოებს. ეს მუხლი სამართლიანია და ამიტომ მისი ამოღება არ ვარგა“.

სერგეი პეტრეს ძის დასაბუთება გონივრული იყო და ჩვენ მას დავეთანხმეთ, მხოლოდ ვთხოვეთ ამხ. სერგეის განმარტა ჩვენთვის, თუ რა გზით აწარმოებდა კონტროლს ჩვენს მუშაობაზე სკოლის საბჭო. მან ასე განგვიმარტა: „საბჭო დაიწყებს ზრუნვას იმაზე, რომ კოოპერატივმა თავისი მუშაობა სამეურნეო საფუძველზე ააგოს და არ მოგვცეს ზარალი, რომ კოოპერატივმა კარგად დააკმაყოფილოს მოწაფეების სასწავლო ნივთებით და ბავშვებში საზოგადოებრივი თვითმოქმედება განავითაროს.“

სკოლის საბჭო მეთვალყურეობას გაუწევს კოოპერატივის სამეურნეო და აღმზრდელობით მუშაობას. ასეთი მეთვალყურეობისათვის სკოლის საბჭოს კოოპერატივზე შემდეგი

უფლებები აქვს: უპირველეს ყოვლისა, მისი წესდება სკოლის საბჭოს მიერ მტკიცდება. სკოლის საბჭოს უფლება აქვს რევიზია გაუკეთოს სკოლის კოოპერატივის საქმეებს.

სერგეი პეტრეს ძემ გვიამბო ისეთი სკოლების შესახებ, სადაც კოოპერატივის გამგეობაში მოხედენ არაკეთილსინდისიერი მოწაფეები, რომელნიც ფლანგავდენ საზოგადოებრივ ფულს და ინახავდენ საქონელს თავის სასარგებლოდ, რის გამოც სკოლის საბჭო იძულებული შეიქნა რევიზია მოეხდინა. სკოლის საბჭოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კოოპერატივის საქმეების გარჩევაში, როგორც ყველა წევრის საერთო კრებაზე, ისე გამგეობის სხდომაზე. თუ საჭიროება მოითხოვს, საბჭოს შეუძლია მოითხოვოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მოწვევა და წარადგინოს თავისი წინადადებები. მერე, როდესაც კოოპერატივი თავისი წლიური მუშაობის ანგარიშს ადგენს, ის აძლევს მას სკოლის საბჭოს განსახილველად. ბოლოს, თუ კოოპერატივი რატომღაც იკეტება, ამ საქმეში მონაწილეობას იღებს სკოლის საბჭოც; აქ საბჭოს შეიძლება მოუხდეს ვალების გადახდა ან ზრუნვა დარჩენილი საქონლის გაყიდვაზე, გარკვევა კოოპერატივის ფინანსიურ მხარეში.

თავისთავად ცხადია, მთელი ჩვენი ძალები იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არ ვაიძულოთ სკოლის საბჭო კოოპერატივის საქმეებში ხშირად ერეოდეს. ამისათვის არსებობს ერთი სწორი საშუალება, — მოწაფეების ფართო თვითმომქმედების საფუძველზე კარგად წავა კოოპერატივის საქმიანობა.

ყველაფრის ჩაწერა, ყველაზე საინტერესოსიც კი, რასაც ლაპარაკობდენ დღეს კრებაზე, უცბად ვერ მოვახერხებ და ხვალ უნდა დავამთავრო.

თუმცა ჩამორჩი, მე უნდა დავამთავრო კრების აღწერა, როდესაც ჩვენ ლაპარაკიდან უკვე პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავდით.

* *

გვიამბობდა რა კოოპერატივის საქმიანობაზე, სერგეი პეტრეს ძემ გვაცნობა, რომ გამგეობაში და სარევიზიო კომისიაში შეიძლება არჩეულ იქნენ მოწაფეები არა ნაკლებ ათი წლისა. ძალდატანებით კოოპერატივში აზავის ჩაწერა არ შეიძლება, კოოპერატივის ყოველი წევრის მოვალეობაა შეასრულოს წესდების ყველა წესი და დაემორჩილოს საერთო კრებას. თუ რო-

მელიმე არ დაემორჩილება ამ წესებს, აი, მაგალითად, არ უნდა შეასრულოს, რასაც მას ავალბებს კოოპერატივი, ან ცუდ რამეს ჩაიდენს, ვთქვათ, გაფლანგავს საზოგადოებრივ ფულს ან მოიპარავს რამეს, — კოოპერატივს შეუძლია ის გამორიცხოს თავისი წრიდან, მხოლოდ საერთო კრებაზე, და საჭიროა, რომ ამის შესახებ აზრი გამოსთქვას კოოპერატივის ყველა წევრის ორმა მესამედმა, ხოლო შემდეგ, თუ ის მოინანებებს და გამოსწორდება, მისი უკანვე მიღება შეუძლია საერთო კრებას.

კოოპერატივის წევრების უფლება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სწყვეტენ საერთო კრებაზე ყველა მთავარ საკითხს, ირჩევენ გამგეობას და სარევიზიო კომისიას, რომელნიც მათ ანგარიშს აბარებენ ხოლმე. კოოპერატივის წევრებს არ ეკრძალებათ მონაწილეობის მიღება გამგეობის სხდომაზე და შემოაქვთ თავისი წინადადებები, მხოლოდ მათ არა აქვთ გადაწყვეტი ხმის უფლება. კოოპერატივის წევრებს ის სარგებლობა აქვთ, რომ იაზუად იძენენ ზოგიერთ საქონელს და, თუ კოოპერატივს მოგება დარჩება, ის წევრების სასარგებლოდაა; რასაკ, ირველია, არ მისცემენ ყოველ წევრს თითო კაპ. არამედ იყიდვიან რაიმეს საერთო ხმარებისათვის.

ზოგიერთი ბავში წინადადებს იძლეოდა მოგება განაწილებულიყო პრემიების სახით, როგორც ეს მოზრდილთა კოოპერაციაშია. წინადადება შემოიტანეს შემოელოთ დიდი საწევრო გადასახადი, რომ კოოპერატივში ბევრი ფული ყოფილიყო.

მაგრამ აქ აღელვდა მთელი კრება. ერთმა პიონერთაგანმა აიღო სიტყვა და განმარტა, თუ რატომ არაა სწორი წინადადებები პრემიების და გადასახადის გადიდების შესახებ. „იმისათვის კი არ ვხსნით კოოპერატივს, — ამბობდა ის, — რომ პირადად ჩვენთვის მოვიპოვოთ ფული ამის საშუალებით, არამედ იმისათვის, რომ კოლექტიური ძალ-ღონით გავაუმჯობესოთ სკოლის მუშაობა. ამიტომ კოოპერატივის მოგება ყველაზე უკეთესია მოვანხაროთ სკოლის სახელოსნოების მოწყობას. შრომის სკოლაში ეს ხომ ჩვენი ყველაზე სუსტი ადგილია. დიდი გადასახადების წინააღმდეგი კი აი რატომ ვართ: რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი ფულია კოოპერატივში, მით უკე-

თესია, მაგრამამის გაკეთებას გადასხვაგვარად შეიძლება; თუ შემიძლებულ იქნება დიდი საწევრო გადასახადი, ნაკლებ წევრებს შემოიკრებს კოოპერატივი; რომ შემოვიღოთ ყველასათვის მისაწვდომი გადასახადი, მაშინ შეგვეძლება შევიყვანოთ კოოპერატივში ბევრი მოწაფე, აქედან კი გვექნება ბევრი ფული. ეს გზა, ცხადია, სწორია“.

მაგრამ ბავშებს მაინც ეგონათ, რომ უკეთესია დიდი გადასახადის დაწესება: უფრო ბევრ ფულს შევკრებთ და მოვიგებთო. გადასწყვიტეს შემდეგი გადასახადი დაეწესებიათ: 10 კაპ. შესასვლელი და 25 კაპ. საპაიო. ამით გავათავებთ კრება.


კოტა გაწყდა. * * * კინალამ მთელი საქმე ჩაიფუშა ამ საწევრო გადასახადების გამო. საერთო კრების შემდეგ, როგორც საჭირო იყო, დავიწყეთ ჩვენი კოოპერატივის წევრად გახდომის მსურველთა ჩაწერა და საწევრო გადასახადის შეკრება. გამოირკვა, რომ ბევრ ბავშს არ სურს ფულის გადახდა, ამბობდენ რომ მათ არა აქვთ ეს ფული. ვეკითხები ერთს: „რატომ არაფერს ამბობდი კრებაზე?“ ის კი მიპასუხებს: „მრცხვენოდა მეთქვა, რომ ფული არა მაქვს, მამა კი არ მომცემს“ ასეთები ბევრი გამოჩნდა. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ საჩქაროდ მოვიწვიოთ გამგეობის სხდომა, რომ გავარჩიოთ ეს საკითხი.

შევიკრიბეთ დიდ შესვენებაზე და გადავწყვიტეთ საწევრო გადასახადის შემცირება. სხვა სკოლის კოოპერატივებში კაპიკს იღებენ შესასვლელ გადასახადს და ორ კაპიკს — საპაიოს, ხოლო საწევრო წიგნაკი ორი კაპიკი ღირს. სულ ერთი შაური, ე. ი. ყველასათვის მისაწვდომი თანხა.

მაგრამ როდესაც კოლიამ დასვა საკითხი: „რა თანხებით იარსებებს კოოპერატივი, თუ ასე პატარაა გადასახადი?“ ელენე დიმიტრის ასულმა, არითმეტიკის მასწავლებელმა, რომელიც სხდომას ესწრებოდა სკოლის საბჭოსაგან, მიუთითა იმაზე, რომ დამხმარე საბჭოს შეუძლია გაუწიოს ფულადი დახმარება. ამას გარდა, უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს ხანში მოვაწყობთ კოოპერატივის სასარგებლოდ ფასიან წარმოდგენას.

ჩვენ მივიღეთ ეს წინადადება და გადავწყვიტეთ საჩქაროდ მოვიწვიოთ საერთო კრება და კიდევ გავარჩიოთ საწევრო გადასახადის საკითხი.

(გავრძელება იქნება)



აშურის გუ

—რა გქვია?— შეეკითხა ათმეთაური ალიოზა დამტვრეული ჩინურით.

—ხუნ-გი-უ.— მიუგო პატარა ბიჭმა.

—არა, ეგ ძნელი დასახსოვებელია. შენ რაღაცა სხვა სახელი უნდა მოგიძებნოთ... მიტია, რა დავარქვათ?— შეეკითხა ქიჩოს მოუხანით წითელარმიელს, რომელიც თუთუნს ახვევდა.

—რა და, რა ვიცი. ბუ...— მიუგო მან რატომღაც სიცილით.

—ბუ? ჰო, მაინცა ჰგავს და... კარგი... მაგრამ როგორი? ამურზე ნაპოვნი, არა?... მაშასადამე, ამურის ბუ... მაშ, დღეიდან შენ ხარ ამურის ბუ.

—ბუჰ, ბუჰ!— წამოიძახა ბიჭმა ღიმილით და თან მდინარის გაღმა გაიშვირა ხელი, პატარა გორაკზე, სოკას ხომ ეძახიან იქ; თითქოს თოფს ესვრისო, ისეთი პოზა მიიღო.

—ჰმ... ალბათ იქ არიან ჩასაფრებული ისინი, წელან რომ გვიშენდენ. — გადაულაპარაკა მიტიამ ალიოზას.

—მერე და რა წაიღეს!

ასე დაერქვა მას ამურის ბუ. ეს მოხდა ამურის ნაპირზე.

პატარა ჩინელი ბიჭი, ხუნ-გი-უ, ჩინელ ჯარისკაცებს გამოექცა საზღვარზე, ისკუბა მდინარეში ამ დილას, მაგრამ, მიუხედავად ცურვის ცოდნისა, მაინც ვერ გაუძლო ფაფარაყრილ ტალღებს; ეს შენიშნეს გამოლომა, რკინის გზის ლიანდაგზე მოღარაჯე მოსახლვრე არმიელებმა, და მიტია გადაეშვა, გამოიყვანა.

გაწუწული ბიჭი კანკალებდა, სციოდა, სისუსტიით ძლივს დაიდგა ფეხზე.

ტანისამოსი გამოუცვალეს, გაათბეს და, ეტყობოდა, ძალიან შიოდა, რომ მგელივით ეცა საქმელს, აქ რომ მისცეს...

ბ.

—როგორმე გადი, შვილო, ამურზე, და იქ კაი ხალხია, შეგიფარებენ... მერე კი არ დაგავიწყდეს შურისძიება... — ეს-ლა მო-

ასწრო ეთქვა ხუნ-გი-უსთვის მამას, და ხმალმაც იელვა, თავი მხრებს მოსძვრა...

ბრინჯის ქოკიან კვალში რომ არ ჩაწოლილიყო ხუნ-გი-უ, მასაც მამის გზას გაუყენებდენ ჯარისკაცები, მაგრამ ვერ მიაგნეს...

რა ეს მოხდა, — ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება აირია, და ჩინელი მშვიერი ჯარი მოაწყდა მანჯურიის საზღვარს, რომლის ახლო ძდებარე სოფლის ყანებს შეესიენ და იწყეს მოსავლის გატაცება, თავისივე გლეხების ძარცვა...

ხუნ-გი-უს მამამ ველარ მოითმინა სარჩოს წართმევა და ჩამოეკიდა ტომარას, ჯარისკაცი რომ მიათრევდა...

მისცივდენ ჯარისკაცები, ერთმა უკან გადუტრიალა ხელები, მესამემ ნაწნავში სტაცა ხელი, დაიხვია, თავი წინ გადაუწია და, რა ხმალი დაიქნია, ბიჭს სიმწრით ამოხდა:

—ოჰ!!!

ვიდრე ბინდმა მხრები არ აიბერტყა, გუბიდან ვერ ამოძვრა...

ტყემდე რომ იარა, სიბნელე ძლივს გაანათა კამარზე ელნათურივით გადმოკიდულმა გვიანმა მთვარემ...

ლაშეა...

ცივა...

ქარმა იალქნები აუშვა...

მდინარის შხუილში ისმის ნადირთა ყმუილი...

ხუნ-გი-უ ღამით ვერ ბედავს გაღმა გაცურვას და ნადირის შიშით ხეზე ადას. იქ ტოტზე ქამრით მიება, რომ არ ჩამოეძინოს, არ გადმოვარდეს...

ასე გაათენა. რა გაცურვა იწყო, აკი საიდანღაც დააყარეს ტყვია...

აი რა უამბო ბიჭმა საგუშაგოზე...

გ. მზე ავარვარებული ცეცხლის ბურთივით ამოგორდა

და სხივთა ისრებით გააპო ამურის ხეობაზე ჩამოწოლილი ნისლის ფარდა...

ხუნ-გი-უ ჩამომჯდარიყო საგუშაგო ჯიხურის წინ და გაჰყურებდა გაღმა, შორს, მანჯურიის ველებს, სადაც ეგულეობდა თავისი სოფელი, დედა, პაწია დაიკო იუ-იუ, და მოენატრა მათი ნახვა, გული ამოუჯდა, თვალეზე ცრემლები მძივებივით გადმოეკიდა; მერე მოაგონდა მამა, ამ რამდენიმე დღის წინად რომ მოჰკლეს, მოაგონდა, მოქრილი თავი როგორ ჩამოჰკიდეს თმით ხის შტოზე, და სიბრაზით მუშტი სოპკისკენ შეიქნია, სადაც თეთრი დილეებივით ჩანდა კარვები მწვანე მინდორზე, საიდანაც ბოლი ლეგა სვეტებად მიემართებოდა ჰაერში; ალბათ ჯარისკაცები საუზმეს იზხადებდენ კოცონზე გლეხების ბოსტნებიდან გატაცებული პამიდორით, კარტოფილით, კომბოსტოთი; ალბათ ისევ ეზიდებოდნენ უპატრონოდ ქცეული მათი ველიდან კიტრებს, სახამთროს...

— შურისძიება!... — წარმოსთქვა მუშტის მკერდზე დარტყმით, რა გაახსენდა მამის ანდერძი...

— შენ, ბუ, აი ეს პატარა თოფი და... ისწავლე სროლა... მერე კი თვითონ ეს გეტყვის, როგორ უნდა იძიო შური თქვენს ჩანებზე, მანდარინებზე... — უთხრა ათმეთაურმა ღიმილით და ხელი თავზე გადაუსვა, რა ასე დაღონებული შენიშნა.

პატარა კარაბინს გახარებულნი ათვალეებდა ხუნ-გი-უ და გაღმა უშიზნებდა...

— მოიცა, ცალიერია ჯერ, უვაზო... ჯერ გასწავლით სროლას, სამხედრო ვარჯიშს, ილეთებს და მერეც მოგსწრები... ძია მიტია გამეცადინებს შაშხანის სროლაში და პოლიტკოდნაში, იმან თქვენებური ენაც უკეთ იცის... — რა უთხრა ალიოზამ, ტელეფონის აპარატს მიაუჯდა...

— მთასეულის შტაბი?... მო-
რიგე?... წუხელის არაფერი შე-
სანიშნავი არ მომხდარა. გან-
თიადისას ცხენოსან თეთრგვარ-
დიელთა ბანდამ სცადა მდინა-
რის გადმოლახვა სროლით,
მაგრამ უკუვაქციეთ; ჩაჩუმდენ
ჩინელი ჯარის ნაწილებიც, რო-
მელნიც სროლით ეხმარებოდენ
მათ გადმოსვლას. ზარალი? ჩვენ-
გან არაა, მათი კი არ ვიცი. პა-
ტარა ხომალდს დაუშინეს ჩინე-
ლებმა ტყვია. ერთი მეზღვაური
და მეზაფრია დაჭრილი. ხომალ-
დიდან ატეხილი ტყვიამფრქვე-
ვის ცეცხლით გაიფანტენ. ჩი-
ნელი ბიჭი? კარგადაა. დავაპი-
რეთ გადმოგვეგზავნა მანდ, მაგ-
რამ ტირილი დაიწყო; ისე შე-
გვეჩვია, რომ არ უნდა ჩვენი
მოშორება. იყოს აქა? კარგი.
ვეცდებით გაწვრთნას, ვასწავ-
ლით...

დ.

— რა იყო, ამხანაგო მიტია? —
შეეკითხა ალიოშა საგუშაგოზე
მდგარს, რა სროლა გაისმა და გა-
მოცვიდენ გარეთ.

— არაფერია. გაღმა ტყიდან
მესროლეს ვგონებ და...

— ხომ არ დაიჭერ?

— არ ვიცი... მხარში კი მეწ-
ვის ცოტად...

— რასაკვირველია... ავერსი-
სხლი... აბა, წერტზე.

— აქედან ფეხსაც არ მოვი-
ცვლი, უნდა ვანანო. — და, ამ
სიტყვებთან ერთად გაუწვა ლი-
ანდაგს. შაშხანის ლულამ ზვერ-
ვა დაიწყო ნიშანში ამოსაღებად.

— ნუ ჯიუტობ, იმათ ჩვენც
ვეყოფით. აბა, ამხანაგო პეტრო,
საგუშაგოზე! თქვენ კი მომიყე-
ვით! — უთხრა დანარჩენებს.

გაღმიდან სროლა გახშირდა.

— ძია, მეც წამოვალ, — გამო-
ეკიმა ბიჭი.

— არა, შენ მიტიასთან დარჩი,
ჭრილობის შეხვევა უშველე.

— მესმის!

— აბა, შარში!!!

რა გაისმა, წითელარმიელები
გაწვენ.

— თოფ!!!

გაჩნდა ცეცხლი: ტყვიები ზუ-
ზუნით აპობენ ჰაერს...

ზანზარებს გარემო...

მ.

— რატომ არ შეუტევთ, ძია?
როდემდე უნდა უთმინოთ? —
შეეკითხა ხუნ-გი-უ, რა ჭრი-
ლობა შეუხვია მიტიას, მხარში
შეუდგა და ჯიხურამდე უშველა
მისვლა.

— ჰმ!.. ზევიდან არა გვაქვს
ნება, თორემ!..

— რაა?

— ალბათ ასეა საჭირო ჯერ-
ჯერობით...

— ძია, მე გავხედავ, აბა სა-
დამდე სდიეს ჩვენებმა.

— ფრთხილად, ემანდ არსად
მოგხვდეს მოხეტიალე ტყვია. —
ჯერ არც კი დაეთავებინა მიტიას
გაფრთხილება, რომ ბიჭი სად-
ღაც გაქრა.

აპარატი განუწყვეტლად მუ-
შაობს...

მიტია, თუმცა სუსტადაა,
მაინც აძლევს შტაბს ცნობებს.

ალბათ იმიტომ გაჩნდა საი-
დანღვრკინისგზის მიდამოებში
ხუნხუხთა ბრბო, რომ წითელ-
არმიელები თეთრგვარდიელთა
ბანდას გამოეკიდონ, თორემ ამ
ხუნხუხს აქ რა უნდა, სწორედ
იმ ხის ქვეშ ბალახებში სად მი-
ხობავს, სადაც ხუნ-გი-უ ზის და
ზვერაგს მიდამოს? ხუნხუხი ჯი-
ხურს რად ეპარება და აპარატ-
თან მწოლო მიტიას თოფს რად
უმიზნებს? მავთული რათ გა-
დასქრა?..

ეს შენიშნა ბიჭმა და ჯავრი-
საგან არ იცის რა ქნას, რომ
თავისი კარაბინა თან არა აქვს,
და ბევრი აღარ უფიქრია, ჩამო-
ეკიდა ტოტს და ხუნხუხს სწო-
რედ მაშინ დაეცა ზემოდან,
კბილები კისერში ჩაავლო, ცა-
ლი მკლავი ყელში ამოსდო,

მეორე ხელი თოფს წაავლო,
როდესაც ის ჩახმახის გამოშლას
ლამობდა...

ტყვია უგზო-უკვლოდ წავი-
და...

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ
ხუნხუხი დაიბნა, ეცადა განთა-
ვისუფლებას, მაგრამ ხუნ-გი-უს
ისე მაგრად მოეხვია მკლავი და
კბილები კისერში ჩაესო, რომ
ვერ მოიცილა...

წამოდგა, დააპირა გაქცევა თა-
ვისიანებთან, რომლებიც იქვე ახ-
ლოს ელოდენ, და ხმავერ ამოე-
ლო საშველად, ბიჭი ისე უჭერდა
მკლავს, რომ ყელში ხრიალი-და
აღმოხდა, დაეცა მოსუსტებუ-
ლი...

ხუნ-გი-უ მაინც არ ეშვებოდა...

მ.

— რა გიქნია, შე ბუ?

— რაღა ბუ, ვერა ხედავთ,
როგორ ჩაფრენია კატასავით?
იცნოდენ წითელარმიელები,
რომლებმაც ბანდა იფრინეს და
უკან დაბრუნებულები ამ სუ-
რათს წააწყდენ.

ძლივს ააგლიჯეს.

— აბა, რათ უნდა მოეკლა
ძია? რათ სჭრიდა მავთულს? —
ჩაილაპარაკა ბიჭმა გაუბედავად.

ჩასაფრებულმა ხუნხუხებმა,
რომელნიც მშვიდობიან მცხო-
ვრებთა დასარბევად იყვნენ გად-
მოსასვლელად მზად, რა ამხა-
ნავი არ დაბრუნდა, სადარაჯოს
დასაზვერად რომ გავზავნეს წინ
და ტელეფონის მავთულის გა-
დასაჭრელად, სროლა ასტეხეს...
წითელარმიელთა გუნდი იქით
გაეშურა.

ამურის ბუ კი თავისი კარა-
ბინით ყარაულად მოუდგა ტყვე
ხუნხუხს.

ის თვალს მაინც არ აშორებ-
და ამურის გაღმა მხარეს.


რას ელოდა?

ალბათ ხანძარს!..

წითელარმიელები კი ხუმრობა
დენ.

— ხედავთ, რა ბიჭი გამო-
დგა ბუ?

— ბუ კი არა, ახლა ვეფხვია...



საიდუმლო გვირაბი

ქუთაისის საგუბერნიო საპრობილე 1907 წელს მთლად გაქედნილი იყო პოლიტიკური პატიმრებით. ასობით მოჰყავდათ ტუსალები ყოველი კუთხიდან, მოჰყავდათ თითქმის ყოველდღე და ყოველკვირაში. გზავნიდნენ ადმინისტრაციულად გადასახლებულთა ეტაპებს, მაგრამ საპრობილეს მინც არ აკლდებოდა, ის მუდამ სავსე იყო. მის მუდმივ მკვიდრთ შუადგენდნენ სხვადასხვა პროცესის მონაწილე პოლიტიკურები, რომლებიც მიცემულნი იყვნენ სამართალში ცნობილი 101 და 102 მუხლის ძალით, აქ იყვნენ „ყვირილის რესპუბლიკის“ და ხაზინისგაძარცვის, „ბელაგორის“, „რაჭა-ლეჩხუმის“, „ზუგდიდის“, „გურიის“ რესპუბლიკების მონაწილენი და სხვანი, ისხდნენ წლობით და მოელოდნენ გასამართლებას, რის შედეგიც, ცხადია; კატორღა, გამასწორებელი რაზმი ან სამუდამო გადასახლება იქნებოდა. ისხდნენ ისეთი პოლიტიკურებიც, რომლების 3-4 საქმე უკვე გაერჩიათ და 40-50 წლის კატორღა ზურგზე ეკიდათ; კიდევ შეიძლება 2-3 საქმე გარჩეულიყო და რამდენიმე ათი წლის კატორღაც მიმატებოდათ.

ეგრეთწოდებულ „სმერტიკების“ სენაკებში ისხდნენ ისეთებიც, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ. ყველა ესენი, რაღა თქმა უნდა, გაქცევაზე ოცნებობდნენ, სულ ხერხის გაყვანის გეგმებს აწყობდნენ. მაგრამ საპრობილის გამოცდილ ადმინისტრაციასაც არ ეძინა და ისე ოსტატურად ჰქონდა მოწყობილი საპრობილის დაცვის აპარატი, რომ ყოველგვარი ცდა და მუშაობა ამ ნიადაგზე უნაყოფო იყო, შიგნით რამის მოწყობაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს გაპარვის, შემთხვევები უკეთ რომ ვთქვათ, „გაძვრენის“ ცალკეული არ ყოფილიყო შესაძლებელი. ამგვარი ორი შემთხვევა იყო სწორედ 1907 წელს. პირველი, როცა ზაქარია გურული მოხერხებულად გადააძვრინეს „ნახვის დღეს“ სარკმლის მაგვარ პატარა ამოჭრილში, რომელიც სანოვავის თუ საცვლეულის გადასაცემად აქვს დატანებული

ლი მათეულის ბადით დაბლანდულ კედელს, რომლის იქით-აქეთ ტუსალები და მათი მნახველები დგანან. ამ სარკმელთან მდგომი მეკარე, რომელსაც ევალებოდა გადასაცემების გასინჯვა, მოსყიდული იყო და ზაქარიას თვალი აარიდა. მეორე შემთხვევა იყო აფრასიონ მერკვილაძის ახალგაზრდა რაზმელის, დაუვიწყარი ამბაკო სამანიშვილის, გაქცევა. ამბაკო თან გაიყოლიეს ეტაპში აშხ. კოტეცინცაძემ და მიშა ბიბინიშვილმა სხვის მაგიერ, რომელიც, განგებ ავად გამხდარი, საავადმყოფოში იწვა.

დავუბრუნდეთ საგანს. საჭირო იყო ისეთი ხერხის გაკეთება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური ტუსალების მასიური გაქცევა.

ამის შესახებ საპრობილეში ყოფნის დროს პირველად აშხ. კოტეცინცაძე მოელაპარაკა იქაურ ამხანაგს და შეჰპირდა გადასახლებიდან დაბრუნებისათნავე საქმეს შესდგომოდა.

ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული კოტე ქუთაისში ჩამოვიდა 1907 წლის სექტემბერში. ამხანაგების მეტად ვიწრო წრეში მაშინვე გადაწყდა დაგვეწყო გარედან საპრობილეში დიდი ხერხის გაყვანა, რამდენადაც შეიძლებოდა კონსპირაციულად. ამიტომ ეს საკითხი ორგანიზაციაშიაც არ დასმულა. რამდენადაც ვიცი, მენშევიკებიდან პირველ დღეებში ამ საქმეში ამხანაგებს დახმარებას უწყვედა მხოლოდ ზაქარია გურული.

სამხრეთით ქუთაისის საგუბერნიო საპრობილეს ობორინის ქუჩა უვლიდა; ამ ქუჩის მეორე მხარეს თავში იყო ვარლამ ფანცხავას ერთსართულიანი გალავანშემოვლებული სახლი, სწორედ საპრობილის პირდაპირ. საპრობილის გალავანსა და ფანცხავას სახლს შუა, მაშასადამე, გადიოდა ობორინის ქუჩა. საპრობილის გალავნიდან საპრობილის შენობამდე იყო ციხის ეზო. ერთი სიტყვით, მანძილი სახლსა და საპრობილეს შუა დაახლოებით 20-24 მეტრს უდრიდა. შიგნით საპრობილის გალავანსა და საპრობილის კედლის შუა დადიოდა ყარაული ჯარისკაცი. გარეთ, ობორინის ქუჩის

კუთხეში, სწორედ ფანცხავას სახლის კიშკართან, იდგა საყარაულო ჯინური („ბუდეკა“) და სახლსა და საპრობილის გალავანს შუა დადიოდა ჯარისკაცი. თუ გარედან ხერხის გაყვანა გადაწყდებოდა, უეჭველად სახლიდან უნდა დაწყებულყო— ყველაზე მოკლე მანძილი აქ იყო, რადგანაც ამ სახლიდან დაწყებული და სწორ ხაზზე გავლილი ხერხი ქვევიდან მიადგებოდა ქვევითა სართულის „სეკრეტი №1“-ის იატაკს.

გადაწყდა, — ხერხი სწორედ ფანცხავას სახლიდან დაწყებულიყო. ერთმა გარემოებამ მეტად შეგვიწყო ამ შემთხვევაში ხელი. სახლი მეტად შემწეული იყო საპრობილის ადმინისტრაციის მიერ, რადგანაც საპრობილის ზემო სართულის დერეფნის ფანჯრები ამ სახლს პირდაპირ დაჰყურებდა და, წინააღმდეგ აკრძალვა-გაფრთხილებისა, ყოველთვის ხერხდებოდა ფანცხავას სახლიდან ღუნჯური ლაპარაკი სხვადასხვა ნიშნის ჩვენებით პოლიტიკურებსა და მათ ნაცნობ-ნათესავთ შორის. სწორედ ამ მიზეზით ფანცხავას სახლი დააცლევინეს თურმე ხერხის დაწყების წინა ხანებში, ეს კი ჩვენთვის სწორედ მისწრება იყო.

საჭირო იყო ამ სახლის დაქირავება, მხოლოდ მდგმურები უეჭველად ჩვენი კარგი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ: აბა, სხვა ვინ მოიძულებდა თავს! ასეთებიც აღმოჩნდნენ: ჩვენი ძველი ამხანაგი ერეშია ლომთათიძე (წინათ იმ არალეგალური ლიტერატურის საწყობის გამგე, რომელიც მე მებარა), აშხ. მარო ბოჭორიძე (ვითომ მისი ცოლი) და აშხ. ნატაშა კალანდაძე (ვითომ მისი და), შემდეგ ჩვენი განსვენებული ამხანაგის აკაკი დალაქიშვილის ცოლი. აი ეს „სამება“, დიდი განზრახვით გატაცებული, ბინადგება იქ. რა თქმა უნდა, ყველას პამპორტი სხვის სახელზე ჰქონდა. ერეშია ექვსი თვით ქირაობს ამ სახლს. ქირას წინდაწინ იხდის. მიაქვთ ჩემი სახლიდან საქსოვი მანქანა თავისი მოწყობილობით.

ფანცხავას სახლიდან შესწყდა მუნჯური ლაპარაკი. ამ ამბით საპრობილის ადმინისტრაცია, უე-

ჩვენ ყველანი



მზათ ვართ ოქტომბრის



ვიყავით შეკრებებში



მონაპოვართა დასაცავად!



ქველია, კმაყოფილი დარჩებოდა. ეს სახლი „საქსოვ სახელოსნოდ“ გადაიქცა. ფანჯრებსა და აივანზე გამოიფინა სანიმუშოდ კაცის წინდები და ქალის „ჩულქები“. ახლომახლო მეზობლებში გავარდა ხმა წინდის საქსოვი სახელოსნოს გახსნის შესახებ და შეკვეთები შეკვეთებზე მოდიოდა. ეს ახლომახლო მეზობლები განსაკუთრებით საპრობილეში მოსამსახურეებისაგან შესდგებოდნენ. ამ „შემჩნეულ“ სახლსა და საპრობილეს შორის ერთბაშად მუნჯური ლაპარაკის შეწყვეტამ ჩვენს მდგმურებს საპრობილის ადმინისტრაციის თვალში დიდი ნდობა მოუპოვა.

ხვრელის თხრა უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდევ სახლის სარდაფიდან. გამონათხარი მიწა თვით სარდაფში უნდა დარჩენილიყო. მიტანილ იქნა სათხრელი იარაღი და ამხ. კოტე ცინცაძე და ბაჭუა კუპრაშვილი ჭიათურიდან გამოწვეულ მადნის ორ მუშასთან ერთად შეუდგნენ ხვრელის თხრას. რამდენადაც მასსოვს, ხვრელზე მუშაობენ აგრეთვე ჩვენი ამხანაგები, რომლებიც დღეს ცოცხალნი არ არიან: ილიკო კუპრაშვილი, აკაკი დალაქიშვილი და კოსტა ფარჯანიძე. სამუშაო იარაღი მეტად პრიმიტიული იყო და რამდენადაც მეტს სთხრიდნენ და შორს მიდიოდნენ, იმდენად უფრო ძნელდებოდა მუშაობა, ჰაერი არ ჰყოფნიდათ, სანთელი უქრებოდათ და სუნთქვა უძნელდებოდათ. ესენი იყვნენ ძლიერი სულის და მტკიცე ნებისყოფის მქონე და რევოლუციონურ მგზნებარე ცეცხლში ფოლადივით ნაწრთობი პიროვნებანი, და ეს საქმეც ბოლომდე სწორედ ამიტომ მიიყვანეს.

ასე დიდებულად დაწყებული საქმე, რის დამთავრებას სულ ცოტა-ლა აკლდა, ერთმა უბრალო შემთხვევამ კინალამ დაღუპა. სახლის პატრონს ფანცხავას რაღაცასთვის მოეკრა ყური, თუ უსახელო წერილი მიეღო: „შენი სახლიდან „პოდკოპი“ გაჰყავთ ციხეშიო“. იმ წამსვე მივარდნილიყო სახლში და სარდაფში ჩასვლა განებრახა, მაგრამ სარდაფში ჩასვლის ნება, რა თქმა უნდა, ჩვენებს არ მიეცათ. მგონი ეთქვათ: ბინის პატრონი აქ არ არის, მას აქვს

გასაღები და შემდეგ მოდიო. ის რომ წასულიყო. თვალყურის სადევნებლად ერემია გამოდგომოდა: საეჭვო ალაგას არსად შეუხვიოსო.

მაშინვე ჩემთან მოვარდა და მაცნობა ეს ამბავი. თითქო მეზი დაძევა თავზეო, ისე იმოქმედა ჩემზე ამ ყოვლად მოულოდნელმა ამბავმა. ამხანაგებზე საშინლად გავეჯავრდი: „როგორ არ გრცხვენიათ ასეთ გამოცდილ ხალხს, რომ ვერ ღოიფიქრეთ ფანცხავას იქვე დატუსაღება! ვეება ვაჟკაცია, ჩაგებათ გვირბის სათხრელად და თქვენზე ორჯერ მეტს გააკეთებდა. თან ვაიძულდებით, რომ წერილი მიეწერა ცოლისთვის: უცბად ტფილისში შემხვდა წასვლა სასწრაფო საქმეზე და ერთ კვირაში დავბრუნდები-თქო. იმ წერილს კი ტფილისიდან გამოვუგზავნიდით. ახლა კი გვიანდაა. რა თქმა უნდა, გაცემას ვერ გაბედავს, მაგრამ მას შეუძლია ყოველგვარი პირობა გვიკარნახოს და ჩვენც იძულებული ვიქნებით შევასრულოთ მეთქი“. ერემია ყველაფერში დამეთანხმა, მხოლოდ თავი იმით იმართლა, „ისე მოულოდნელად დაგვეცა თავს, რომ ველარაფერი მოვიფიქრეთო“.

აშკარა იყო, ერთად-ერთი გამოსავალი ამჟამად ის იყო, რომ ვინმე გავლენიანი პირის საშუალებით მოვლაპარაკებოდით და პირობა მიგვეცა, თუ რამ ზარალი მოუფიქროდა, ჩვენ გვეზლო. ასეთი გავლენიანი პირი, რომელსაც ფანცხავაც დაუჯერებდა და ჩვენც აშკარად შეგვეძლო გაგვემხილა ყველაფერი, იყო ძველი რევოლუციონერი და იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი. საჭიროდ ვცანიით ზდანოვიჩთან მოსალაპარაკებლად წავგვეყვანა მენშევიკი გრიშა ლორთქიფანიძე. კოტე და ერემია წავიდნენ გრიშასთან და მისი თანხლებით კი გიორგი ზდანოვიჩთან. ზდანოვიჩმა მისცა ფანცხავას 3000 მანეთის თამასუქი, რომელიც შემდეგ ჩვენ გავანაღდეო.


25 სექტემბერს საღამოთი გვირაბი მზად იყო. გვირაბში გასვლა უნდა მომხდარიყო პოლიტიკურების საერთო სერიზობის დროს, ე. ი. საღამოს 4 საათზე. გადაწყდა მეორე დღეს, 25 სექტემბერს (ძველი სტილით), საღამოს 4 საათზე დაეწყოთ გასვლა. ყოველი

წვრილმანი წინდაწინვე იყო გათვალისწინებული და მთელი ამ საქმის ორგანიზაცია საათივით უწყობილი. გარეთ შემუშავდა და გაიგზავნა საპრობილეში გასაქცევ ამხანაგთა სია და გასვლის რიგიც. სიაში სულ 37 ამხანაგი მოხვდა საპრობილეში მოეწყო ამხანაგების ვიწრო წრე, რომელსაც ორგანიზაციულად უნდა ჩაეტარებია საპრობილიდან ამხანაგების გაშვება.

ერთი მაშინ გაქცეული ამხანაგი (ლევო ქიაჩელი) ასე აგვიწერს საპრობილეში გამომუშავებულ და განხორციელებულ გეგმას:

„მუშაობაში ჩააბეჭდნენ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული საიმედო ამხანაგები, რომელთაც გაქცევა არ ესაჭიროებოდათ. ერთს ამათგანს ევალგებოდა № 1 „სეკრეტთან“, სადაც ხვრელი იყო გამოყვანილი, გაქცევის დროს დარაჯობა. მას უნდა ჰქონოდა ორნაირი ცხვირსახოცი—წითელი და თეთრი; თუ საფრთხე არ იყო მოსალოდნელი და გზა ხსნილი იყო, მას ეჭირა ხელში თეთრი და პატიმრებიც რიგ რიგად ეზოდან „სეკრეტში“ შედიოდნენ ხვრელში ჩასაძრომად. თუ რაიმე მიზეზით გამოსვლა შეჩერებული უნდა ყოფილიყო, ამ ამხანაგს წითელი ცხვირსახოცი უნდა დაეჭირა ხელში. ამის დამნახველი, გამქცევთა რიგში ჩამდგარი პატიმარი, „სეკრეტში“ არ უნდა შესულიყო და მანამ ეცადა, სანამ წითელი ცხვირსახოცი „სეკრეტთან“ მოდარაჯე ამხანაგის ხელში თეთრით არ შეიცვლებოდა.

„მეორე ამხანაგს ზემო სართულში უნდა ედარაჯა. იგი ფანცხავას სახლს ვადამყურე დერეფანში ფანჯარასთან უნდა მდგარიყო და იქიდან ედევნებია თვალყური, თუ, ვინცობაა, სახლიდან რამე ნიშანს აჩვენებდნენ. მის განკარგულებაში იყო შიკრიკი, რომელიც მყისვე ძირს სართულში აცნობებდა ყველაფერს, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. გარდა ამისა, საერთო ეზოში სიით ხელში დადიოდა ერთი ამხანაგთაგანი და რიგ-რიგად, სიის თანახმად, სრული წესრიგის დაცვით, ეუბნებოდა მორიგს, — შენი დროა და რიგი, წადიო. ესეც ნელი ნაბიჯით, თითქო სერიზობა მოსწყენოდა, გაემართებოდა ციხისაკენ და „სეკრეტისაკენ“ მი-



ემურებოდა. მის გასვლას რიგის მაჩვენებელს ეზოში სათანადო ნიშნებით აცნობებდნენ და ისიც შემდეგს გამოისტუმრებდა ჯადო „სეკრეტისაკენ“. ადმინისტრაციულ პატიმარს, ბიქტორ ქავთარაძეს, დავალებული ჰქონდა ციხის დუქანში ქვეითა სართულის ზედამხედველის გართობა. იგი უნდა შეექცია მას მსუქანი ქათმის ხორცი, რაც წინასწარ იყო დამზადებული მის პატივსაცემად.

თომა ჩუბინიძის „სეკრეტში“ (ზემო სართულში, საპრობოლის ეკლესიის პირდაპირ) სიაში მოქცეულ ამხანაგებს სეირნობის დაწყების წინ გასამხნეებლად კონიაკს ასმევდნენ. არ ვიცი, ვისი რჩევით ხდებოდა ეს; თვითონ კონიაკის რა მოგახსენოთ, ხოლო მისი სმის პროცესი კი მართლა გამამხნეებელი იყო. სათითაოდ შეიხმობდა თომა „გასაქცევს“ თავის „სეკრეტში“, მიიყვან დაკუთხესთან და საიდუმლოდ გადააკრევიანებდა კონიაკს. „აბა, შენ იცი, არ შეშინდეო“.

გარეთ გამოსვლის დაწყებამდე მომუშავეთაგან სახლი უკვე დაცალიერებულიყო. იმ დრომდე, სანამ ტუსალების გამოსვლა დაიწყებოდა, დარჩენ მხოლოდ სახლის მდგურები: ერემია, მარო და ნატაშა. საპრობოლის გარშემო სხვადასხვა ალაგას ეტლი იდგა და ამხანაგები თითო-თითოდ მიდიოდნენ ეტლთან. გამოქცეულმა ამხანაგებმა იცოდნენ, თუ რა პაროლით უნდა მიემართათ ეტლებთან მდგომი ამხანაგებისათვის და შემდეგ ისინი ბინებზე მიჰყავდათ. უმეტესი წილი ამხანაგებისა, ზოგი ეტლით და ზოგი ქვეითად, მოადგა სასტუმროს „გურია“, სადაც ვუცდიდი მათ რამდენიმე ამხანაგით და იქიდან ვგზავნიდი სხვადასხვა ბინაზე თითო ამხანაგის თანხლებით.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სრული ჭეშმარიტებაა თქმულება: „რევოლუციის მოხდენა უფრო ადვილია, ვიდრე მის მონაპოვართა შენარჩუნებაო“. ასეა თითქმის ყოველ საქმეში და ეს ამ შემთხვევაშიც გამართლდა. პირველად ყველაზე უფრო ძნელი საქმე გვირავის გაყვანა იყო. მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ იყო მიქცეული, ხოლო სხვა რამეზე თავს არა-

ვინ იტკივებდა. ყოველ შემთხვევაში, გაქცევის შემდეგ მათი დამალვა მეტად იოლ საქმედ მიგვაჩნდა. სავსებით მართალია ამხ. კოტე ცინცაძე, როცა ამბობს: „უნდა ითქვას, რომ საპრობოლიდან გაქცევის ორგანიზაცია უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე გაქცეული ამხანაგების მოვლა. საჭირო იყო ბევრი ამხანაგისთვის ბინის გამოცვლა, ფულისა და ტანსაცმლის მიწოდება, რკინის გზაზე გადაყვანა და ტფილისში მათი გამგზავრება, პირისახის შეცვლა, პარიკები, ერთის სიტყვით, საქმე ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე მიწის თხრა და ამხანაგების იქიდან გამოყვანა“.

ხუმრობა ხომ არ არის, პატარა მეშინაურ ქალაქ ქუთაისის დიდ საგუბერნიო საპრობოლიეში შეჰყავთ მთელი 24-26 მეტრის მანძილზე ხერელი კი არა, როგორც ჩვენ ვეძახდით, არამედ მთელი გვირაბი, თაღებგამაგრებული, სავსებით განათებული და იქიდან გაჰყავთ 40-მდე მძიმე პოლიტიკური დამნაშავე, რომელთაც მოელოდათ ჩამოხრჩობა, ციხიერი, გაჰყავთ დღისით, ნაშუადღევს 4 საათზე, თითქმის მთელი თვის მუშაობის შემდეგ. ამის შემდეგ სად შეუძლია თავის გამოყოფა ქუთაისის ჟანდარმერიას, პოლიციას, საერთოდ, ადმინისტრაციას! რალა თქმა უნდა, ქუთაისის ადმინისტრაციას თავი უნდა გადაედო და როგორმე აღმოეჩინა გაქცეულები, გვირაბის ორგანიზატორები და ამისთვის ის არავითარ საშუალებას არ დაზოგავდა და არც დაუზოგავს.

თუ ასე მოხერხებით და გაბედულად ჩატარებულმა ამ დიდმა რევოლუციონურმა აქტმა მშრომელ მასაში უდიდესი ენტუზიაზმი გამოიწვია, სამაგიეროდ, საზოგადოების მეშინაური ნაწილი მან მეტად დააფრთხო... ასეთ პირობებში ვინ გაიკარებდა სიახლოვეს, შესანახად და დასამალავად, გაქცეულ პოლიტიკურ დამნაშავეს... თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქუთაისის მოწინავე საზოგადოება არა თუ თანაგრძობით შეხვდა ამ საქმეს, ზოგი მათგანი დიდ დახმარებასაც არ იშურებდა. ვისაც კი მივმართავდი პინისთვის, ყველა მზად იყო. ამ

ნიადაგზე კურობებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ტენგინის ღვიგონის ჯარისკაცი, პოლიტიკური დამნაშავე მოსე ბეიტლერი, დამალულ იქნა გუბერნატორის კანცელარიის ჭერში, იმავე კანცელარიის მსხვილი მოხელის ბაღუა ჩიქოვანის წყალობით. ბეიტლერთან მსგელობა და მისთვის საქმლის მიწოდება მანვე იკისრა. ყველაზე მეტ დახმარებას გვიწვედა ოზურგეთის მაზრის თავად-ახნაურთა წინამძღოლი კლწია ერისთავი. ამ საქმეში მისი გამბედაობა პირდაპირ რაინდული იყო. გაქცეულთა შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური დამნაშავე, დაუფიწყარი თომა ჩუბინიძე, კ. ერისთავმა ხელი-ხელგაყრილი გააცილა ქუთაისიდან რიონის სადგურამდე და ტფილისში გაამგზავრა. თუ რა საფრთხეში აგდებდა ამით თავის თავს, ამაზე ლაპარაკი მეტია.

სამაგიეროდ, მენშევიკებს (თუ სახეში არ მივიღებთ ზაქარია გურულის რამდენიმე დღის მუშაობას და გრიშა ლორთქიფანიძის მიყოლას გიორგი ზდანოვიჩთან) თითოც არ გაუნძრევიათ და ერთი გროშიც არ გაუღიათ.

ყველა, ვინც გავუშვით დამხადებულ ბინაზე, შეიძლება ითქვას, საიმედოდ იყო დაცული, გარდა 4-5 ამხანაგისა, რომლებიც, ალბათ, არ ენდვნენ ქალაქსა და ჩვენს ბინებს და, როგორც კი თავისუფლად ამოისუნთქეს, მაშინვე შინისკენ გაუდგნენ გზას. ისინი მუხიანის სადგურზე შეიპყრეს და უკან დააბრუნეს. მათ შორის იყო ამხ. გედენია კაჭარავა.

რამდენიმე დღის შემდეგ მივიღეთ ცნობა: ორი ამხანაგი, ჭიჭიკო ასათიანი და ლეო ქიაჩელი, გოდოგანის ტყეში არიან გზაბნეულნი; მათ ჩამოსაყვანად გავაგზავნე ამხ. გიორგი ყვანია. ისინი ქუთაისში დავაბინავეთ.

გადამეტებული არ იქნება ვთქვა, რომ გაქცეულებისათვის ბინების შოვნისა და მათი გამოწყობა-გამგზავრების მთელი სიმძიმე მე დამაწვა თავს, როგორც ადგილობრივი პირობების და მოსახლეობის საუკეთესო მცოდნეს. ახლა რომ მაგონდება, მიკვირს არა ის დაუცხრომელი ხალისი და უსაზღვრო ენერჯია, რომელიც არ მაკლდა, არამედ ის, თუ სად ჰქონდა ადმი-

ნისტრაციას თვალეში, რომ ვერ ამჩნევდა ჩემს უსაზღვრო წანწალს ბინების ძებნაზე, ტანსაცმელუბის ბაზარში ყიდვაზე, თუ პასპორტზე და სხვა საქმეზე.

ამხ. კოტე ცინცაძე თავის მოგონებაში (იხ. „რევ. მატ.“ № 4, გვ. 74) ამის შესახებ სწერს:

„ჩვენი ფრაქციის ადგილობრივი ამხანაგებიდან დიდ და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამხ. ბ. ბინიანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივებიდან მთელი სიმძიმე გაქცეულების მოვლისა მას დააწვა კისერზე. სხვათა შორის, მეც მასთან მქონდა ბინა. რაც იქნებოდა საჭირო, აბა, ბარონ, შენ იცი. პარიკმახერი— აბა, ბარონ... და ბარონიც წელში წყდებოდა, მაგრამ შოულობდა, აწყობდა. მის შემდეგ დიდ დახმარებას გვიწევდა ბაქუა კუპრაშვილი. ასე ამნაირად ჩვენ სამი: ბარონი, მე და ბაქუა

შევუდექით გაქცეულების მოვლას, მათ ტფილისში გაგზავნას...“

გადაწყვეტილი იყო, პირველ რიგში გავგეშვა უფრო მძიმე დამნაშავენი და შემდეგ სხვები. ამრიგად ყველაზე უწინ გავამგზავრეთ მოსე ბეიტლერი, რომელსაც რიონის სადგურზე აღფეს მუსერიძე ჩაჰყვა, მეორე რიგში—თომა ჩუბინიძე და ისმაილ ჭუმბურიძე.

ვამზადებთ შესაბამე წყებას, რომ 2 ოქტომბერს (ძველი სტილით), გათენების ხანს მთელ არქიელის გორას ალყა შემოარტყეს და ყოველი სახლის, ყოველი ხის ძარის და ბუჩქის სასტიკი ჩხრეკა გააჩაღეს. გორაზე იმ ღამეს რამდენიმე ამხანაგი გვეყავდა და მათ შორის საშა სტეფანოვა და დათიკო სულიაშვილი. ჩხრეკა რომ დაიწყო, საშა სახლს არ ენდო და თავი ბუჩქებს შეაფარა, საიდანაც მალე გამოაძვრინეს, დათიკო სულიაშვილი კი, რომელიც სობოროს მედავითნე ბოლშევიკ კანდელაკთან (ბოლშევიკებს ემხრობოდა) იმაღლებოდა, გადარჩა.

ამან თავზარი დაგვცა ყველას და გადავწყვიტეთ, რაღაც გინდა დაგეგდომოდა, დაგვეჩქარებია დანარჩენების გაგზავნა.

თითქო გუშინ იყო, ისე მახსოვს.

მას სამართებელი გადაუსვა და პულარი წასცხო. კოტე მგონი ტანისა მოსს არგებდა მათ. ჯოხაძე ქალის ტანსაცმელში გამოვაწყვეთ. სწორედ ქალსა ჰგავდა, მაგრამ მისი

მამიკაცური უხეში სიარული ყველას სიცილსა ჰკვირდა. წინადადება მივეცი, ნაბიჯისთვის მოეკლო. ყველანი რიგზე არიან ჩაცმული, საესებით გამოცვლილები.

მე პასპორტების მზადებაში ვარ გართული. უკვე მოვუზხადეთ ერთს, ვიწყებ მეორეს. ალექსანდრე ჩიქავამ მთხოვა, მისთვის, თუ შეიძლებოდა, უფრო საიმედო პასპორტი ამეზრჩია, და მეც აფურჩიე სამაზრო სამმართველოს ბლანკებიდან. სიაში ვექებ ცნობებს რომელიმე გაცემულ პასპორტზე; ამ დროს საქმეში ერევა ალფეს მუსერიძე და მთხოვს სამაზრო სამმართველოს პასპორტის ნაცვლად მეზრჩა—თა სამმართველოსი მივცე.


მე არ ვუჯერებ და ვანვარძობ წერას. შემდეგ აღფესი უმტკიცებს ალექსანდრეს, რომ მისთვის უფრო საიმედო იქნება მეზრჩა მამასახლისის პასპორტი. აბა, ვინ მიაქცევდა მაშინ ამას ყურადღებას. მე ხურობით შევნიშნე მხოლოდ: „შენ, კაცო, ნუ აშინებ ამ ხალხს. შენ კი, ჩემო ალექსანდრე, უფრო მე მეწადე, აღფესი, რაც გინდა იყოს, მაინც პოლიციელია“. ყველამ გავიციინეთ, და ამის შესახებ ლაპარაკი შესწყდა.

სულიერი განწყობილება ყველას საუცხოვო აქვს. უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობთ, რომ კარგად მოწყობილებს ვისტუმრებთ. მე და კოტემ მგზავრები დავკოცნეთ. გადავკოცნეთ აღფესაც: „აბა, შენ იცი, ჩემო აღფეს, როგორ ჭკუით, შენებურად მააცილებ რიონში და ჩასვამ ტფილისის მატარებელში. რა უნდა მოხდეს, მაგრამ ვინიცო—ბაა, თუ ხიფათი რამ შეგემთხვეს, ამაღამვე უნდა მაცნობო...“ შინ შემოვბრუნდი და, რადგან უკვე გვიან იყო, დავწექით. ძილი თითქო არცერთს არ გვეკარება.



კვირადღეა, შემოდგომის მშვენიერი დარი. მთელი დღე დავდივარ ბაზარში ზემოხსენებული მედავითნე კანდელაკის თანხლებით. ვიყიდეთ სამი წყვილი ტანსაცმელი,—ორი კაცის და ერთი ქალის. საღამოსთვის ჩემ ბინაზე (ჭომის ქუჩა, კახეთელიძე მღვდლის სახლი) მოვიწვიე პარიკმახერი (უპარტაო, მაგრამ სანდო) თავისი სრული მოწყობილობით, პარიკებით და სხვ. მეზრჩა მამასახლისის ისმაილ გოლაშვილისაგან (რომელიც ესერებს პასპორტებს აწვდიდა) ვიყიდე 10 მანეთად ათი საპასპორტო ბლანკი. დავიბარე, საღამოს ჩემთან მოსულიყვნენ გასაგზავნათა გასაცილებლად აღფეს მუსერიძე და ჩვენი მედავითნე. კოტეს-კი უიმი-სოდაც ჩემთან მქონდა ბინა. დღეს უნდა გავამგზავროთ სამი ამხანაგი: ალექსანდრე ჩიქავა, ლავრენტი ესეანჯია და ჯოხაძე.

დაღამდა, და ჩემს ბინაზე ვაჩაღდა მუშაობა. პარიკმახერი ზოგს ჰპარსავს, ზოგს პარიკს უკეთებს. ჯოხაძე ახალგაზრდა, პირტიტველი ყმაწვილი იყო; პარიკმახერმა



კოტა ხნის შემდეგ კოტემ დაარღვია სიჩუმე, მეკითხება: „კაცო, ვინაა მამი ჩინოვნიკი, ასე თავგამოდებით რომ გვემსახურება“ მე ვუამბე, თუ საიდან გაჩნდა ის, ვინ იყო და რა ღვაწლი მიუძღოდა რევოლუციის წინაშე. ბოლოს შევატყვე, რომ კოტეს ჩასძინებოდა, მეც დავჩუმდი და ღრმა ფიქრებში გავვერთე.

ის იყო, ძილი მეკიდებოდა, როდესაც ზარის ხმა მომესმა. პირველი ფიქრი, რამაც თავში გამიელღვა, იყო ის, რომ პოლიცია დავგვსხა თავს, და კოტეს ღვიძება დავეწყე. „ჩქარა ადექი, ბიჭო, პოლიციაა, შეიძლება უკან გასასვლელით თავს ვუშველოთ“. ვატყობ, რალაცას ლულულულებს და არ ინძრევა. „ჯანაბას შენი თავი, თუ აღგონა გეზარება, რომ დაგიტყრენ, მაშინ ვნახთო, ადგები თუ არა!“ და კარის გასაღებად წავედი.

ვალბე კარს და ვხედავ, რომ გიტი ქუჩაში დგას, მისი ფარნის შუქი სახეზე სცემს მდგომ მუსერიძეს.. ქოჩორიდან დაწყებული ფრჩხილებამდე მთელ სხეულში თითქო ელექტრობამ დამიარა. მივხვდი, რომ საქმე ჩაიფუშა და ჩვენები მტერს ჩაუვარდენ კლანჭებში. პირველი აზრი, რომელმაც სწრაფად გამიელვა თავში, იყო:

„თვითონ აღფესმა ხომ არ მოაწყობ?“ ამ საშინელმა აზრმა უცბად გამიელვა და უცბადვე ჩაქრა. „რა ამბავია, რა მოხდა?“ — შევძახე.

„ყველანი ჩავარდენ. ჩავსხებით თუ არა მატარებელში, ალყა შემოგვარტყეს. ისინი დაიჭირეს, მე კი ძლივს დავაღწიე თავი“.

შემდეგი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ალყა მაზრის უფროსს შემოურტყამს თავისი ჩაფრებით, იმ დროს, როცა სადგური ქალაქშია და ქალაქი კი პოლიცმეისტერს აბარია. მუსერიძეს ვუთხარი, ხვალ დილით ყოველ მისზეხს გარეშე მნახე ბანკში მეთქი და გავისტუმრე.

მე და კოტე ჩვენს-ჩვენს ლოგინზე მივევდეთ. ორივე დიდხანს ვიყავით ვარინდული, ხმას არ ვიღებდით. შემდეგ მე დავარღვიე მყუდროება და კოტეს გავუზიარე ის საშინელი აზრი, რომელმაც მუსერიძის დანახვასთანავე თავში გამიელვა. დავიწყე მტკიცება, გამიკვირე ეს უნდა იყოს მეთქი. იქვე მოვიგოწე, რომ ძალიან არ უნდოდა მისი მოტანილი ჰასპორტი მიგვეცა, რომ „მაზრის უფროსი წინათ ტყობილობს, ვიდრე პოლიცმეისტერი“ და სხვა. კოტესაც ასე ეფიქრა. რამდენიმე საათის წინათ ვუამბობდი მას, თუ ვინ იყო მუსერიძე და რა გაეკეთებია. შევუდექით ნამდვილ კამათს, თითქო

მუსერიძეს ვასამართლებდით და მოპირისპირე ვეჭილები ვიყოთ. მე რომ ვიცავდი, — ის ამტყუნებდა, როცა ის იცავდა, — მე ვამტყუნებდი. არ დავგიტოვებია 4-5 წლის განმავლობაში მუსერიძის შესახებ არაფერს ვერც ვიცი. ვეუფასებელ-გაუკრიტიკებელი. გათენდა კიდევ, და ორივე იმ აზრს დავადექით, რომ, ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა და სასწრაფოდ უნდა გამოირკვეს ეს ეჭვი, ან დამტკიცდეს და ან გაუხმაურებლად უარყოფილი იქნას. ამის გამორკვევა მე ვიკისრე. კოტეს მხოლოდ ვუთხარი, რომ მუსერიძე ჩემი ხუთი თითივით მყავს შესწავლილი, ის ბავშვივით გულუბრყვილოა, ჩემს მოტყუებას ვერ შესძლებს, ის უკვე დაბარებული მყავს და ან ბინის შოვნას დავავალებ, ან განგებ რამე საიდუმლოს შევაცუობინებ, მხოლოდ სამი დღე მაცალეთ, ჯერ ამ ამბავს ნურავინ გაიგებს მეთქი. კოტე დამეთანხმა და საქმეს შევუდექი.

როგორც დაბარებული მყავდა, მუსერიძე დანიშნულ საათზე ბანკში გაჩნდა. ჯერ წინალამინდელ შემთხვევაზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მეტად ფრთხილად გადავედი ამხანაგების შესახებ საყვედურებზე, რომ თავზე დამაწვა ამოდენა საქმე და კოტეს მეტი არაფერი მეხმარება და ისიც ისეთი ზარმატია, რომ წუხელის გვეგონა პოლიცია მოვიდა და მას აღვომა და გაქცევაც შეეზარა. ტუსალები, წუხელის დაჭერილებსა და მოსე ბეიტლერს გარდა, რომელიც შენ გააცილე, — ვუთხარი მუსერიძეს. — აქ არიან, ყოველდღე რამდენიმე ბინაა საჭირო და არ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე. მზადა ვარ ყველაფერს თავი გავანებო, მაგრამ თომა ჩუბინიძე მეცოდება. მას თუ დღესევე არ გამოვუცვალეთ ბინა, დაიჭერენ მეთქი (თომა კი უკვე ტფილისში იყო).

მან წინადადება მომცა, თომა მის ბინაზე გადამიყვანა. მე უარი ვუთხარი: შენ სიმამრთან ცხოვრობ, ბევრი ხალხია, ვისმე რამე წამოსცდება და დაიღუპები, მაგრამ, თუ სალამომდე ვერსად ვიშოვნე მისთვის ბინა, სხვა გზა არაა, ისევე შენ უნდა მოგანდო, ამიტომ სალამოს 6-7 საათზე უეჭველად შინ მნახე მეთქი, და ამით ერთმანეთს გავშორდით.

სწორედ სალამოს ექვს საათზე მოვიდა ჩემთან. „შენი მეტად მადლობელი ვარ, ჩემო ალფეს, მაგრამ თომას ბინა უკვე ვუშოვნე ფილიპე ჭელიძის ბუხჩალტერთან, სამსონ კობიძესთან. თუმცა კარგი ბინაა, მაგრამ თითქმის 5 6 პირმა იცის, ეს კი არ ვარგა, მაგრამ მე

მეტი არაფერი შემიძლია, ჩავარდება და ჩავარდეს, ვერავის თან ვერ გადავყვები“.

გამოვეშვიდობე და ერთმანეთს დავშორდით. იმ წამსვე წითელ ხილთან ჭელიძის ღვინის საწყობში გავიქეცი, ვნახე კობიძე და გავაფრთხილე: მე ჯამუსუები კვალდაკვალ დამდევდნენ, ამასწინად აქ რომ შემოვედი, შემამჩნიეს და, ვინ იცის, შეიძლება გასაჩხრეკად მოვიდნენ და ოთახში არაფერი იქონიო მეთქი.

მეორე დღეს არც ჭელიძისაკენ გამივილია და არც მუსერიძე მინახავს. მესამე დღეს დილით 8 საათზე შევიბრბინე ჭელიძის საწყობში კობიძესთან და სანამ მე რასმე ვკითხავდი, მითხრა: „რა კარგ დროზე გამათრახილი! სწორედ იმავე დამეს, ნაშუალამებს თავს დამესხა მაზრის უფროსი სტრაჟნიკებით და სულ გადმოატრიალა მთელი ოთახი. ჩემი ბიძაშვილი იყო ჩემთან და კინალამ დაატუსაღეს თან რალაც სურათები ჰქონდათ, სულ იმ სურათებს უყურებდნენ და ჩემს ბიძაშვილს უმზერდნენ, ალბათ აღარებდნენ“.

გველნაკებნივით გამოვბრუნდი. მოვდივარ და სულ იმის ფიქრში ვარ: არის ეს საკმაო თუ არა, რომ მუსერიძეს პროვოკატორობა დავწავოთ? გადაწყვიტე კოტესთან მოლაპარაკება. ამ ფიქრში რომ ვარ, ბულგართან შემეჩეხა მეტისმეტად მოწყენილი მუსერიძე თავისი ცოლიდის თანხლებით. სალამის მიცემის შემდეგ მოწყენის მიზეზი ვკითხე. მიპასუხა: შვილი (2 თუ 3 თვის) მომიკვდა წუხელის და კუმბოს შესაკვეთად მივედივარო. სამძიმრის გამოცხადების შემდეგ განზე გავიხმე და ცალკე ვუთხარი:

— შენ ახლა რალა ჩვენი ამხანაგებისა გცხელა, მაგრამ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა: კაცო, ჩვენი თომა ბეწვზე გადარჩა. ხომ გახსოვს, რომ გითხარი, ჭელიძესთან არის მეთქი. ჰო და მისულან გუშინწინ ლამით ჭელიძის ბუხჩალტერ კობიძესთან და სასტიკად გაუჩხრეკიათ... — მერე, მერე? — მოუთმენლად შემეკითხა ალფესი.

— მერე და სამსონა კობიძე მეტად ჭკვიანი ბიჭია. მე რომ ვუთხარი, შენთან ოთახში ამყოფე მეთქი, მას წაუყვანია და ჭელიძის ღვინის სარდაფში ბოჭკებთან დაუმალავს. თურმე, ახლაც იქ არის. თუმცა ახლა უფრო მეტმა ამხანაგმა იცის მისი იქ ყოფნა, მაგრამ რა ვუყო, მე მეტი ბინის შოვნა აღარ შემიძლია, — და ერთმანეთს გავშორდით.

მეორე დღეს დილით კიდევ ვე-
წვიე ქელიძის ბუხპალატერს, კობი-
ძეს.

—კაცო, შენ პროვოკატორი ხომ
არა ხარ? გამოჩნდები თუ არა,
თავს უნდა დამესხან. წუხელის კი-
დევ მობრუნდა მაზრის უფროსი
თავისი სტრაჟნიკებით და ახლა
სარდაფს ეცა. ისე გაჩხრიკეს, თით-
ქოს კაცს კი არა, თავს ეძებდნო.

უკვე არავითარი ეჭვი აღარ იყო.
აღფეს მუსერიძე აშკარა პროვოკა-
ტორია. მე ეს მაშინვე ვაცნობე
ამხანაგებს. გადაწყდა მისი თავი-
დან მოშორება, უკეთ რომ ვთქვათ,
სიკვდილით დასჯა. მაგრამ, სანამ
ამას შევასრულებდით, უნდა გა-
გვეგო, ვისი ვაცემა მოასწრო მან.
ამისთვის განზრახული იყო ჯერ
მისი მოტაცება, ამის შესრულება-
მდე კი მასთან ჩვეულებრივი დამო-
კიდებულება უნდა გვექონოდა. მე
პირადად დარწმუნებული ვიყავი,
რომ თუ ვამცემდა, მხოლოდ ყვე-
ლაზე ბოლოს, რადგან მას მუდამ
მხოლოდ ჩემთან ჰქონდა საქმე.
სხვათა შორის, ყველა ამხანაგი გა-
ვაფრთხილეთ, რომ უჩემოდ მასთან
არავითარი კავშირი არ დაეჭირათ.
ეს ვაფრთხილება დაერღვია მენ-
შევიკ ნესტორ ჩხიკვაძეს, რომელ-
საც მენშევიკური ორგანიზაციის
მიერ მინდობილი ჰქონდა მაზრის
უფროსის მოკვლა. ჩხიკვაძეს მუ-
სერიძისთვის მიემართა სხვადასხვა
ცნობისთვის: როდის, სად და რო-
მელი ქუჩებით დადის მაზრის უფ-
როსიო.

ამ დროს მუსერიძე უკვე გა-
პროვოკატორებული იყო და გადა-
ეწყვიტა ჩხიკვაძის დატუსაღება.
მას შორიახლო გადაცემული ჩაფ-
რები გამოეყოლებია ბულვარში.
ჩაფრებისთვის ეთქვა; „ვისაც ხელი
ჩამოვართვა, ის დაატუსაღეთ და
წაიყვანეთ“. მე კი მუსერიძე
უეჭველად იმ დღეს უნდა მენახა
და მეთქვა, რომ საღამოს 6 საათ-
ზე ჩემთან მოსულიყო ბინაზე. გა-
დაწყვეტილი იყო, თუ მარტო მო-
ვიდოდა, სახლს უკან ჩასაფრებუ-
ლი ამხანაგები დაატუსაღებდნენ.
ხოლო თუ ჩაფრების თანხლებით,
იმ შემთხვევაში დატუსაღებაზე ფიქ-
რიც კი აღარ შეიძლებოდა და
სიკვდილით სასჯელის გადაწყვე-
ტილება სისრულეში უნდა მოგვე-
ყვანა.

დავდივარ ბულვარის ირგვლივ
ქვაფენილზე და ვათვალიერებ შიგ-
ნით და გარეთ მუსერიძეს. მოუ-
ლოდნელად წინ შემეჩეხა. უცბად
ხელს ვართმევ, ის-კი თითქო ნა-
ძალადევიად მართმევს ხელს, სახე
შეშლილი აქვს, იქით იყუ-
რება... მე ვუთხარი, რაც მინდო-
და. გავშორდი თუ არა, დამეწია
ნაბადში გამოწყობილი რამდენიმე
ჩაფარი და გამომიციხადეს, რომ
დატუსაღებული ვარ, და წინ გა-
მიმძღვარეს. გადავედი ლალიძის
მხარეზე. მე მხოლოდ ის მაწუხებს,
რომ ჯიბეში მიდევს კამოს ნაჩუ-
ქარი „მარსის“ სისტემის რევოლ-
ვერი და იმ დღესვე საზღვარგარე-
თიდან მიღებული ლიტერატურა
და წერილი. იმის ფიქრში ვარ,
ეგებ წერილი მაინც შეუმჩნეველად
გადავავად მეთქი. ამ დროს და-
გვეწია მუსერიძე. გაიხმო უფროსი
ჩაფარი და რალაკას ელაპარაკება,
თან ხელით ჩემზე აჩვენებს. შემ-
დევ ჩემთან მოდის და მეუბნება:
„შეცდომით დაგიჭირეს, შეგიძლია
წახვიდეო“. მე წინადადება მივეცი
სესიას საკანდიტრომდე გამყო-
ლოდა. გზაში მისაყვედურებს: „ახი-
რებული კია, ყველანი ბულვარში
იყრიან თავსო“. მე მკვახედ ვუპა-
სუხე: ახლა ამაზე ლაპარაკის დრო
არაა, საღამოს ვილაპარაკოთ მეთ-
ქი, და გავშორდი.

ჩემს ბინას შემდეგ აღარ გავკა-
რებივარ, დავიშალე ვიგო წულუ-
კიძის სახლში. იმ დღეს დანიშნულ
საათზე ის 5-6 გადაცემული ჩაფ-
რის თანხლებით ჩემს ბინაზე მისუ-
ლიყო, მაგრამ რაკი არაფერ და-
ხედეროდა, უკან ვაბრუნებელიყო.
მეორე დღეს მთელი დღის განმავ-
ლობაში თურმე ვაცხარებით და-
მეძებდა, ვისაც ნაცნობს ნახავდა,
ყველას სთხოვდა: „ბარონის ნახვა
მინდა და აცნობეთ უეჭველად მნა-
ხოსო“. აშკარა იყო, უკვე იგრ-
ძნო, რომ გავუგეთ პროვოკატო-
რობა. მან კარგად იცოდა, ასეთ შე-
მთხვევაში როგორ ვუმასპინძლდე-
ბოდით ხოლმე გამცემ-მოლა-
ტეებს. ენახა, სხვათა შორის, სამ-
სონ დათეშიძის მეუღლე და მის-
თვისაც ეთხოვა, როგორმე ბარონი
მანახვეთო. გადაწყვეტილი იყო, მას
მეტად აღარ გავკარებოდით.

სწორედ მეორე დღეს, დილის
9-10 საათზე, ის ჩაფრის თანხლე-
ბით თავისი ბინიდან გამოდის,
შემდეგ ჩაფრებს სადღაც სტოვებს,
თვითონ კი მარტო მიდის ისიდო-
რე კვიციანიძის წიგნის მაღაზიაში
და აძლევს ისიდორეს პასპორტის
რამდენიმე ბლანკს (მას ეს პას-
პორტები მუსერიძისთვის წინათ
ეთხოვა). ამხ. კვიციანიძის მეუღ-

ლეს შეუმჩნევია, რომ ის მეტად
ცულ ფერზე ყოფილა და უკითხავს:
—აღფეს, რა მოგივიდა, კაცის
ფერი არ გადევს, ავად ხომ არა
ხარ?

—რაღაც წელი მტკივაო, — უპა-
სუხნია მას.

ტერორისტი კიკავა მას კვალ-
დაკვალ მისდევდა და მოხდენილ
აღავს არჩევდა. მას ნდომებოდა
იქვე მაღაზიის წინ სროლა, მაგრამ
მოფრთხილებია: ისიდორეს არა-
ფერი ევენოსო. როგორც კი გამო-
ვიდა მუსერიძე წიგნის მაღაზიი-
დან და ბულვარის კუთხის პირდა-
პირ ფილიპოვის მაღაზიას გაუს-
წორდა, გავარდა რევოლვერი, და
საბედისწერო ტყვიამ განგმირა
პროვოკატორი. მან მოასწრო მხო-
ლოდ დამახება: „ჩქარა მაზრის
უფროსს აცნობეთო“. ათ წამში
მაზრის უფროსიც გაჩნდა, მაგრამ
მუსერიძე სულს ლაფავდა, ერთი
სიტყვის თქმაც ვეღარ შესძლო.
მან საფლავეში ჩაიტანა გასა-
ცემ რევოლუციონერთა სიის საი-
დუმლოება და ვეღარ მოასწრო
მათ მიმართ შურისძიება მაზრის
უფროსისათვის ეანდერძებია. საად-
გილმამულო ბანკის (სადაც მე
ვმსახურებდი) აივანზე გამოცვი-
დენ თანამშრომელნი და მკვდარი
მუსერიძე რომ დაინახეს, განცვი-
ფრებულნი კითხულობდნენ: „რა
ამბავია, ეს ხომ ბარონის ამხანაგი
იყო, ვინ მოჰკლა?“.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ის
უკვე დანიშნული ყოფილიყო ტყი-
ბულის ბოქაულად, მაგრამ აღარ
დასცალდა ბოქაულის ყვითელი
ეპოლეტების ტარება.

დიდმა რევოლუციონურმა აქტმა
მწერლობაშიაც ჰპოვა გამოძახილი:
1908 წელს სოციალ-დემოკრატიულ
გაზეთში (სახელი არ მახსოვს) დაი-
ბეჭდა ბელეტრისტ იასონ ნიკო-
ლაიშვილის მოთხრობა სათაურით:
„იუდას ამბორი“.

რამდენიმე კვირის შემდეგ მუ-
სერიძის გზას გაუყენეს ჩვენმა ტე-
რორისტებმა საპყრობილის ახლად
გაუფროსებული მწერალი აფში-
ლავა, რომელმაც უსასტიკესი რე-
ჟიმი შემოიღო საპყრობილეში
გვირაბის გაყვანის შემდეგ და
გვირაბის ისტორიაც ამით და-
სრულდა.

ბ. ბიბინეიშვილი.

საქართველოს სოხ. საბ. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.



საქართველოს მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა სავსებით აგებულია იმ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებადამუშავებაზე, რაც მრავლად მოიპოვება საქართველოში. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მთელი აღმშენებლობის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, ჩვენ მიზანს ამჟამად შეადგენს შეფერდეთ ხუთწლიანი გეგმის აღმშენებლობითი პროგრამის ძირითად პუნქტებზე და შევეხოთ დიად სამუშაოთა საერთო კონტურებს.

ისმება კითხვა: რა არის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა? ჩვენ ვუპასუხებთ: მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა არის ჯამი ყველა იმ ახალი ფაბრიკა-ქარხნის აშენებისა, არსებული ფაბრიკა-ქარხნების გაფართოვებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებისა, რაც განზრახულია შესრულებულ იქნეს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული გეგმა სავსებით შეფარდებულია სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალთან და ამ შემოსავალ-გასავალზე თვით სახელმწიფოს მიერ შედგენილ გეგმას წარმოადგენს.

საქართველოს მრეწველობის განვითარებას ფუძედ უნდა დაედვას თეთრი ნახშირის — ელექტრობის ენერჯის — ფართედ გამოყენება; ამ ენერჯის წარმოშობს ტბები და მდინარეები, რაც ბლომად მოპოვება ჩვენში და ფართოდ შესაძლებლობას ჰქმნის საქართველოს ელექტროფიკაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებული ელექტროსადგურები მთლიანად არ იყო დატვირთული, ხუთ-

წლიანი გეგმის შესრულების მეოხებით არამც თუ მთლიანად დაიტვირთება, არამედ საჭირო იქნება ახლად აშენებული ფაბრიკა-ქარხნებისათვის მთელი რიგი ახალი ჰიდრო-ელექტროსადგურის აშენება. ხუთწლიანი გეგმის დასასრულს ჩვენ უნდა გვექონდეს: ზაჰვისის, რიონჰვისის და აბჰვისის ენერჯიათა მთლიანი დატვირთვა; გარდა ამისა, უნდა აშენდეს ალაზნის ელექტროსადგური (7000 ცხ. ძალა), რომლის ენერჯიაც მთლიანად მონმარდება კახეთის მრეწველობას; ქალაქი სოხუმისა და მისი წარმოებისათვის აშენებული იქნება გუმინისტის ელექტროსადგური, 25000 ცხ. ძალა, ტყვარჩელის რაიონისათვის აშენებული იქნება გალიზგის ელსადგური — 5000 ცხ. ძალა, აჭარისტანში აშენებული იქნება 25000 ცხ. ძალის ელსადგურები, ოზურგეთში — 2000 ცხ. ძალის ელსადგური; ბათომში ნავთობტუმბავი ქარხნებისათვის „აზნვეტის“ მიერ აშენებული იქნება ორთქლის ელსადგური; ხუთწლიანი გეგმის დასასრულს განზრახულია თაფარაენის ტბაზე (ახალქ. მაზრა) 100000 ცხ. ძალის ვეებერთელა ელექტროსადგურის აგება. აღნიშნული ელექტროსადგურებიდან მიღებული ენერჯია, ცხადია, გამოყენებული უნდა იქნეს წარმოებისათვის. როგორც ძველი, ისე წარმოებათა ახალი ერთეულები გადაყვანილი იქნება ელექტროენერჯიაზე.

საქართველოში მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება ან მიწის ზედაპირზე (ტყე, მდინარეები და სხვა) ან მის ნიადაგში — სხვადასხვა მადნეუ-

ლობის სახით. ერთ-ერთ ასეთ სიმდიდრეს წარმოადგენს ქვანახშირი. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას ჩვენში. გარდა ამისა, რომ გადაწყვეტილია ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ხუთი წლის განმავლობაში დამუშავებას, რაშიაც დაბანდებული იქნება 20 მილიონი მანეთი და ერთ უმძლავრეს წარმოებად ჩაითვლება მთელს ამიერკავკასიაში. მთელი წარმოების აშენება უნდა დასრულდეს ხუთი წლის განმავლობაში.

უკვე გადაწყვეტილია ამ ხნის განმავლობაში მეტალურგიური ქარხნის აშენება, რომლის ხარჯთაღრიცხვად ნავარაუდევია 33 მილიონი მანეთი; ქარხანა აშენებული იქნება ან ოჩემჩირეში ან განჯაში. გათვალისწინებულია აგრეთვე ფერომარგანეცის ქარხნის აგება, რომლის ადგილის გამოსანახავად უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

გარდა ამისა, ხუთი წლის განმავლობაში იწარმოებს სხვადასხვა მადნეულობის მარაგის ფართო გეოლოგიური გამოკვლევები. მაგ სპილენძის მადნეულობის — რაკის და ტფილისის მაზრებში, თუთიის, ტყვიის, ვერცხლის, კალის და სხვა მადნეულობის მდებარეობისა და მარაგისა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აფხაზეთის ს. ს. რ., ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში.


მნიშვნელოვნად იქნება აგრეთვე განვითარებული და გაფართოებული ხე-ტყის დამუშავების წარმოება; ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში აშენებული იქნება ოზურგეთის და ახმეტის სამოქლონო ქარხნები და ფანერის ქარხანა ბაღდადში, ბზიბის სახერხი კომბინატი, კოდორის ქარხნები, გუმინისტის ფაბრიკები და ქარხნები, გვარის სახერხი ქარხანა და სხვა., აშენე-

უკანასკნელ მიხწევათა გამოყენება, აგრეთვე ტფილისის მაუდის ფაბრიკების სამუშაოების დასრულება. აბრეშუმის დამუშავების გასაძლიერებლად გაფართოებული იქნება ქუთაისის და სამტრედიის აბრეშუმის გადამამუშავებელი ფაბრიკები, აშენდება ზუგდიდში ახალი ფაბრიკა.

ხუთი წლის განმავლობაში დაარსებული იქნება საქართველოსთვის სრულიად ახალი წარმოება: შაქრის ქარხანა აშენებულ იქნება გომში (გორ-

გადახიდვის სიძნელეს, ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მთელი რიგი ტყის გზის ტოტებისა, რომელიც შეაერთებს ქალაქებთან სხვადასხვა სამრეწველო რაიონებს. ასეთებია ტყვარჩელი—ოჩამჩირე, თელავი—ახმეტა, ზუგდიდი—ჯვარი, გორი—ცხინვალი, ოზურგეთი—ჩოხატაური და სხვა. გარდა ამისა, შარავების გასაყვანად და შესაკეთებლად გადადებულია 45 მილიონ მანეთამდე და 20 მილ. მანეთამდე წყლის ტრანსპორტის მოსაწყობად.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მხოლოდ საერთო კონტურები ხუთ



ბული იქნება ქალაქის ქარხანა, რომელზეც განზრახულია 11 მილიონი მანეთის დახარჯვა. აღნიშნული ქარხნის პროდუქციად ნავარაუდევია 16000 ტონა ქალაქი წლიურად.

საქართველოს საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის მეცხვარეობის განვითარებისათვის, ამ უკანასკნელის განვითარება კი გულისხმობს მატყლის წარმოების გაფართოება-განვითარებას; მატყლის გადამამუშავებელი წარმოების მხრივ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ქუთაისის მაუდის ფაბრიკის გაფართოება და ტექნიკის

მაზრა). ასეთივე ყურადღება აქვს მიქცეული კონსერვების წარმოების განვითარებას. გაფართოებული იქნება გორის კონსერვების ქარხანა და აშენდება ახალი ქარხანა ქუთაისში.

მრეწველობის ასეთი მძლავრი განვითარება თავის მხრივ მოითხოვს ტრანსპორტის გაუმჯობესებას და გაფართოებას. არსებული გზები, რა თქმა უნდა ვერ შესძლებს საქონლის დროზე გადახიდვას. შავი ზღვის რკინისგზის გაყვანა სოხუმამდე, რომელიც 1931 წლისათვის უნდა დასრულდეს, ცოტად თუ ბევრად შეამსუბუქებს საქონლის

წლიან გეგმაში გათვალისწინებული სამუშაოებისა და სრულებით არ შევხებივართ მთელ რიგ წარმოებებს, კერძოდ საღმშენებლო მასალების დამზადებას, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ ისიც კი, რაც აღვნიშნეთ, ნათლად მოწმობს, რომ ამ გრანდიოზული აღმშენებლობით საქართველოს მრეწველობა უკვე გადასულია ინდუსტრიალიზაციის მტკიცე რელსებზე, რასაც მივყავართ სოციალიზმის გამარჯვების გზით.

იაპონიის საზავშო წიგნის და საზავშო უაბოქჰეაღვის გაყოფანა



„ხალხი, რომელსაც თავისი ბავშვები არ უყვარს, უნდა დაიღუპოს“ — ასე ლაპარაკობენ ხოლმე იაპონელები, რომელთაც ბავშვების აღზრდის დიდი უხარი აქვთ. რასაკვირველია, არც საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა ჩამორჩება იაპონელებს ბავშვების აღზრდაში, პირიქით, ჩვენ გავუსწარიტ ყველა სახელმწიფოს ბავშვების ნაშღვილ შრომით აღზრდაში.

თუ კარგად გაცნობით საბჭოთა ბავშვების ცხოვრებას და საქმიანობას, ჩვენი სოციალური აღზრდის დაწესებულებებს, კერძოდ საბჭოთა საბავშო ლიტერატურას, — ამაში თვალსაჩინოდ დაჩქარდებით; საბჭოთა საბავშო — პიონერულმა ლიტერატურამ დიდი ყურადღება მოიპოვა საზღვარგარეთაც კი: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, დანიაში და სხვაგან.

თუ საზღვარგარეთი ეცნობა საბჭოთა საბავშო ლიტერატურას, ჩვენც მოვალე ვართ გავცნოთ საზღვარგარეთის საბავშო წიგნს, შევადგინოთ ის და ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაშია ის ჩვენი საბავშო წიგნთან შედარებით და რაც კარგია მასში, გამოვიყენოთ ჩვენი საბავშო ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში.

გარდა იმისა, რომ ამ **გაცნობას** ვიწრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მას უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ის კულტურულად აახლოვებს ერთმანეთს სხვადასხვა სახელმწიფოს.

ამ მიზნით საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების („ვოკს“) ინიციატივით მოსკოვში და საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში მოეწყო იაპონური საბავშო წიგნის და შემოქმედების გამოფენა, რომელმაც კარგად ჩაიარა; ასეთივე გამოფენა მოეწყობა ტფილისში 29 ოქტომბერს და 29 ოქტომბრამდე გასტანს. ამ გამოფენის მთავარი მიზანია გავცნოთ საბავშო წიგნის საშუალებით თანამედროვე იმპერიალისტურ იაპონიას, მის კულტურას, პოლიგრაფიულ ტექნიკას და „გაბატონებულ“ იდეოლოგიას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 800-მდე ექსპონატი, რომელიც შემდეგ მთავარ ჯგუფებად იყოფა:

1. წიგნაკი-სურათი, წიგნაკი-სათამაშო და „კინოწიგნაკი“.
2. ზღაპრები, ლეგენდები და მოთხრობები.
3. ისტორიული ლიტერატურა,
4. საბავშო თეატრი და თამაშობანი.

5. მეცნიერება ბავშვთათვის.
6. საბავშო ჟურნალები და გაზეთები.
7. ნოტები.
8. სასწავლო წიგნები.
9. წიგნები აღმზრდელთათვის და მშობლებისათვის.

პირველი ჯგუფი წარმოდგენილი იქნება ძლიერად და თავის გარეგნობით მისაწვდომია იაპონური ენის არამცოდნეთათვისაც კი. სქელ ქალაღლზე ან მუყაოზე დაბეჭდილი ჭრელი რვეულები ბავშვების და მოზრდილთა ყოფა-ცხოვრებიდან სხვადასხვა სურათს იძლევა; აქვე შეხვედებით ცხოველთა ცხოვრებას და მუშაობას, მიძოსვლის საშუალებებს (ყველაზე უკეთესად მიძოსვლის საშუალებებია დაძუშავებული) ბოლოს იაპონურ ზღაპრებს და გმირული ხასიათის წიგნაკებს. გარდა ამისა, იაპონური წიგნები ბავშვებს სისტემატიურად და მოხდენილად უხერავს **შოვინიზმის, მილიტარიზმის და იმპერიალიზმის იდეებს** (წიგნაკები ჯარის, ფლოტის და ომების შესახებ) და ახეზრდიან იაპონიის იმპერიალიზმის მსახურებს და მონებს. საერთოდ წიგნების აღზრდული ჯგუფი დეკორატიული სიმდიდრით ხასიათდება, თუმცა ცოტა არაა ცუდი ხარისხის (შინაარსზე უკვე ვთქვით, მხედველობაში გვაქვს გარეგნული მხარე) წიგნი. სათამაშო წიგნაკებს შორის ჩვენ ვხვდებით ევროპაში გავრცელებულ მუყაოს შორბებს და ეგოთეწოდებულ „კინოწიგნაკებს“.

მეორე ჯგუფი უფრო ღირებულია ლიტერატურული და გრაფიკული მასალის მხრივ. ჩვენ ვხვდებით აქ ძველ და ახალ იაპონურ ზღაპრებს და მოთხრობების გამოცემებს, ჩინურ და კორეულ კრებულებს, თითქმის მთელი დასავლეთი ევროპის კლასიკურ ლიტერატურას (გრამის და ახდერსენის ზღაპრები, ეზოპის და ლაფონტენის იგავები; დანტე, შექსპირი და ვაგნერი ბავშვთათვის, რობინზონ კრუზო, მოწაფის დიდიური, ლურჯი ფრინველი და სხვ.), გამოცემულია აგრეთვე ლევ ტოლსტოის საბავშო მოთხრობები, რუსული სახალხო ზღაპრები და კრილოვის იგავარაკები. ყველაზე კარგ სურათებს, შავს და ფერადს, ჩვენ ამ ჯგუფში შეხვდებით. პირდაპირ გაცემსთ განთქმული იაპონური გრაფიკა.

ისტორიული ლიტერატურა უმთავრესად ამუშავებს განსაკუთრებულ მასალას იაპონიის პოლიტიკური ისტორიიდან (იაპონიის იმპერია, გენერალი ნოგი და სხვ.) თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ნაციონალისტური და იმპერიალისტური ლიტერატურა ჩვენთვის მი-


უღებელია. სხვათა შორის, ამ ჯგუფში ვხვდებით დიდი ადამიანების ბიოგრაფიებს, როგორც არიან ბეთხოვენი და შექსპირი და სხვ.

იაპონური საბავშო თეატრის რეპერტუარი დიდი არაა და მასში გაბატონებულია ზღაპრული და გმირული ამბები. ამ ჯგუფში ვხვდებით მეთოდურ წიგნებსაც ბავშვებს შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. საბჭოთა კავშირი მოფენილია ნორჩ მასურებელთა თეატრებით, ტელიისშიც გვაქვს ასეთი თეატრი, მაგრამ თითქმის არ მოგვეპოვება მეთოდური ლიტერატურა ბავშვთა შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. იაპონიის შავალითის გადმოდება ამ შემთხვევაში უსათუოდ საზოგადოებრივად სასარგებლო მოვლენა იქნება.

იაპონიის საბავშო პრესა დიდი ყურადღების ღირსია, მიუხედავად მისი გარეგნული ერთფეროვნებისა. გარდა იმისა, რომ იაპონიაში ბევრი „ბოისკაუტური“ ჟურნალი და გაზეთი გამოდის და იმპერიალისტის საქმეს აკეთებს, ჩვენთვის ინტერესი ორ გარემოებას აქვს: ამ გამოცემათა მნიშვნელოვანი ნაწილი დანაწილებულია ასაკის და სქესის მიხედვით („სანი-მუშო მოსამზადებელი“, „პირველი კლასის მოწაფე“, „მეორე კლასის“ და სხვ.). საბავშო პრესაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვების ლიტერატურულ და სახვით შემოქმედებას.

პრესის და საბავშო ლიტერატურის მკითხველის სქესის მიხედვით დაყოფა მავნე რეაქციონური მოვლენაა; მიუხედავად ამისა, ეს მოვლენა მინც გაბატონებულია იაპონიაში, როგორც ამერიკასა და ევროპაში. ეს ამბავი ალბათ ძალზე გააკვირვებს ჩვენს ორივე სქესის ბავშვებს, რომელნიც ერთად სწავლობენ, ერთად შრომობენ და ერთად მხიარულობენ (მკითხველების „გათიშვით“ და ინტერესებულია მსოფლიო კაპიტალიზმი).

წიგნის ექსპონატებს გარდა გამოფენაზე იქნება სურათები, სათამაშოები და ბავშვების მხატვრული ნამუშევრები. იაპონიის ბავშვთა ნახატები ორ ჯგუფად იყოფა: 1. თავისუფალი ნახატები, შესრულებული 10-12 წლის ბავშვების მიერ, და 2. უფროსი ასაკის მოწაფეების სურათები, შესრულებული მასწავლებლების ზედამხედველობის ქვეშ. როცა ამ ნახატებს უყურებთ, გაკვირვებთ იაპონელი ბავშვების ოსტატობა.



რედაქციაში

რედაქციაში გაცხოველებული მუშაობაა. ვინ რას აკეთებს და ვინ რას! ერთ მაგიდასთან ზის ვიღაც და წითელი მეღვინით ასწორებს ხელნაწერებს, ხანდახან რაღაც უცნაურ ნიშნებსაც სწერს. მის მუშაობას გაცოცხლებული ადევნებენ თვალს პიონერები, რომელნიც მოვიდნენ რედაქციაში, რომ გაეცნონ იქ წარმოებულ მუშაობას.

უკაცრავად, აი ეს რა ნიშანია? ჰკითხა წითელი მეღვინით შეიარაღებულ კაცს ერთ-ერთმა პიონერმა.

— ეს აბზაცის ნიშანია. აბა დახედეთ წიგნებს და დაინახავთ, რომ იქ ზოგი სტრიქონი მარჯვნივ არის მიწეული. სადაც ასეთი სტრიქონია, სწორედ იქ იწყება ახალი აზრი; ახალი აზრის ახალი სტრიქონით დაწყებას აბზაცი ჰქვია და ის ძალიან აადვილებს წაკითხვას, დანახსოვრებას, საჭიროების მიხედვით წიგნში ამა თუ იმ ადგილის მოძებნას. თქვენც კარგად უნდა დაიხსოვოთ ეს და ყველგან, სადაც კი რაიმე ახალი აზრი დაიწყება, აბზაცი უნდა გააკეთოთ, ესე იგი სტრიქონი მარჯვნივ მისწიოთ.

— აი, აქ ყოფილა „მრავალი დარკოლებანი“, თქვენ კი „ნი“ წავიშლიათ და „მრავალი დაბრკოლება“ დაგიტოვებიათ. მე ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო „ნი“-ს წაშლა?

— ახლავე აგისნით, — უპასუხა სტილისტმა და „დაიწყა:—თუ ავიღებთ, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: მრავალი, რამდენიმე, აუარებელი, ბევრი, უამრავი და სხვა, თვით ეს სიტყვები გამოხატავენ სიმრავლეს და ასეთ სიტყვებს შემდეგ მრავლობითი რიცხვი საჭირო აღარ არის. მაშასადამე, უნდა ითქვას „მრავალი დაბრკოლება“, და არა „მრავალი დაბრკოლებანი“, „ბევრი შემთხვევა“, და არა „ბევრი შემთხვევები“, „რამდენიმე სურათი“, და არა „რამდენიმე სურათები“, „აუარებელი მიზეზი“, და არა „აუარებელი მიზეზები“.

პიონერები გულდასმით უგდებდნენ ყურს. ერთმა მათგანმა თვალი მოჰკრა ჯერ კიდევ გაუსწორებელ ხელნაწერში ერთ ადგილს, რომელმაც დააინტერესა და შეეკითხა სტილისტს:

— აი, აქ სწერია „ბევრგვარი შემთხვევებია ჩვენს კოლექტივში“ და სხვ. მაშ ეს სწორი არ არის, ხომ?

— დიად, ეგ უნდა გასწოდეს. — ბევრგვარი შემთხვევა — ხომ ასე უნდა? სიტყვა ვასომ და თვალელები გაუბრწყინდა, როდესაც სტილისტისაგან დასტური მიიღო. „ორი დები, ანიკო და ქეთო, ტყეში წავიდნენ სოკოს მოსაკრეფად“ — ასე იწყებოდა ერთ-ერთი მოთხრობა, რომელიც გასასწორებლად წინ ედგა სტილისტს.

— აბა, მიხვდით, რა შეცდომაა აქ? — მიმართა მან პიონერებს და მიუთითა ზემოდასახელებული მოთხრობის პირველ აბზაცზე.

რამდენჯერმე წაიკითხეს ყმაწვილებმა, ჩაუყვირდნენ, მაგრამ შეცდომა მაინც ვერ მონახეს. ბოლოს ერთმა სიტყვა გაუბედავად: „ორი და“ რომ იყო „ორი დები“-ს ნაცვლად, არ აჯობებს?

— ყოჩაღ, ყოჩაღ! აჯობებს კი არა, სწორედ ასე უნდა. უნდა ითქვას „ორი და“, „სამოცდათორმეტი წიგნი“ (და არა „სამოცდათორმეტი წიგნები“), „შვიდი რვეული“ და სხვ.

როდესაც სტილისტმა „შვიდი რვეული“ სიტყვა, სიკოს გაახსენდა სიმღერა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და შეეკითხა წითელმელნიანს, აბა იქ კი რათ არის „შვიდნი გურჯანელნი“.

— ჰო, ეს კარგი შეკითხვაა. თქვენ იცით, რომ მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ქართულ ენას ორგვარი საშუალება აქვს. მაგალითად, „ქვები“ მრავლობითი რიცხვია, მაგრამ სხვანაირადაც შეიძლება ითქვას...

— „ქვანი“! — წამოიძახა ვასომ.

— დიად „ქვანი“. „ხეები“ — „ხენი“, „კაცები“ — „კაცნი“ თუ მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად „ნ“ არის ჩართული, მაშინ მდგომარეობა იცვლება, მაგალითად, ჩვენ ვერ ვიტყვით „შვიდი გურჯანელები“, ეს სასაცილო ექნება, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ „შვიდნი გურჯანელნი“, ვერ ვიტყვით „ორი დები“, მაგრამ...

— „ორნი დანი“ — ძალაუბნებურად წამოიძახა ვალიკომ.

სტილისტი კმაყოფილი იყო, რომ ასე კარგი გამოდგენ მისი სტუმრები, უცხად ითვისებდნენ ყველაფერს.

— ჰოდა, ჩვენს კოლექტივში წამდაუწყებელი გაიძახიან „ჩვენ სამი ძმები ვართ“, „ჩვენ ბევრი საქმეები გვაქვს“ და სხვა ასეთებს. კედლის გაზეთში აი ის სულ იშვიათად არის ხოლმე, აი ის, წელან რომ ვამბობდით, მარჯვნივ მისაწევი სტრიქონი.

— აბზაცი, — უკარნახა სტილისტმა. — აი, ამ მხრივაც უნდა იმუშა-

ოთ, ენა კარგად უნდა შეისწავლოს. რედაქციაში რომ გამოგზავნო რამეს, რაც შეიძლება სუფთად, კონტად და შეუცდომლად უნდა დაწეროთ.

— აი, აქ „რომ“ სწერია და მძიმე კი არ არის — სიტყვა რეზომ, რომელიც ჟურნალ „პიონერს“ ათვალეუბდა:

— აბა მაჩვენეთ.

— აი, — და მიუთითა, სადაც ეწერა: „ეს ამბავი რომ გაიგო, პეტრე დალონდა“.

სტილისტმა გაიღიმა.

— არა, აქ შეცდომა არ არის; ამ შემთხვევაში სიტყვა „რომ“ — ის წინ მძიმე არ უნდა.

— კი, მაგრამ „რომ“-ის წინ ხომ ყოველთვის მძიმე საჭირო.

— არა, ჩემო კარგო, ეგ შემცდარი აზრია. აბა დააკვირდი ამ წინადადებას „ეს ამბავი რომ გაიგო, პეტრე დალონდა“ — სად ვისვენებთ, სად ვჩერდებით ცოტახნით?

— სიტყვა „გაიგო“-ს შემდეგ.

— აბა ეს წაიკითხეთ და სიტყვით, სად ვჩერდებით, სად უნდა დავწერო მძიმე. — სიტყვა სტილისტმა და დაწერა: „გუშინ შევასრულე ის შენ რომ დამავალე“.

პიონერების თვალები ქალაქის ჩაქვდა, ტუჩები უხმოლ მოძრაობდა.

— სიტყვა „ის“ შემდეგ ვისვენებთ! — წამოიძახა ერთმა.

— მართალია. აბა სინჯეთ და „რომ“-ის წინ მძიმე დაწერეთ და წაიკითხეთ, რა უაზრობა გამოვიდეს.


„გუშინ შევასრულე ის შენ... რომ დამავალე“ — და გადაინახარეს.

— ახლა ეს ნახეთ, — და გაუწოდა ქალაქი, სადაც ეწერა: „ძალიან მიხარია რომ გნახე“.

— აქ კი „რომ“-ის წინ უნდა მძიმე! — სიტყვა და გაიღიმა სოსომ.

— მაშ „რომ“-ის წინ ყოველთვის არ არის მძიმე საჭირო, მე კი ასე მეგონა. ახლა კი მიხვდით და, მგონია, აღარ შევცდვ.

პიონერებმა დიდი მადლობა გადაუხადეს რედაქციის თანამშრომლებს და სტილისტს კი სთხოვეს, თუ შეიძლება კიდევ მოვალთ და კიდევ აგვიხსენით რამეო, რაზეც თანხმობა მიიღეს და მხიარულნი გავიდნენ რედაქციის ოთახიდან, მაგიდასთან მჯდომმა კაცმა კი სათვალეები გაისწორა, და კვლავ ათამაშდა წითელ მელანში ამოვლებული კალამი ჟურნალში დასაბეჭდ ხელნაწერზე.



ქიათურის მუშები

(გაგრძელება)

ქიათურის მღაბრები გათხრილია მის მიდამო მთებში. ის უთვალავად ბევრია და მრავალი მუშაც მუშაობს მასში. ისინი რიცხვით 8000 კაცს აღემატებიან. უკანასკნელ ხანებში ასე გაიზარა მუშათა რიცხვი, რადგან შავი ქვის წარმოება საბჭოთა ხელისუფლებამ წარმატებით წაიყვანა. 1924 წელს ამე-

დობრ ის, რომ ისინი მახლობელი და ხშირად შორეული სოფლებიდან არიან ჩამოსული. დღეს ისინი შვიდ საათს მუშაობენ და ბევრ მათგანს საშუალება აქვს ყოველდღე წავიდეს ხოლმე სოფლად, თავის ოჯახში. ძველად, მეფის მთავრობის დროს, როდესაც 14—16 საათს მუშაობდნენ, ისინი რჩებოდნენ ხოლმე იქვე მღაბრის მახ-

ქვის დარტყმა შავი ქვის ბუდობში, მწუხარებით მითხრა:

— ეჰ, ძამიავ, არ აფასებენ დღევანდელი ახალგაზრდები მოხუც მუშებს.

დღეს ესენი სამოთხეში იმყოფებიან. ვინ გვალისებდა მას, რაც დღეს არის.

ამბობდა ამას გულმტკივნეულად და მერე მოჰყვებოდა თავისი ცხოვრების ამბავს. ის ცოცხალი მოწმე იყო ძველი უბედურების და დღევანდელი აღმზარდი პირობების.

მართლაც, რა არის ახალი და რით არის უკეთესი დღევანდელი მუშების ყოფა?

შე ვიდრე მღაბრებში შევიდოდლი, ჯერ კომკავშირის უჯრედის მდივანთან შევიარე. მან სიხარულით მიმილო და მაშინვე დაშატარა მღაბრის მთელი კულტურულ-პოლიტიკური მიდამო. სახელდობრ: კლუბი, სცენა, საპკითხველო, ბიბლიოთეკა, ტანსაფარჯიშო მოედანი და სხვა.

აქ მუშები— მოხუცებიც, შუახნისებიც და ახალგაზრდებიც სხედან და კითხულობენ ახალ გაზეთებს, წიგნებს; ცოტა მოშორებით კი ხმამაღალი კითხვაა გამართული, მოხუცი მუშები, რომელთაც წერაკითხვა არ იციან, გულმოდგინედ უსმენენ კომკავშირელს, კლუბში სხვადასხვა წრეების მეცადინეობაა, ისწრაფიან პოლიტ-ცოდნისაკენ, მუსიკალური ცოდნისაკენ და პირველნი მეცადინეობენ პოლიტიკურ ეკონომიაში, მეორენი კი გიტარასა და მანდალინას აწკრიალებენ. მიდის აგრეთვე რეპეტიცია, ამზადებენ პიესას დასადგმელად. და ყველა ამას აწყობენ მუშები, რომელნიც შვიდი საათის მუშაობის შემდეგ მისცემიან სულიერ დასვენებას.

ეს ალბათ პირველი ცვლის მუშები არიან, ისინი უკვე მორჩენ შრომას, ეძლევიან ვართობას და სხვა მხრივ მუშაობას. ესეც თავდება. მოდის სადილო-



პოინერები საკავშირო შეკრებაზე

რიკვლებს ჰქონდათ ხელში მისი წარმოება, მაგრამ მათ ქარხნები გააძვალტყავეს, შავი ქვის მოპოვებაც დასცეს და ისე გადმოგვცეს უკან.

რვა ათასი მუშა ძლიერ დიდი რიცხვია. ესენი უმთავრესად სოფლელები, გლეხები არიან. ისინი ფულის შოვნის მიზნით მოისწრაფიან აქეთკენ და ებმებიან მუშაობაში. იქ ისეთი მაღაროს მუშებიც არიან, რომელნიც იქ მუშაობენ დღიდან მარგანეცის აღმოჩენისა. მათ იციან ბევრი საგულისხმო ამბავი მაღაროს მუშების ცხოვრებიდან, უამბნიათ ჩემთვის და დიდი ინტერესიც გამოუწვევიათ.

ამ მუშების ყოფა-ცხოვრების მხრივ უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი მომენტი, სახელ-

ლობელ მიდამოებში მთელი კვირაობით და მხოლოდ შაბათობით მიდიოდნენ საკუთარ ოჯახებში, ეს იმიტომ, რომ კვირადღეს არ მუშაობდნენ, ორშაბათს კი რიჟრაჟისას უკვე წერაქვით ან ნიჩბით ხელში იდგენ და სთხრიდნენ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს. მთელი კვირის განმავლობაში კი უგემურად ატარებდნენ ცხოვრებას, ეძინათ მხოლოდ რამდენიმე საათი, მუშაობდნენ, სჭამდნენ და ისევე ძილს ეძლეოდნენ ცის ქვეშ, ერთ კონა ჩაღაზე. მთელი შათი ცხოვრება ეს იყო. მხოლოდ კვირადღით გაიხარებდნენ ხოლმე საკუთარ ცოლშვილში, იმასაც ღვინის სმასა და ლოთობაში ატარებდნენ.

დღეს სურათი შეცვლილია. სულ სხვა არის მათი ყოფა, მათი ცხოვრების პირობები.

ერთმა მოხუცმა მუშამ, რომელსაც ახსოვს პირველი წერა-

ბის დრო, და ყველანი ერთად, მეგობრულად, ამხანაგურად მიდიან საერთო სასაღილოში. გრძელ და გამართულ მაგიდაზე ჟრიაშულით და ხმაურით ჩამომწკრივებულნი არიან მუშები და დეწჯად შეექცევიან.

თითოეულ მათგანს უდგას ნახევარი ბოთლი ღვინო. ეს ნებადართული აქვთ, რომ ჯანზე იყვნენ, ხალისიანად მუშაობდნენ.

არავინ ამბობს უარს ამ ნახევარ ბოთლზე, მაგრამ არც არავინ თხოულობს მასზე მეტს, სიმთვრალე მაღაროებში დაუშვებელია, შავს დაფაზე იქნებიან გაკრულნი, ეს კი სამარცხვინია.

იქვე გაშენებულია საერთო საცხოვრებელი სახაზინო საწო-

ლებით და საჭირო მოწყობილობით. აქ ცხოვრობენ ის მუშები, რომელნიც შორეული სოფლებიდან არიან და ყოველდღე ვერ მიდიან სოფლად, ოჯახში. ისინი, როგორც ძველად, მხოლოდ შაბათობით მიდიან და რჩებიან ორშაბათის განთიადამდე.

თუ ძველად გლეხი-მუშები სოფლად მიდიოდნენ შაბათობით და მერე იქ ეძლეოდნენ ლოთობასა და ქეიფს, ახლა ასე აღარ არის. დღეს მათ მიაქვთ ამბავი და ცოდნა, რომელსაც მაღაროებში იძენენ.

იციან, რომ ლოთობა აპარტახებს მათი შრომის ნაყოფს, დოვლათს და უამბობენ ცოლ-შვილს გაზეთებში წაკითხულს ან პოლიტურეში მოსმენილს.

რა საინტერესო და სასიხარულოა სურათი, როდესაც მუშების პირველი ცვლის რეჟიმის მოლოდინში სხედან შემდეგი ცვლის მუშები და გაზეთებს კითხულობენ, ჟურნალებს ათვალიერებენ, ან ერთმანეთში კამათობენ სხვადასხვა საკითხზე.

ყველა ამით აშკარად ჩანს, რომ დღევანდელი კიათურის მაღაროს მუშა მხოლოდ წერა-ქვისა და ნიჩბის ხმარებით კი არ კმაყოფილდება, ის ეძლევა გონებრივ მუშაობასაც ცოდნის მიღებასათვის, რადგან იცის, რომ ცოდნა და შეგნება ის ძლიერი იარაღია, რომელმაც გარდაქმნა მუშების ძველი და ამავე დროს არაადამიანური ტანჯული ყოფა-ცხოვრება.

ე. პ.—ვი

პიონერთა მუშაობა სკოლის ასაბავდა აღზრდის დაწესებულებებში

სასკოლო მეცადინეობა განახლდა. სოფლად ბანაკად და დასასვენებლად მფოფი პიონერები უკვე შეუდგნენ ჯანმრთელი სხეულით და კალექტიური სულით მუშაობის სხვადასხვა დარგის გაშლას.

პიონერთა მუშაობის სხვა დარგებთან შედარებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიონერკოლექტივების მუშაობას დაწესებულებებში, მეტადრე ამჟამად, როდესაც პარტია მთელ თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს იმისათვის, რომ მოამზადოს თავისი რიგების ღირსეული შემცველნი, კომკავშირი კი თავის მხრივ რაზმავს ნორჩ პიონერთა მრავალათასეულ ახალ კადრებს და პიონერებმა კი თავისი რეზერვის მოსამზადებლად აუცილებლად მუშაობა უნდა გაშალონ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში, გაავრცელონ მათზე პიონერთა გავლენა და ხელი შეუწყონ პიონერთა ორგანიზაციის რეზერვად კოლექტიურად მათი დარაზმვის საქმეს.

დღემდე, მიუხედავად ხელმძღვანელი ორგანოების მთელი რიგი ღირეკტივებისა, ამ მხრივ, განსაკუთრებით ადგილებზე, ძალიან ცოტა გამოცდილება გვაქვს; ზოგიერთნი თითქმის სრულებით დაიბნენ და არაფერს აკეთებენ ამ მხრივ, უბრალო გეგმაც არ აქვთ,

ზოგიერთები კი მექანიკურად ხელმძღვანელობენ ძველი გეგმით, რომელშიაც ახალი სისტემის ნატამალიც არ არის.

რა სახით უნდა შევძლოთ პიონერთა კოლექტივების ჩაბმა და კავშირის განმტკიცება სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებთან?

კავშირის გასამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა პ. კოლექტივის მიმაგრება საბავშვო დაწესებულებაზე (უმჯობესია საწარმოო კოლექტივის მიმაგრება), რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ბავშვების დაახლოვებას საჭაჩოო ცხოვრებასთან.

ძველად ზოგიერთ ადგილებზე მთელი კოლექტივი მუშაობდა საბავშვო დაწესებულებებში, რამაც ხელი შეუშალა მის ნორმალურ მუშაობას, ზოგიერთმა უფიცმა პიონერებმა ცუდი მაგალითი უჩვენეს ბავშვებს. თვით პიონერებმა ერთმანეთს ჩხუბი დაუწყეს, მოზარდების წინ იატაკზე დააფურთხეს და სხ. ამისათვის აუცილებელია საშუაოდ გამოყოფილ იქნეს მიმაგრებული კოლექტივიდან ერთ-ერთი რგოლი პერიოდულად, —თავიდან უნდა ავიცილოთ რგოლების ხშირი ცვლა და ეს უნდა დავუკავშიროთ სემესტრებს და ახალი საკვარტა-

ლო გეგმების შედგენას საბავშვო დაწესებულებებში.

რაც შეეხება მთელ კოლექტივს, მას მონაწილეობის მიღება შეუძლია განსაკუთრებული საშუაოების შესრულების დროს, მაგ: რეგოლუციონური კამპანიების ჩატარება, ეზოს, ბოსტნის დამუშავება და სხ.

მიმაგრებული რგოლის მუშაობას საბავშვო დაწესებულებებში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დილის საათებში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სკოლას და იმ ბავშვთა მასებს, რომლებიც მიმაგრებულ კოლექტივში ირიცხებიან, რადგან დილის საათებში მთელი რიგი სერიოზული მუშაობა სწარმოებს საბავშვო ბაღებში—ძერწვა, ხატვა, ხაზვა, მორიგეობა, სანატ-ჰიგიენა, ექსკურსია, თამაში და სხვა, რაც აუცილებლად მოითხოვს პიონერთა ორგანიზაციების ზეგავლენას და დახმარებას.

მიმაგრებული კოლექტივი საბავშვო ბაღის პედ. საბჭოსთან ერთად ამუშავებს წისასწარ საშუაო გეგმას თავისი და პედ. საბჭოს საერთო გეგმის საფუძველზე და მიმაგ-



რებულ რგოლს ამ გეგმიდან პერიოდულად აძლევს განსაზღვრულ დავალებებს და ყოველი დავალების შესრულებას რგოლი აღნიშნავს თავის დღიურში, რის შემდეგ ანგარიშს აბარებს რგოლის და კოლექტივის საბჭოს სხდომებს და კრებებს.

მიმაგრებულმა რგოლმა და საერთოდ პ. კოლექტივმა მთელი თავისი მუშაობა იმ მიმართულებით უნდა გაშალოს, რომ ამ მუშაობამ დახმარება აღმოუჩინოს პედ. პერსონალს, რომელიც მუშაობს საბავშვო დაწესებულებაში.

პედ. პერსონალმა თავის მხრივ უნდა შეისწავლოს ბავშვთა კომმოძრაობის მთავარი ეტაპები, მუშაობის მხარეები და უნდა ეცადოს მის დაკავშირებას საერთო მუშაობასთან.

პედ. პერსონალმა მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩაატაროს პიონერთა რგოლში, რომ ისინი სწორედ მიუდგენ ბავშვებს, რადგან პიონერები პედაგოგიური მიდგომის საკითხს ჯერ კიდევ არ იცნობენ და შეიძლება მთელი რიგი დამახინჯება მოგვეცეს ამ მუშაობამ. ამ დარგში პედ. პერსონალს უდიდესი მოვალეობა აქვს დაკისრებული.

რა მუშაობის შესრულება შეუძლიათ პიონერებს საბავშვო ბაღის მუშაობაში?

1. პიონერების მონაწილეობა ბაღების ცხოვრების მონაწილეობაში შემდეგში გამოიხატება: შეერთებული შრომა, ბოსტნების და მუშაება, პირველი მოახოენილების საგნების დამზადება: მაგიდების, სკამების, სასწავლო ნივთების და სხ. ბავშვთა კრებებზე მონაწილეობა, კომისიების მუშაობაში მორიგეობა; პიონერები აქტიური და ინტენსიური მუშაობით აჩვენებენ სწრაფ და ნაყოფიერ შრომის პატარებს და ამავე დროს უზიარებენ მათ თავისი მუშაობის გამოცდილებებს.

2. ფიზიკურ აღზრდაში სერიოზული მუშაობის ჩატარება შეუძლიათ პიონერებს ბავშვებისათვის მწყობრად სიარულის, ხელების თავისუფალი და სწორედ მოძრაობის, ღრმა სუნთქვის, სწორედ ჯდომის, წოლის და სხვათა შესწავლებით.

სისუფთავის დაცვაში: ბინის მორთვა, ხელ-პირის ბანა, ცხირსახოცის სისუფთავე, იატაკზე დაფურთხებასთან ბრძოლა, ძერწვის დროს ტალახიანი თითების პირში ჩადების წინააღმდეგ ბრძოლა, ნაძერწისათვის კოხტა სახის მიცემა და სხვა მრავალი, სანიტარული კომისიების გეგმის შედგენაში და მუშაობაში აქტიური თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, პლაკატების და სურათების დახატვა და გამოკვრა სანიტარულ პროპაგანდასთან დაკავშირებით.

3. პიონერებს შეუძლიათ დიდი მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ მუშაობაში ბაღის თანამშრომლებთან ერთად, მშობლებთან ჩატარება საუბრების, ხელის შეწყობა ცხელი საუზმის შემოღებაში, შეფობა ღარიბი ბავშვებისთვის ცხელი საუზმის უფასოდ მიწოდებაში (კოლექტივის ხარჯზე) და სხ.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი მშობელი განგებ არ უშვებს ბავშვებს საბავშვო ბაღებში, რადგან ისინი მაინც გადაირიცხებიან რომელიმე შრომის სკოლაში და ტყუილად აქვთ ადგილი მოკავებული. ასეთები პიონერებმა აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ და მოაშორონ საბავშვო ბაღებს და გასწიონ პროპაგანდა ასეთების წინააღმდეგ.

პიონერებმა ბაღის მიერ საბავშვო მოედნებზე მუშაობის გადატანისას და ექსკურსიების დროს დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საბავშვო ბაღის ბავშვებს.

სოფლად

სოფლად პიონერთა ამოცანები სკოლას ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ერთიდაიგივეა, მაგრამ, რაც მთავარია, სოფლად უფრო დიდი ავითაცია უნდა იქნეს წარმოებულ, რომ მშობლებმა თავისი პაწია ბავში გაუშვან საბავშვო ბაღში და უფრო მეტი წვლილი გაიღონ ბაღების მატერიალურად გაუმჯობესების საქმეში: საღამო-წარმოდგენების, შეფობის, გამოწვევის საშუალებით, ცოცხალი დახმარებით: ეზოს შემოღობვა, თხრილების გავლება, ბოსტნის დამუშავება, ბინების გამონახვა და სხვა.

მუშაობის ამ სახეს თან უნდა ახლდეს ოქტომბრელთა ჯგუფების უფრო მეტი დაახლოება და სამხედრო აღნიშნულ დაწესებულებებთან ოქტომბრელთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად, თუ სათანადო ასაკის ბავშვები მოიპოვებიან საბავშვო ბაღებში, — მათთვის ოქტომბრელთა წესების გაცნობა და სხვ.

მუშაობის აღრიცხვა

1. მიმაგრებული რგოლის დღიური (სადაც ჩატარებული მუშაობის შესრულება აღნიშნულია,

2. ბავშვთა დაწესებულებებში პიონერთა შორის მუშაობის კუთხე.

3. რგოლის, კოლექტივის და პედ. საბჭოს სხდომის ოქმები, სადაც მუშავდებოდა პიონერთა მუშაობის კონკრეტული ფორმები.

4. პიონერთა კუთხე სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის შესახებ.

5. პედსაბჭოს სხდომის ოქმები, სადაც ფაქტება და აღინიშნება პიონერთა კოლექტიური მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები მათთან მუშაობის დროს.

საერთოდ აღრიცხვამ უნდა მოგვეცეს საშუალება წლის ბოლოს შეჯამებულ იქნეს მიღწევები და ნაკლოვანებანი ამა თუ იმ კოლექტივის საბავშვო დაწესებულებაში მუშაობის გარემო, რომ სიძნელებები გადალახულ იქნეს მომავლისათვის და მიღწევები კი გამოყენებული.

საჭიროა ყოველგვარ გაუგებარ საკითხზე ადგილობრივი ორგანიზაცია იძლეოდეს შეკითხვებს უმაღლესი ორგანიზაციების მიმართ, გაუგებრობა აღმოთხვილ იქნეს თავის დროზე და გადადგმულ იქნეს სათანადო ნაბიჯი უკეთესი მიღწევებისაკენ.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის განმტკიცებით უნდა მოვაშალოთ პიონერთა ორგანიზაციის საუკეთესო შემცველების ღირსეული არმია.

ქიმიური გავი მომავალი ომის იარაღი



დღეს, როცა კაპიტალისტური ქვეყნები დღითიდღე იარაღდებიან და ჰაერში მომავალი ომის სუნს იგრძობენ, შენდება კაცობრიობის გასანადგურებლად ათასგვარი ღრედაოუტი და მზადდება მომწამლავი, გამანადგურებელი გაზები, — ჩვენც არა ნაკლებსამზადისში უნდა ვიქნეთ, არა იმიტომ რომ ომის მომხრე ვართ, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის თავდაცვის ინტერესი.

ყოველგვარი შიშისა და აჩქარების გარეშე უნდა მოვკიდოთ ხელი სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესწავლას. უნდა გვახსოვდეს, რომ მტრის ყოველი გაზის საწინააღმდეგოდ ჩვენ უნდა გამოვიგონოთ გაზი, რომლის საშუალებითაც შევძლებთ თავის დაცვას.

სამხედრო გაზები.

სამხედრო საქმისთვის, მოპოვებული ქიმიური ომისათვის მრავალგვარი გაზი არსებობს, რომელთა შორის მთავარია მახრჩობელი გაზი, რომელიც აზიანებს ადამიანის სასუნთქვე ორგანოებს და იწვევს სუნთქვის შეზუთვის (ასეთია ქლორი, დიფოსგენი და სხვა).

შემდეგია ისეთი გაზი, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას და სისხლს; არის ისეთი გაზიც, რომელიც იწვევს კრემლებს, მაგრამ ყველაზე საშიშელია გაზი, რომელიც ადამიანის სხეულზე აჩენს ნარვალებს და საშინლად ხრწნის სხეულს.

ამ გაზების სამხედრო მნიშვნელობა თვით გაზების შემზადების ხარისხზე დამოკიდებულია, იმაზე, თუ რა ხანგრძლივობის ძალას გამოიჩენს ის. შენიშნულია, რომ მახრჩობელი, მომწამლავი გაზები უმთავრესად არახანგრძლივ მოქმედობს, მატორებელი და სხეულის გამხრწნელი გაზები კი, პირიქით, თავისი გამძლეობით ხასიათდება. მაგალითად, **იპრიტს** შესაფერ პირობებში შეუძლია თავის შენახვა მიწაზე და ბალახებზე და

ათი დღის განმავლობაში ის არ დაკარგავს თავის ძალას.

გაზი მოღის.

გაზი! გაზი! — ეს ყველაფრის გამანადგურებელი ძალაა, რომელსაც იშვიათად შეიძლება გადაურჩე.

როცა გაზი მოქმედობს, იმიტომ, რომ არ გახდეს მისი მსხვერპლი და არ დაიბნე, საჭიროა წინასწარ მოფიქრებული იქნეს თავდაცვის საშუალება.

თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია გაზის საწინააღმდეგო პირბადე. როცა იწყება გაზებით შეტაკება, ჩქარი მოძრაობით მეომარი პირზე ჩამოიცვამს რეზინის პირბადეს, რომელსაც მინები აქვს გაკეთებული სათვალეებად. სხეულის გამხრწნელი გაზის წინააღმდეგ ხმარობენ ერთგვარ ტანსაცმელს, ისეთი შემადგენლობით გაჟღერთილს, რომელიც აქარწყლებს ამ გაზის თვისებას. მაგრამ სანამ ასეთი თავდაცვის საშუალებებით ყოვლად შეუძლებელია ქვეყნის მთელი მოსახლეობის შეიარაღება, მანამ ამ გაზის საშიშროება დიდია, ამიტომ თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა სხვადასხვა ადგილებზე, ქარხნებთან და დაწესებულებებთან, თავდაცვის განსაკუთრებული ოთახები, რომლის მოწყობილობა მიწის ქვეშ იქნება. ამ ოთახში შესავალი კარი დაკუთლი იქნება განსაკუთრებული ტილოთი, რომელიც გაზს არ უშვებს. ოთახში გაყვანილი იქნება განსაკუთრებული მილი, რომელიც მიაწოდებს სუფთა ჰაერს (ჰაერის შწმენდი მილის ერთგვარი აპარატი).

გაზებით ომი.

დღევანდლამდე ცნობილია ქიმიური ომის სამი საშუალება: 1) გაზებს უშვებენ ფოლადის ბლონებიდან, 2) ისერიან გაზების ყუმბარებს და 3) გაზის ბომბებს ისერიან ჰაერობლანებიდან.

პირველი საშუალება გამოსადგვია მხოლოდ მაშინ, როცა გაზების შემადგენლობა მაგარია და ხანგრძლივი მოქმედება შეუძლია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მომავალ ქიმიურ ომში ავიაციას, დიდ როლს ითამაშებს აგრეთვე სარტილერიო თავდასხმა.

როგორ ღონისძიებას უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ გაზი გაშვებულ იქნა და ის ქალაქს დაეუფლა? თუ გაზი არაა გამძლე, ის მალე დაკარგავს თავის მანეთის თვისებებს, მაგრამ ისეთ გაზს, როგორც იპრიტია, შეუძლია ქალაქი საფრთხეში ჩააგდოს მთელი კვირით.

სასიკვდილო გაზების გარდა, ხმარებაშია ნილაბოსანი გაზები, რომელთაც მაშინ უშვებენ, როცა სურთ რომელიმე მზამიანი გაზის მოგერიება.

სამხედრო ქიმიას აქვს აგრეთვე ისეთი დარგი, რომელიც იყენებს კვამლის ნისლს და ცეცხლის გამჩენ ყუმბარებს.


კვამლის ნისლს უშვებენ ჩვეულებრივ საკვამლე ქიმიური საშუალებებით. მრავალი სამხედრო გემი შეიარაღებულია საკვამლე საშუალებებით. ცეცხლის გამჩენი ყუმბარები, ტყვიები უმთავრესად ქალაქების, სოფლების, პურის ყანების გადასაწვავად უნდათ და შესდგება ნავთისა, ფოსფორის და სხვა ქიმიური ნივთიერებისაგან.

სამხედრო ქიმიის სახლში.

სამხედრო წრეში საინტერესოა ჩატარებულ იქნეს რამდენიმე უბრალო ცდა, რაც არ დაისაპიროებს რთულ აპარატებს, სამაგიეროდ შეიძლება ამ გზით მთავარი მებრძოლი გაზების შესწავლა; რასაკვირველია, ყველა გაზის მიღება შეუძლებელია, მაგრამ შინ წარმოებული მუშაობა უშედეგო არ იქნება; ადვილი გამოსამუშავებელია ამ შემთხვევაში ქლორი. კვამლის ნისლის მიღებაც არაა ძნელი; ამისათვის საჭიროა ქლორით სავსე ქურქელში ჩაშვებულ იქნეს სტანიოლის (სტანიოლი თხელი კალაა) ფურცელი, რომელიც წყლის ორთქლთან შეერთების შემდეგ ქმნის თვალისათვის არაგამჭვირვალე ნისლს.

სანი.

ჯემს კუკის სწავლება და თავდასჯელი



ჯემს კუკი დაიბადა 1728*) წელს ლარბი გლეხის ოჯახში ინგლისის ქალაქ იორკშირში. შვიდი წლის ჯემსი უკვე თან დაჰყავდა მამას უახლოეს მამულში სამუშაოდ. მემამულემ მალე მიაპყრო ყურადღება ნიჭიერსა და გერგილიან ჯემსს და გაგზავნა თავის ხარჯზე სამრევლო სკოლაში სასწავლებლად. ჯემსმა აქ მიიღო პირველდაწყებითი სწავლა.

უკვე 13 წლის იყო ჯემსი, როდესაც მამამ მიაბარა იგი მექუდეს, რომელიც მუშაობდა ზღვის პირად მდებარე პატარა ქალაქ სტეპიტში, მცხოვრებთა უმრავლესობა მეთევზეებისაგან შესდგებოდა. ისინი უმეტეს დროს ზღვაზე ატარებდნენ, ჯემსს კი უნდა ემუშავნა დახუთულ სახელოსნოში, რაც ძალიან არ მოსწონდა. ჯემსი ხშირად შურით გააყოლებდა თვალს მიმავალ ხომალდს. ბოლოს მშობლებს თხოვნა დაუწყო ნება დაერთოთ ხომალდზე სამსახურში შესულიყო. მშობლები დათანხმდნენ, და ჯემსი მოეწყო იუნგად ჯონისა და ჰენრი უორკერების ხომალდზე შვიდი წლის ვადით. ხომალდი ნახშირს ზიდავდა ინგლისიდან ირლანდიაში.

7 წელი იმოგზაურა კუკმა სხვადასხვა ხომალდზე, სხვადასხვა ზღვაზე. ამ ხნის განმავლობაში ჯემსი შეეჩვია ზღვაზე სამსახურს. კუკი იმდენად აკმაყოფილებდა მეზღვაურის ყოველგვარ მოთხოვნას, რომ იმავე ფირმამ იგი კიდევ 7 წლით დაიქირავა. პირველად უბრალო მეზღვაური, შემდეგ ბოცმანი გახდა და ბოლოს ძებმა უორკერებმა ის თავის ერთ-ერთ ხომალდზე შეიპერად დანიშნეს.

კუკს 27 წელი შეუსრულდა; ამ დროს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომი დაიწყო; ინგლისში არსებობდა კანონი, რომლის ძალით ყოველი მეზღვაური და ხომალდის მოსამსახურე ომის დროს საზღვაო საომარ ფლოტში უნდა

გადასულიყო. კუკს უნდოდა დამალულიყო, მაგრამ ეშინოდა, რომ მონახავდნენ და დაიჭერდნენ. იგი თავისი ნებით დადგა საომარ ხომალდზე „არწივი“.

ხომალდის უფროსმა სერ ჰიუგ ჰალიზერმა ძალიან მალე მიაქცია ყურადღება გამბედავ და ჭკვიან მეზღვაურს და მცირე ხნის შემდეგ დანიშნა უფროს ბოცმანად.

კუკმა იმდენი ნდობა მოიხვეჭა, რომ კანადის ქალაქ კეპბეკის ალყის შემორტყმის დროს მას მიანდევს დიდმნიშვნელოვანი და სახიფათო საქმე; საჭირო იყო გამოკვლევა წმინდა ლავრენტის მდინარის ფსკერის, ორლენის კუნძულიდან დაწყებული სამხრეთ ნაპირამდე. მუშაობა უნდა ეწარმოებიათ სწორედ ფრანგების სიმაგრეების წინ. მტერს რომ თვალი არ მოეკრა, კუკი ღამით მუშაობდა. ასეთმა სიფრთხილემაც ვერ გასჭრა: ფრანგებმა მაინც შენიშნეს ნავი, რომელშიაც კუკი იმყოფებოდა, და მას წინააღმდეგ გამოუშვეს ინდოელების ნაუბრის მთელი გუნდი. მხოლოდ სიღინჯემ და გაბედულობამ იხსნა კუკი — იგი უფნებლად გაუსხლტა მტერს ხელში და ნაპირზე მიიმალა.

კუკმა მდინარე ძლიერ კარგად გაზომა და ამირბარმა სწოლდერსმა კიდევ უფრო საპასუხისმგებლო საქმე მიანდო.

კუკს უნდა შეედგინა მდინარე წმინდა ლავრენტის პილოტაჟი რუკა სათავიდან შესართავამდე. მინდობილება ისე ზუსტად და გულმოდგინედ შეასრულა კუკმა, რომ ინგლისის სამირბარომ კუკის მიერ შედგენილი რუკა გამოსცა. ასე წარმატებით მიდიოდა კუკის ყოველი საქმე, მაგრამ მაინც შეგნებული ჰქონდა, რომ მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება არ არის საკმაო, არამედ საჭიროა მეცნიერული ცოდნა. ეს ცოდნა რომ შეეძინა, იგი შეუდგა ზღვაზე მიმოსვლის დროს გეომეტრიის, ასტრონომიის და მათემატიკურ მეცნიერებათა შესწავლას.

ინგლისელების მიერ კუნძულ ნიუ-ფაუნდლენის დაკავების შემდეგ, კუკს მიანდევს ამ კუნძულის გეოგრაფიული რუკის შედგენა;

კუნძულ ნიუ-ფაუნდლენზე კუკმა სამი წელი დაჰყო, და მისმა მუშაობამ ინგლისის სამირბაროს დიდი ყურადღება მიიქცია. გარდა ძირითადი სამუშაოსა, კუკი კუნძულზე ასტრონომიულ მუშაობასაც აწარმოებდა და მისი დაკვირვებანი მზის სინათლის სრული დაბნელებებისა, რომელიც მან წარუდგინა ბრიტანიის ასტრონომიულ საზოგადოებას, იმავე საზოგადოების უწყებებში დაიბეჭდა.

1769 წ. მოვლოდენ ძალიან საინტერესო ასტრონომიულ მოვლენას, სახელდობრ, ცთომილი ვარსკვლავის ვენერის გავლას მზის დისკოში, ე. ი. სწორედ დედამიწასა და მზეს შუა. ამ მოვლენის მნიშვნელობა მით აიხსნება, რომ იგი იძლევა საშუალებას უფრო ზედმიწევნით გამოანგირიშებულ იქნეს მანძილი მზესა და დედამიწას შორის.

დაკვირების მოსახდენად ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი იყო სამხრეთის ნახევარსფერო; ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გაეგზავნა იქ სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიცია უნდა გამგზავრებულიყო ახლად აღმოჩენილ კუნძულ ტაიტზე და იქ ეწარმოებინა დაკვირვებანი. მთავარი მიზნის გარდა, ექპედიციას დაწვრილებით უნდა გამოეკვლია წყნარი ოკეანე და აღმოეჩინა სამხრეთი ხმელეთი.

ეს ხმელეთი, როგორც მაშინდელ სწავლულებს ეგონათ, უნდა ყოფილიყო დედამიწის სამხრეთის ნახევარსფეროზე. რადგან ჩრდილოეთის ნახევარსფეროზე დიდი მატერიკებია, მაშინდელი სწავლულების ფიქრით, სამხრეთშიაც უნდა ყოფილიყო ხმელეთი, რომ დედამიწის წონასწორობა არ დაარღვეულიყო.

თავდაპირველად ფიქრობდნენ ექსპედიციის უფროსად დაენიშნათ განთქმული სწავლული და მოგზაური დალრიმპლი, მაგრამ პირობა, რომელიც დალრიმპლმა წარუდგინა მთავრობას, მიუღებელი გამოდგა. საზღვაო უწყების მდივანმა სტივენსმა წინადადება მისცა სამინისტროს ექსპედიციის უფროსად ჯემს კუკი დაენიშნათ. წინადადება მიღებულ იქნა, და 1768 წელს კუკი დანიშნეს კაპიტნად ხომალდ „ენდივერ“-ზე. ეს იყო ათხარბაზნიანი ხომალდი 84

*) წრეულს, 1929 წ., შესრულდა კუკის დ ბ დებ დან (27 ოქტომ. 1728) 200 და სიკვდილიდან (14 თებერვ. 1779) 150 წელი. მთელმა მსოფლიომ ერთხელ კიდევ აღნიშნა კუკის დამსახურება. ქართულად სახელგამის მიერ გამოცემულია ნ. ჩუკოვსკის: „კაპიტანი ჯემს კუკი“, 1919 წ. ფასი 1 მან.

მეზღვაურით. გარდა კაპიტნისა და მეზღვაურებისა, ექსპედიციაში შედიოდნენ: ასტრონომი გრინი, დოქტორი სოლანდერი და ბუნებისმეტყველი ბენსი. უკანასკნელი ძალიან გამოსადეგი იყო ექსპედიციისათვის, რადგან წინათაც არა ერთხელ მიეღო მონაწილეობა ზღვაზე სახიფათო მოგზაურობაში. ექსპედიციას ახლდა ექიმიც.

1768 წლის დასასრულს „ენდევერი“ გამოვიდა ნავსადგურ პლიმუტიდან და გვერდით ჩაუარა კუნძულ მადეირას. აქედან წყნარ ოკეანეში გასვლა ორი გზით შეიძლებოდა: პირველი მიდიოდა მაგელანის სრუტით, მეორე კონცხ გორნის გასწვრივ. კუკი გაემართა მეორე გზით, თუმცა იმდროინდელი მეზღვაურები მას უფრო საშიშრად სთვლიდნენ; აღმოჩნდა, რომ კუკი სრულიად მართალი იყო, როცა მეორე გზა ამოირჩია: რამდენიმე დღე მოიგო და გზაც უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე პირველი.

გრინთან ერთად კუკის მიერ წარმოებულმა ზუსტმა ასტრონომიულმა დაკვირვებამ და კუკის მიერ მეზღვაურებისათვის კონცხ გორნის შემოვლის შესახებ შედგენილმა ინსტრუქციამ შემდგომ გაუადვილა ზღვაზე მოგზაურებს ამ ფაქტორაკიანი ადგილების გავლა დაგეოგრაფიული რუკებიც შეასწორეს.

კონცხ გორნის შემოვლის შემდეგ, კუკმა აღმოაჩინა წყნარ ოკეანეში ტროპიკული მცენარეებით დაფარული რამდენიმე კუნძული.

1769 წლის 13 ივნისს გემი „ენდევერი“ გაჩერდა კუნძულ ტაიტის ნავსადგურში მატაგია, და ექსპედიცია გადმოვიდა ნაპირზე. კუკი ვერ იცნობდა ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას და მათი თავდასხმის ეშინოდა. კუკმა უბრძანა მეზღვაურებს თვით ობსერვატორია გაემაგრებიათდა თან ისე აეშენებიათ, რომ ხომალდებიდან საარტილერიო ცეცხლითაც შესაძლებელი ყოფილიყო მისი დაცვა. როდესაც ობსერვატორია მოაწყვეს, ექსპედიცია შეუდგა თავისი ამოცანის შესრულებას. სხვადასხვა გამოანგარიშება, რაც ეყრდნობოდა პლანეტა ვენერას დაკვირვებას, ისე კარგად იყო შესრულებული, რომ მთელი 50 წელი არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულებას.

ასტრონომიული გამოკვლევების გარდა, კუკი და ბენსი შეუდგნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფის შესწავლას. თავის შენიშვნებში კუკმა აღნიშნა მკვიდრთა საყურადღებო თვისება: მათ სრულიად არ ჰქონდათ ის წარმოდგენა კერძო

საკუთრებაზე, რომელიც აქვს ყოველ ევროპელს: ტაიტელები ჰპარავდნენ მოგზაურებს ყოველგვარ ნივთს და ამაში არაფერ სააუგოს არ ხედავდნენ. მეზღვაურები სხვაგვარად უყურებდნენ ასეთ საქციელს და ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა შეტაკება. კუკის მიერ აღნიშნული ტაიტელების მეორე თვისება არის გულკეთილობა. ველურები ძალიან ჩქარა ივიწყებენ ცუდად მოპყრობას, და განწყობილება მეზღვაურთა და მცხოვრებთა შორის საერთოდ რეგობრული იყო.

7 ივლისს ინგლისელებმა დაიწყეს წასასვლელად მზადება. გამოსათხოვრად მრავალი ადგილობრივი მცხოვრები მივიდა. მათ შორის იყო ტაიტელი, სახელად ტუპია, რომელსაც თან ახლდა 13 წლის ვაჟი. ტუპიამ სთხოვა კუკს ისინი ექსპედიციაში მიეღო, და კუკმა წაიყვანა ისინი.

ტაიტის დატოვების შემდეგ კუკი გაემართა დასავლეთისაკენ, რომ გამოეცვლია ოკეანის ამ ნაწილში მდებარე კუნძულები. გზაზე მათთან მოდიოდნენ ნაგებთ ადგილობრივი მცხოვრებლები. კუკი ეპატიუებოდა მათ, მაგრამ პირველად ველურებს ეშინოდათ და ხომალდზე ამოსვლას ვერ ბედავდნენ; როდესაც დაინახავდნენ მათ მოძმეს ტუპიას, ისინი უკვე თამამად ამოდიოდნენ „ენდევერზე“. თავის მხრით ველურებიც პატიუბდნენ ინგლისელებს გადმოსულიყვენ კუნძულზე და ძლიერ მეგობრულად ხვდებოდნენ მათ. კუნძულ გუაპინზე წინამძღოლი ძმადაც კი გაეფიცა კუკს. ადგილობრივი ჩვეულებით ძმად შეფიცულები ერთმანეთს საკუთარ სახელს უძახიან და გუაპინის წინამძღოლიც თავის თავს კუკის ეძახდა, ხოლო კუკს თავის სახელს — ორეს.

კუკმა ამ კუნძულებს „ამხანაგობის კუნძულები“ დაარქვა.

მათი გამოკვლევის შემდეგ კუკი გაემართა სამხრეთ-დასავლეთით; ექსპედიციამ მალე მიაღწია სამხრეთის იმ ადგილებს, სადაც არავინ ყოფილა. მოგზაურობა 40 დღე გრძელდებოდა, მაგრამ მეზღვაურებმა ვერსად იპოვეს ხმელეთი, მით უმეტეს სამხრეთის მატერიკი, რომელსაც ვითომცა უნდა დაეცვა „დედამიწის წონასწორობა“.

ორმოცი დღის მოგზაურობის შემდეგ კუკი მიაღდა კუნძულ ახალ ზელანდიას, რომელიც ჰოლანდიელი მოგზაური ტასმანის დროიდან ითვლებოდა იმავე სრულიად არ არსებული სამხრეთ მატერიკის ნაწილად. კუკი დარწმუნდა, რომ ახალი ზელანდია ორი კუნძული-

საგან შესდგება. სამხრეთით მდებარე კუნძულს ადგილობრივი მცხოვრებნი ტავაიუნამუს ეძახდნენ; კუნძულზე სასტიკი ბუნება იყო და იგი თითქმის დაუსახლებელი იყო; ჩრდილოეთით მდებარე კუნძული ტეიკა-მაუი ყურადღებას იპყრობდა ხშირი ტროპიკული მცენარეებით და ტყით დაფარული მთებით, რაც შნოსა და ლახათს აძლევდა მთელ სანახაობას.

კუნძულზე მცხოვრებნი იყვნენ მალალი ტანის, კარგი მოყვანილობის, ღონიერი და ძალიან მოქნილები.

სხვათა შორის, ინგლისელებს ძალიან გაუკვირდათ, რომ ისინი აკეთებდნენ ნავებს, რომელშიც შეიძლებოდა 20-40 კაცი მოთავსებულიყო. ნავები იყო შემკული ხარატით და შავი ფიჩბით გაწყობილი. სხეულის დამოთ მოხატვაც იცოდნენ ახალზელანდიელებმა თავისებური შნოთი, რაც ამჟღავნებდა მათ მხატვრულ ნიჭს.

ახალ ზელანდიაში კუკი მტრულად მიიღეს; უკვე პირველ შეხვედრისთანავე მეზღვაურები იძულებული შეიქნენ ტყვია-წამალი ეხმარათ. თუმცა კუკი ცდილობდა თავიდან აეცილებია შეტაკება და უსიამოვნება, მაგრამ ხშირად ხდებოდა სისხლის ღვრაც. კუკმა შინც მოახერხა სამი თვის განმავლობაში გამოეკვლია ახალი ზელანდია.

აქედან კუკი გაემართა დასავლეთით ავსტრიის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ. ავსტრიის ეს ნაწილი ველურებით იყო დასახლებული, რომლებიც დიდად განსხვავდებოდნენ კუნძულ ტაიტისა და ახალი ზელანდიის მცხოვრებთაგან. მათი კანი უფრო მუქი ფერისა იყო და მათი ენა ტუპიასაც კი არ ესმოდა. ისინი იყვნენ შეიარაღებული გრძელი შუბებით და ხის მოკლე კომპლებით, რომელსაც მკვიდრნი ბუმერანგს ეძახიან. ეს კომპალი მოღუნულია; ძლიერისა და გამოცდილი ხელით ნასროლი, იგი საშინელის ძალით ხვდება მიზანში; თუ მიზანს ასცდა, იგი უკან უბრუნდება მსროლელს.

ავსტრალიელების ზნე-ჩვეულება მეტად მკაცრი და სასტიკი გამოდგა. მათთან მეგობრული განწყობილების შექმნა არ მოხერხდა. ნაპირზე გადმოსვლის ყოველ ცდას ავსტრალიელებმა, ისეთი გამოხატებული წინააღმდეგობა გაუწყვის, რომ კუკი იძულებული იყო გაჰყოლოდა ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებს და განეგრძო გზა ჩრდილოეთისაკენ.

(გაგრძელება იქნება)

ი. სობოლევნი.


როგორც სათაურიდან ჩანს, ეს თამაში წარმოადგენს ორ ურთიერთ მოწინააღმდეგე ძალის შეჯახებას ზღვაზე. ამ თამაშისათვის საჭიროა წინასწარ დავამზადოთ ორ დიდ ფურცელ ქალაქდებზე ორი მთხრადილი კვადრატები* და თითოეული მათგანი გავყოთ 144 პატარა კვადრატად ანუ უჯრედად. შემდეგ ყოველი კვადრატის ჰორიზონტალურ ხაზზე მდებარე უჯრედები უნდა აღვნიშნოთ ასოებით, ვერტიკალურ ხაზზე მდებარე უჯრედები კი — ციფრებით. ამავე დროს თითოეული ფურცლის კვადრატების ქვეშ დავხატოთ რამდენიმე ოთხკუთხედი, რომელთაგან პირველი იქნება ორი პატარა კვადრატის ანუ უჯრედის სიგრძის, მეორე იქნება მესამის, მესამე — მეოთხის მეოთხე — მეხუთე უჯრედის სიგრძის და ა. შ. ვინაიდან ეს ოთხკუთხედები მეომარ გემებს გამოხატავს, ამისათვის მათ თავ-თავისი სახელწოდება უნდა. მაგალითად. A და A₁ კვადრატების ქვეშ მყოფ პირველ ოთხკუთხედს ვუწოდოთ კ ა ნ ე რ კ ა და აღვნიშნოთ დასაწყისი ასო კ-ით, მეორე ოთხკუთხედს ნ ა ლ მ ო ს ა ნ ი ვუწოდოთ და აღვნიშნოთ ასო ნ-ით. მესამე — გ ა მ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე დ ი დავარქვათ და ასო გ-ით აღვნიშნოთ, მეოთხეს ვუწოდოთ ჯ ა ვ შ ნ ო ს ა ნ ი და აღვნიშნოთ ასო ჯ-ით.

ამავე სახელებს დავარქმევთ და ასეთივე ასოებით აღვნიშნავთ B და B₁ კვადრატების ქვეშ მოთავსებულ ოთხკუთხედებს (იხ. სურათი).

ამის შემდეგ პირველი ორი კვადრატი (A და A₁) უნდა გადავცეთ მოთამაშეთა ერთ მხარეს, მაგალითად, „წითლებს“ ან იმათ წარმომადგენელ ვანოს, ხოლო B და B₁ კვადრატები — „თეთრებს“ ან მათ წარმომადგენელ გიგოს.

კვადრატების და გემების მიღების შემდეგ ორივე მხარეს შეუძლია თავ-თავის გემებს დაარქვას საკუთარი სახელები. მაგალითად, „წითლებმა“ თავის კანონერკას დაარქვეს „პიონერი“, ნალმოსანს — „ოქტომბერი“, გამანადგურებელს — „უში

წითლები



შარი“ და ჯავშნოსანს — „ავრორა“. ამ შემთხვევაში „თეთრებმა“ თავის გემებს სულ სხვა სახელი უნდა გამოუძებნონ. ვთქვათ, იმათ კანონერკას უწოდეს „განთიადი“, ნალმოსანს — „მე-2 ინტერნაციონალი“, გამანადგურებელს — „ფაშისტი“ და ჯავშნოსანს — „შუბლმაგარი“.

შემდეგ ამისა ორივე მოპირდაპირე მხარე ერთიმეორისაგან მალულად ალაგებს თავის გემებს თავ-თავის პირველ კვადრატებზე. თანდართულ სურათზე დალაგებული და უკვე საომრად გამზადებული გემების ადგილმდებარეობა შავ-შავი ოთხკუთხედებითაა ნაჩვენები. მაგრამ გემთა ამგვარი დალაგება სავალდებულო არ არის. პირიქით, სასურველია, რომ ყოველი ახალი თამაშის დაწყების დროს გემთა ადგილმდებარეობა იცვლებოდეს. ამ მიზნით A და B კვადრატებზე მკრთალი ოთხკუთხედებით არის აღნიშნული გემთა ადგილმდებარეობის მეორე ვარიანტი (იხ. სურათი).

გემთა დალაგების შემდეგ A და B კვადრატებს ეწოდება ბრძოლის ველი, ხოლო A₁ და B₁ კვადრატებს კი — საკონ-

ტროლო რუკა, ორივე კვადრატის ქვეშ მყოფ ოთხკუთხედებს კი — საკონტროლო გემები.

ამრიგად, ბრძოლის ველის და საკონტროლო რუკის მიღების შემდეგ შეიძლება თამაშის დაწყება. თამაშის დროს მოპირდაპირე რიგ-რიგობით სამ-სამჯერ ესვრიან ზედიზედ ერთიმეორის გემებს. ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, რომ არ შეიძლება ესროლო „მტრის“ ველზე იმ უჯრედებს, რომელნიც შენს ველზე შენსავ გემებს უჭირავს.


ვთქვათ, თამაშის დაწყება „წითლებს“ ხდა წილად. ამ შემთხვევაში ვანო იძახის „უშიზნებ გ 4—ს“ (ე. ი. გ 4 უჯრედს „თეთრების“ ბრძოლის ველზე). მაშინ გიგო თავის ველზე გ 4 უჯრედში სვამს წერტილს, ვანო კი თავისი საკონტროლო რუკის (A₁) იმავე უჯრედში სწერს ციფრს 1. მეორე გასროლას ვანო უმიზნებს, მაგალითად, ბ 5 უჯრედს და მესამე გასროლას კი — ა 10 უჯრედს „მტრის“ ველზე. მაშინ გიგო ორივე ამ უჯრედს თავის ველზე წერტილით აღნიშნავს, ვანო კი თავისი საკონტროლო რუკას ორივე უჯრედში სათითაოდ ჩასწერს ციფრს 1-ს. სამჯერ გასროლის შემდეგ ვანო ეკითხება გიგოს: „მოხვდა თუ არა“ გიგო უპასუხებს: „სამ სროლაში არცერთი არ მოხვედრია“, ვინაიდან მართლაც არ მოხვედრია არცერთ გემს.

ახლა სროლის რიგი გიგოს ეკუთვნის და, ვთქვათ, იგი უმიზნებს ვანოს ველზე დ 3, ვ 6 და ე 2 უჯრედებს, რომელშიც ვანო სვამს თითო წერტილს, გიგო კი თავისი საკონტროლო რუკის [B₁] იმავე უჯრედებში სწერს ციფრს 1-ს (იხ. სურათი). გიგოს შეკითხვაზე: „მოხვდა თუ არა?“ ვანო უპასუხებს: „სამ სროლაში არცერთი არ მოხვედრია“.

სროლის ჯგერ ახლა ისევ ვანოს ეკუთვნის და, ვთქვათ, იგი უმიზნებს ი 2,

*) კვადრატი ეწოდება ისეთ ოთხკუთხედს, რომლის ოთხივე კუთხე და ოთხივე წიბო (მხარე) ერთიმეორის თანა-სწორია.

თეთრები



ი 3 და კ 5 უჯრედებს გიგოს ველზე (ახლა ვანო თავის საკონტროლო რუკაზე ყოველ გასროლას აღნიშნავს არა ციფრით 1, არამედ 2-ით, ვინაიდან იგი აწარმოებს სროლის მეორე სერიას, გიგო კი ისევ წერტილებით აღნიშნავს ვანოს მიერ მიზანში ამოღებულ უჯრედებს). ვანოს შევითხვავ: „მოხვდა თუ არა?“ გიგო უბასუხებს: „სამ სროლაში ერთი მოხვდა ნაღმოსან მე-2 ინტერნაციონალს“; მაშინ ვანო თავის საკონტროლო ნაღმოსნის პირველ უჯრედში ჩასწერს ციფრ 2-ს (იხ. სურათი). ეს იმას ნიშნავს, რომ მან სროლის მეორე სერიიდან ერთი ყუმბარა მოარტყა მიზანში.

მაგრამ „მტრის“ გემის საცხებით დასაზიანებლად მართო ერთი ყუმბარის მოარტყმა არ კმარა—ყოველ გემს, რომ გა-

მოიყვანათ იგი რიგიდან, საჭიროა მოხედეს იმდენი ყუმბარა, რამდენი უჯრედიც უჭირავს მას.

ამიტომ ვანო შემდეგი სროლის დროს ცდილობს პირველ რიგში „თეთრების“ ეს დაზიანებული ნაღმოსანი „მე-2 ინტერნაციონალი“ აქციოს უფარგისად. ამ მიზნით იგი ეძებს ადგილს, თუ სად შეიძლება იდგეს გიგოს „მე-2 ინტერნაციონალი“. თავისი საკონტროლო რუკიდან ვანო ხედავს, რომ გიგოს ეს გემი უნდა იყოს იმ რაიონში, რალაც ზის მისი (ვანოს) ერთ-ერთი 2-იანი, ანუ სადაც მოხვდა იმისი მეორე სერიის გასროლის ერთ-ერთი ყუმბარა. ვანომ იცის აგრეთვე, რომ ნაღმოსანს უნდა ეჭიროს სამი უჯრედი. ამის გამო ნაღმოსან „მე-2 ინტერნაციონალს“ იგი წარმოად-

გენს იმ უჯრედში, რომელიც ისრებით არის ნაჩვენები მის საკონტროლო რუკაზე, და, როცა მოუწევს სროლის რიგი, სწორედ ამ უჯრედებს დაუშენს იგი

მაგალითისათვის ავიღოთ, რომ ვანო ესვრის თ 5, მ 5, კ 7 და ა. შ. უჯრედებს, ვიდრე არ დაცხრილავს გიგოს „მე-2 ინტერნაციონალს“, ე. ი. ვიდრე არ მოარტყავს კ 3, კ 4 და კ 5 უჯრედში.

ვთქვათ, კ 4 უჯრედს ვანომ მოარტყა ერთი ყუმბარა სროლის მეორე სერიიდან და კ 3 უჯრედ — მეოთხე სერიიდან. ამ შემთხვევაში ვანო თავის საკონტროლო ნაღმოსნის მეორე უჯრედში 2-იანის გვერდით ჩასწერს ციფრ 3-ს და უკანასკნელ მესამე უჯრედში კი—ციფრ 4-ს.



შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. კომუნის სსონას ა. შ.	88 1	11. იპონიის საბავშო წიგნის და საბავშო შემოქმედების გამოფენა—ვ—სი	25
2. დიტოს კოლექტ. ბანაკად—ნ. ზომლეთელის	3	12. რედაქ კიაში—ისრის	26
3. „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“		13. ქიათურის მუშები—ე. პ—ვის	27
	ბ მირცხულავასი 6	14. პიონერთა მუშაობა სკოლის ასაკამდე აღრზდის დაწესებულებებში—ე. გეგენავასი	28
4. უშედგო თავდასხმა—ს. წვერავასი	7	15. ქიმიურა გაზი მომავალი ომის იარაღია	30
5. შევაჯამოთ. განვლილი მუშაობა—მ. ელი-ჯარაშვილის	9	16. ჯემს კუკის ცხოვრება და თავგადასავალი ი. სოზოლევის	31
6. მებრძოლის ლექი—ალიო მაშაშვილის	10	17. საკავშირო შეკრებაზე—გარეკანის მეორე გვერდზე	
7. სასკოლო კოპერატივი—მ ბოგომაზოვასი	11	18. ომი ზღვაზე — გარეკანის მესამე გვერდზე.	
8. ამურის ბუ—ს. ერთაწმინდელის	13		
9. საიდუმლო გვირები—ბ. ბიბინეიშვილის	15		
10. საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა			
	შ. გ—ის 23		

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია: მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსაშიძე, ალ. მაშაშვილი და აბესაძე.